

fmk 13296  
1a

# ՕՐԵԱՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ



სიახლი გავარათია

ლ. K 13296  
1a

თუმცა დექსეგი



ფერერი 300  
19 ტებერდი 37

## 6061843132

შდიდარი და მრავალფეროვანია თუშური ხალხური პოეზია, რომელშიაც მხატრული სახეებით მოცემულია საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენები. თუშს ჭირ-გარამის გამოთ-ქმა დექსად ეხერხება, და თავის სულიერ განცდებს იგი ლექსებში აყალიბებს. ამიტომ თუშეთის ყოფაცხოვრების გასაცნობად მის ხალ-ხურ პოეზიას უაღრესი მნიშვნელობა ეძღვევა. ხალხი ამ ლექსებს თხახავს, ზეპირად გადასცემს თაობიდან თაობებს, მაგრამ საზოგა-დოებრივ ფორმაციასთან ხალხური პოეზიაც ცვალებადია და. მას-თან დაკავშირებით, მისი თემატიკა და ფორმაცი იცვლება.

თუშეთის ადრინდელი საზოგადოება თემურ წყობილებას არ გასცილებია და მისი ძევლი პოეზიაც ამ თემობრიობის სულითაა გაუდენთილი.

დღევანდელ სოციალისტურ მშენებლობის ხანაში თუშეთში მყარდება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, და ამასთან და-კავშირებით, მისი პოეზიაც, შინაარსისა და ფორმის მხრივ, განიც-დის გადახალისება-გარდაქმნას.

ამ ახალ ყოფას ახალი თაობა ჰქმნის და ახალ ცხოვრებას უმ-ლერის. მთათუშეთში ბლომათ მოიპოვებიან დღევანდელ მომენტით ამსცვალული მელექებები, რომლებიც მდერიან და იძრდვიან თუშეთის გარდაქმნისაოვის. სანიმუშოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგი-ერთ დამზადიათებელ ლექსებს.

აი, როგორ მიმართავს ძევლ მამაპაპურ თუშურ ციხე-კოშკებს ახალგაზრდა თუში რ ო ს ტ ო მ ე ლ ა ნ ი ძ ე:

დახავსებულხარ, სიბერეს შენტვის უძღვნია ჭალარა,  
რას ფიქრობი შენი ხანა-დრო ალარ აღსდგება, ალარა.  
ეყო, რაც ჭირის მახვილით მთიელთ გულები დალარა,  
რაც გმირთა ბრძოლის ველზედა სისხლი და თული დალარა;  
და ან რაც თუშთა საუნჯე, მტრის ცეცხლის ალში ჩაყარა;  
თომ ხედავ ეხლა გვიძახის ახალი ჭვეყნის ნალარა.

კომუნის ხმისა ჭენებით გამოიცვალა ქვეყანა,  
ახალმა შრომის ნაყოფმა ძველი სუსველა დაჭარა.  
ვინც შენს დროს ერთულის ხოცავდენ, ეხლა მებია სუსველა.

სოფ. ჩილო 1930 წ.

წითელ ჯარში გაწვეული თუში ასე მღერის:

რა ლამაზი ხარ, მინდორო, წითელ ჯარების ბანაკო,  
გარშემო ქედებიანო, სიცოცხლით სავსე ალაგო;  
ზაფხულში ყველა გარტრონბის, ზამთარში იურებიანო,  
თეთრი, ლამაზი კარვები იქიდან იშლებიანო.  
გახაფხულს იკრიფებიან დიდობან-დიდრონა ჯარები,  
თავისუფლების მოყვარე, დაჩაგრულ ხალხის მხსნელები.  
მიყვარს წითელი ჯარები, მეც ვარ იმათი წევრია,  
ამაში ტყუილს არ ვიტყვი, არ მოკვდეს ჩემი თავია.

ა ნ ტ ო ნ თ ა ვ ბ ე რ ი ძ ე. სოფ. ვესტომთა.

ტფრლისში ჩამოსული თუშები გლეხთა სასახლეში სცხოვრობენ,  
და თუში მელექსე ლაზრო იმედიძე გლეხთა სასახლეს ასეთ  
ლექს უძღვნის:

ცენტრალურ გლეხის სასახლეს, მთიელმან ვუძღვენ ქებანი,  
ავწონე გლეხთა მიმოსვლა, არ მიყვარს პირს ფერობანი.  
უქებურს ლანძღვა უზდება, საქებურს უნდა ქებანი.  
მე ლექსთა ფრთხები დაგსჭიმე, მას ფუძღვენ გამარჯვებანი,  
სასახლეს შიგან შეველი, ვნახე გლეხთ ნაწერობანი.  
გადავიდითხე, ეწერა სულ ქება, ძლიერობანი.  
ექვსი შაური ახეონდა დღიურად ნუმროს ქირანი,  
კინა, აბანო, ისაცა უფასო დამატებანი.  
შიგნით გლეხისა შვილები, მათია თავშესაფარი,

შებდევ ბაგრატ თ ა ვ ბ ე რ ი ძ ე წითელ დროშას ასე უმღერს;  
აპა, ინათა მზის სხივმა, მთლად მაინათლა ქვეყანა,  
ზე, ალდგა დაჩაგრულები, სინათლე სუფეს ყველგანა;

მშრომელი ხალხი წინ მიდის, მათ დაიჭირეს ქვეყანა,  
ხარობენ წითელ დროშის ქვეშ, როგორც ბულბული ვარდს ტანა.  
ჩვენც ხომ შეგხარით იმ დროშას, როგორც შვილები დედასა,  
მისა მტკრსა და ორგულსა თავს დაკუთმო მეხსა მეღგარსა.

სოფ. დანო 1930 წ.

ეს თანამედროვე თუშური პოეზია ჯერ ნორჩია, მცირე რიცხოვა-  
ნი და სუსტია. სამაგიეროდ, ძველი, მრავალ თაობათ. მიერ საუკუნეე-  
ბით შექმნილი პოეზია, მდიდარი და ძლიერია <sup>1)</sup> ხალხი ამ ლექსებს  
დღესაც შთაგონებით მღერის, განსაკუთხებით ძველი თაობა, რო-  
მელსაც ეხერხება ჩონგურის ჭაკვრა და შეხმატებილებული სიმღერა.

ამ წიგნში მოთავსებული თუშური ლექსები შეკრებილია თუ-  
შეთში 1931 წლის ზაფხულს: ლექსები ჩაწერილია ირა კ ლი ე ლ-  
ნი ძისა და ჩემ მიერ. თუშური ლექსების რეგულები გადმოგვცა  
ლაზრო იმედი და იძეგმ (თუში მელექს სოფ. შენაქოდან), ე ლ ე ნ ე  
მაყაშვილ მა (შენაქო მასწავლებელი) და ილია მიქელა-  
შვილ მა (ჭოვა თუში სამხატო აკად. სტუდენტი), რომლებსაც  
დიდ მაღლობას მოვანსენებ.

ხალხური სიტყვიერების მხელი ეს მასალა დალაგებულია შე-  
ნარისის მიხედვით და იყოფა:

I საკ მირო ლე ქ ს ე ბ ი, რომელშიაც თავმოყრილია: „ისტო-  
რიული ხასიათის ლექსები, ბრძოლა ქისტებთან, ლეკებთან და სხვა,  
აგრეთვე პირადი გმირობა და ვაჟკაცობა.

II საკოფა-ც ხ ვ რ ე ბ ი ლ ე ქ ს ე ბ ი. აქ მოცემულია სატ-  
რიფალო და ქალ-გაუის გამიჯვეურების ლექსები. შემდევ სიკვდილ-  
კაუშნისა და სევდა-მწუხარების გამომსახველი ლექსები. ამას მიკვება  
ნარევი ლექსები, რომლებშიაც გაღლექსილია ყოველდღიური წვილ-  
მშნი ბოლოში დართულია თუშური მოთხრობისა და ზლაპარ-გამო-  
ცანათა რამდენიმე ნიმუში.

<sup>1)</sup> დ. ალ. ბანე ლი, წინასიტყვაობა „თუშურ სიმღერების“, კვალი  
1897 წ. № 13-15, 17, 20, 23, 37, 49; დავ. როსტომ მაშვილი,  
თუშური ლექსები, მოამბე 1895, № 3; 1897 წ., № 1-4; 1896; № 12;  
ივ. ბუჭ ქურაული, თუშური ლექსები, ძველი საქართველო ტ. II  
ტფილისი 1911-1913 წ. განკ. V, გვ. 1-62.

აღნიშნულია ლექსის მთქმელის სახელი და გვარი, ადგილისა და დროის ჩვენებით. მოცემულია აგრეთვე ზოგიერთი ლექსების ვარიანტებიც.

რაც შეეხება ლექსების დასათაურებას, ზოგიერთ მათგანს აქვთ სათაური, უმეტესი კი, შინაარსის მიხედვით, ჩვენ თითონ დავასათაურეთ.

ჩვენ არ ვიძლევით ამ ლექსების დახასიერებას, თუშეთის საზოგადოებრივი და სოციალ-ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით. ასეთი ცდა მოცემულია ჩემს მონაგრაფიულ გამოცვლევაში „თუშეთი“ (საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა 1933 წ.), რომელშიც ფართედ გაშუქებულია თუშეთის ისტორიული წარსული, მისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება.

### სირბი მაკალათის

ტფილისი 1934 წ.

۱۶۰۸۰۶۰۳

## 1. საგიროეს ციხე

საგიროეს ციხეს აგებენ ციხესა ალმასისაო,  
აგაშენებენ მხურვონი, ლამაზ ნაგებო ქვისაო.  
შიგა შიგ ბაწებს გიმართვენ, შესახიზნ ქალებისაო  
სათოფურებსაც უშვებენ საომრად ბიჭებისაო.  
ექვს საროულზედა ააგეს, ზევიდან ხურვენ სიპსაო,  
ქისტეთში ქისტებმ შეიტყვეს, მძიმედ მიღე მოღებიანო  
ქისტეთს იყრება ჯარები, ციხევ, შეც მუქარაზეო.  
გამაგრდი, ციხევ ტიალო, ჯაჭვი ჩაიცვი ტანზეო.  
აგების ლელეს გადმოდის ჯარები ქისტებისაო,  
გალალებული ბელადი ახალისებდა ჯარსაო:  
— „ცოლათაც შეგართმევინებთ ქალებსა საგირთისაო,  
საკვეხურ მოვიყოლიებთ მარჯვენას კარგი ყმისაო“.  
საგირთის ვაკეს ჩამოდგა, ნამი არ წვდება ცისაო,  
საგირთელთ ბიჭებმ შეიტყვეს, უამი არა აქვთ მტრისაო.  
ციხეში შეგროვებულან ვეფხვები სალის კლდისაო.  
თორმეტ დღე ღამე იომეს, ჩამოტეხვას ჰვავს ცისაო.  
თოფისი ალი ჩამოწვა, წვერებ ღამალა მთისაო,  
ამბობენ შეწუხებასა ბიჭები საგირთისაო.  
ტყვია-ტამალ გასთავებიათ გულგალებულ მტრისაო.  
ერთმანეთს ეუბნებიან: „ახლ დრო მოგვივიდ ცდისაო“,  
ვაჟეაცნი გამოჩნდებიან, სისხლით შელებვენ ხმალსაო;  
ხმალდახმალ გამოუცვივდნენ არწივნი მაღლის მთისაო.  
ჩაერიგნენ და ჩაკაფეს, როგორც ტოტები ხისაო.

ჩიერივნენ და ჩააფრთხევეს, როგორც რომ ნოტო ცხვრისაო.  
 ფშაველ-ხევსურნიც მოვიდნენ, მოძმენი თუშებისაო,  
 ქვემო თუშებიც მოყიდნენ, აღმ შეაბრუნენ წყალსაო.  
 დაამარცხეს ქისტის ჯარებ, მკვდარზე დაყარეს მკვდარიო  
 სიმწყურვლით შეწუხებულან მეომარნ საგიროვისაო.  
 წყლები სულ სასხლით შეღებეს, ვეღარა სომენ წყალსაო.  
 ალაზან წითლად შეღებეს, მკვდარს ვერ აუქცევს ფეხსაო,  
 მაგრეს ლელემდის მიჰყვნენ, თავით დაპყულენ მკვდარსაო.  
 მიღიან ქისტეთს, ჩივიან თავიანთ ნახოც მკვდარსაო,  
 ძნელი ყოფილა ნაჭერი; ნაქნევი თუშის ხმლისაო.

ე მაგრა მომლექსებელი შუა წაროში ზისაო,  
 თორმეტ მეც მერგო მარჯვენა მანდ ნახოც ქისტებისასაო,

## 2. ბახტაიონი

ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო:  
 — „ახმეტას ჩაგვრათ ვენაძი, დავამალვინოთ კვალიო“.  
 შეიტყვეს თუშის შვილებმა, მალლ შემოირტყეს ხმალიო.  
 ჯერ შუა ღამე არ ქნილა, ნაქერალს გროვდებიანო.  
 შეელა შველაიძეი პანკისს გატეხე წყალიო,  
 უკულმ დავჭედოთ ცხენები, დავამალვინოთ კვალიო.  
 საგათანებლოთ დავეცნეთ ბახტრიონს გალავანსაო.  
 — „გარეთ გამოიდი, სულთანო, თუშინი გისხედან კარზედა,  
 თუ ნებით შენ არ გამოხვალ, ჩვენ გამოგიყვანთ ძალითა“,  
 — „მეტი ვარ სალირაშვილი, ნუ მიმზერთ ტალავარზედა,  
 გადავილ, გადავორინდები ბახტრიონ გალავანზედა,  
 თუ შვიდ არ მოვკალ ხმალ და ხმალ, გამცვალეთ თათრის

ქალზედა“!

გოხ გავლებული ფრანგული კაბას რა ძლიერ სჭრისაო,

სისხლისა ნაგუბარშია ფეხი რა ძლიერ სცურავსო.  
 თელეს და თელეს თათრები, წითელ ჩადიოდ წყალიო,  
 ალვანშია ციხეს აგებენ, ხოცა თათრისა ძელისაო,  
 ლიბოდ უგდებენ გალასა, საწვრეთი ფრანგულისაო.  
 დააგდებინეს ალვანი, თუშთ არის საქუთარიო.  
 ჯერ ღმერთი, მემრე ბატონი, მცილავი არ ვინ არისო.  
 ვინც ალვანს უარესობდეს, ცოლმ შემოუხსნას ხმალიო!

### 3. ზ ე ზ ე 3. ე ი

ალვანში ზეზვაის ცხენმა ბაგა გამოხრა კბილითა:  
 „ა ვაპშე, ჩემი პატრიონო, ლამეს ვათენებ ჭირითა,  
 ცივ გომბორის გადაგავლებენ ძუა შალებილ ცხენითა,  
 ქალაქში რო ჩაგიყანენ, ბაგეს დავიხრავ კბილითა“.  
 მიღიან თათრის ქალები: „აბა გვანახეთ, სად არი?“  
 — ზეზოსა ნახეა რად უნდა, მოკლულსა თქვენის ხელითა,  
 მაშინ რატო არ ნახვიდით ბახტრში ცხენით რო ბრუნავდა;  
 მოგდებდათ, მოგაწუხებდათ, მოგჩვეპდათ შუბის წვერითა.  
 აივსო ბახტრის მინდვრები თათრის ლაშქრისა ძელებითა,  
 წითლად შეღება მთა ბარი თათრის ნადენის სისხლითა?“

### 4. გიორგი და იოსებ ხარანული

დაბლა შირაქში ჩავიდნენ ხარანულთა ყმანია.  
 გიორგი ეტყოდს იოსებს: „იორს ჩავავლოთ თვალია!“  
 თან ტინკო გაიყოლიან, თავის პატარი ძმაია.  
 ჩავიდეს ივრის ნაპირზე, იქ დაბვდა თათრის ჯარია.  
 თათარმა თოფი მოლრიჯა, იოსებმ ასწრო თვალია,  
 ისევ იოსებმ დაასწრო, თათარს დალლიჯენ ყბანია.  
 მობრუნდა, დახკრეს იოსებს, არწივს მოსტეხეს მხარია,

ქმაც იმასთანვე მოჰკლესა, გიორგი წინამძღვარია.  
 ხელში დაჭერა გაბედეს, ტინჯოს დაადეს თვალია,  
 ტინჯოს ხო ვერას იჟერენ, ამოამლერა ხმალია.  
 ჯერ თოფის სროლით თათრებსა თავდახვი თოფის ალია.  
 ახლა ხელდახელ მიყიდა, კარგა გასაჯა ხმალია.  
 ტინჯო ვერ დაიჭირიან, ისევე, ნახა ფშავია.  
 ფშავეთში გაღმოიტანა თავის ორორი ძმანია.  
 ფშავის მთას გადმოიხედა, შეყვირა, როგორც ხარია:—  
 „გიორგი, იოსებ მოიყვანეს!“ გააღეს სამთხის კარია.  
 საყდარში შაიყვანიან, თავზე დასტირის ქალია,  
 თავთან დაუნთეს სანთელი, ფეხთან დაუდეს ცხვარია.

## 5. ვისანეანი

გაღმა გავიდა ამბავი ჯარშია, ბელექანშია.  
 თათრებ ახარეს ერთმანეთს: ფირუზ დამხალა ფშავშია!“  
 — „თქვე მამაძალლო თათრებო“, რას იკვეხთ ჯამაათშია?  
 თუ ფირუზანი არ იქნებ, ნურაც მზე იქნებ ცაშია,  
 ჩამოიხოშნენ მასკვლავნი, ჩაცვიდენ მღვრიე წყალშია,  
 მთვარეც უკენა დაბრუნდეს, ჩავიდეს შუა ზღვაშია.  
 ფირუზა კიდევ ჩამოვა თავის სადოლე ცხვარშია,  
 ფირუზა კიდევ შავალის ხმიანის სამართალშია,  
 მაიყვანს უბილაური. როგორც დაუჯდებ ჭკვაშია,  
 თან შეყვებიან თუშები ჩართული იარაღშია“.

## 6. თინას გმირობა

ფარსშის ბროლისა ციხეო, შიშით გაქანებს ქარიო,  
 შიგ სხედან თუშის შვილები, თოფ პირებს ასდის ალიო.  
 — „თინაო, ღმერთია გაცხონოს, სული ხომ ლალად არიო,  
 თმას შემაიხვი მანდილი, წელს შემაირტყი ხმალიო.

გეერეოდი ლაშქარში, ჩალად დაყარე მკვდარიო!“  
 ჟკან გაჰყვებოდ თუშები, კალოდ გალეჭეს მკვდარიო.  
 გაჰყვირვებოდა დალესტნლებს თინაის ნაომარიო:  
 „ან მკლავი როგორ უძლებდა, ან სამღარიან ხმალიო?“  
 იქით გაიქცა მურთაზი, გადაიარა მთანიო.  
 ქაჩუსის ღელეს ჩასტირის, როგორც თმიანი ქალიო.  
 წინ ცოლი შემოეგება, თურეშაულთი ქალიო:  
 — მურთაზ, რად გამოქცეულხარ, რად შეგვირცვინე  
     ვეგრიო?  
 — თუშით გამიწყვიტეს ლაშქარი, მოველი სირცხვილიანი.  
 — სირცხვილიანის მოსვლასა, სიკვდილ სჯობს ნამუსიანი.

## 7. მუხტაზი

ქაჩუსა ძირსა შემოვედ მურთაზი დიდ ჯარიანი,  
 ფარსმისა თაგსა გაღმოდგა დაფნიან ზარბაზნიანი.  
 ფარსმის ვაკეში ჩამოდგა ალმიან დროშიანია.  
 — „ფარსმას ვერ გატეხ, მურთაზო, ქევსაი ნაქსოვიანი,  
 რკინის ვერ დალლეჭ კარებსა კობალე დიჩნიანი.  
 ფარსმაში კოხტა ციხეებს შენ ვერ დაუღებ კარებსა.  
 შიგნით ვერ გამორჩეკავდი ლამაზ ლამაზსა ქალებსა.  
 შიგა ზის ილოს ალუდა, ქორი აფეთებს თვალებსა.  
 უკანვე დაგაბრუნებსა, მტირალს გაგზავნის შინითა,  
 ხირიმებს არც კი მაკადრებს, მაურებით შეგიჯერებსა,  
 ტყვია-წამალი ბევრი აქვს, ასი ისმალოს ტოლია.  
 უკან გამოგყვა მეკოპარ, ფარსმას ნარჩევნი ყმანია,  
 შემოგაბრუნებს პირ ალმა, გატირეს, როგორც ქალია!“  
 მთას გადატირის მურთაზი, ფარსმაში ლამარცხებული,  
 ჯარ თუშებს გავაწყვეტინე, დალესტანს შემრცხვენდებაო.  
 გზათ დედა მოეგბების:— მურთაზ, რა უყავ ჯარიო?  
 ჯარ თუშებს გააწყვეტინე, შინ მოხველ სირცხვილიანი.“

## 8. ნ უ მ ა ღ ი

ნუკალა გირევს ჩამადგა, როგორც ნატბაურ წყალიო,  
მეცნეთ გაგზავნა თუშებთან; „ბეგრათ უნდ მომცეთ  
ქალიო“.

ზოგმა სთქვეს: „ბეგარა მივსცეთ, მტერმა მოგვტაცა  
კარიო“,  
ზოგთ სთქვეს: „ბეგარს ნუ მივსცეთ, დაგვიცინებენ  
სხვანიო.“

ქალმან გაიგო ყყავლოსა, დაწყევლა თვისი ძმანიო,  
მთასა მაღალსა გადმოდგა, კლდეს აქანებდა თმანიო.  
ეს რომ ითბანურმ გაიგო, მაღლ შემოირტყა ხმალიო,  
საღამო ხანი დაიწყო საკახეთური გზანიო.

დარბაზის გაკეს ჩამოვიდ, ცხენმან დაუგდო ნალიო.  
ჩამოხტა, ისევ დააკრა თვალ შუა ღამის ხანიო,  
გასათენებლად გაულო თელავ გალავნის კარიო.  
გაწყრა, გაჯავრდა ლევანი: „რა ღროს სტუმრობის ხანიო“?  
— „შენი ჭირიმე, ლევანო, მტერმან მოგვტაცა კარიო,  
თუ რასმე შენ აწ გვიშველი, თუშებ ვართ შენი ყმანიო“.  
დაჯდა ლევანი, დაწერა: „მმურად გვიჭირეთ მხარიო,“  
ქიზიყში კაცებ გაგზავნა: „დიდ მომივიდეს ჯარიო!“

გასათენებლად მოვიდა ქიზიყის ლიდი ჯარიო,  
გძელ ყანას ამღდიოდა, არა ჰქონდ სათვალავიო.  
გომეწრის ვაკეს ჩამოდგა, როგორც ნატბაურ წყალიო.  
გირევის წყალში გავარდა გაფიდ ლურჯ პერანგიანი,  
ნუკალ კარავს დაკაფა ნაკუდაურის ხმლითაო,  
მოსტაცა ოქროს ლამბაქი, გამოვიდ სახელიანი.  
გამიყარეს ქისტები, ფარსმის თავს გადმოდისაო.  
უკან მოსდევენ თუშები, წევბად გამოდის ხმლისაო.  
იქამდინ მისდივ თუშები, სანამ ნიშანში ჩინსაო.  
ნუკალას ცოლი მოეგებდ: „ნუკალა სადღა ქნილაო?“

— „ნუცალა კარავს დაკაფეს ნაკუდაურის ხმლითო  
ვეუბენ, არ გამიგონა, ქალმან ვაჯობე ჭევითაო.  
ეხლა იქ ეგდოს, ბუჩქებში, ყვავ-ყორნებმ სთრიონ

ბჭკლითაო“

9.

\* \*

ქაწუსა თავსა გადმოდის დიდი ნუცალის ჯარია,  
ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარს წყალია.  
წოვათის დევდრი ანთაი ნუცალს მიღა კარზედა.  
წინ დაუდგ ოქტოს ტაბაკი, ზედ კვიცის ხორცი აწყვია,  
დანა ზედ უძევს ჯავარი, გიშრისა ტარი იგია.  
სჭამსა და ვერალებდის, ლვთისგან მოელოდ შევლასა.  
შეიტყო ითიბანულმა, ლურჯის ლაპარა ნალები,  
საგაონებლოდ ჩავალის გრემის ბატონის კარზედა:  
— „ლევანო, ჩენო ხელმწიფევ, ჩენა გვიბოძე ყმანია“.

K 13296  
19  
ე — ლევანმა ჯარი შეყარა ათასი მეომარია,  
აანთო მაშხალაები, ლამით გაიხნო. გზანია:  
გარდადის ნაყავეჩოსა; „ლმერთო, დასწერე ჯვარია!“  
ითაბანულის ლურჯაი ნაყავეჩს გლია შევდარია,  
გვერდო უზის თავის პატრონი, დასტირის, როგორც  
ქალია.

— ვინ გახვალო გირევის წყალსა, ვინ გაიმეტებთ თავსაო?  
წინგავიდ გირევის წყალსა, ვაჟი ლურჯ პერანგიანი,  
იქნებოდ საგინაშვილი, ვისაც ანდერაზ ჰქვიანო.  
ჩავიდა, ჩამოერივა სალითუცის ნარქაფითაო,  
ნუცალს ჩაუჭრა კარავი ნაკუდაურის ხმლითაო.  
ცოლი ნუცალის ტიროდა: „ნეტარ ნუცალა რა იქნა?“  
— „ნუცალი ანდერაზმ მღველა, ყორნებს ჩაქონდა  
მწელითა“

ლეკთა სტირიან ჭალები: „აღარ მოგვივლენ ქმარები,

17

2. ს. მაკალათია, თუშური ლექსები



ცხენებთ რა უყოთ ტიალთა, დაწყვიტეს ლაგამთ ტარები“. ზოგმა სთქვეს: „ბაშტეს შევყაროთ, მაგრა დავგულოთ ქარები“

ზოგმა სთქვეს: „მთაზედ გაუშოთ, თავზე შავყაროთ ლაგმები“, ზოგთა სთქვეს: „უკულმ შევკაზმოთ, ზედ თავათ შეცხდეთ ქალები,

გავიდეთ თუშისაკენა, იქავ შევირთოთ ქმარები.“

## 10. ჩიკერის პოემები

დიკლოს მოვიდა დიღოი, დენგამ შეყარა ჯარია.

მოდის ზუშეთის ღელესა, ალარა წვდება თვალია,

ჩამოდგა წისქვილისაკე; როგორაც ნაგუბარ წყალია.

დასწევს დიკლოი, შენაჭო, ომალო ალად ქნიანო,

ჩამააშავეს კესელო, ქალვა ჭიანჩ თქვიანო.

აქითა შემომავალთა ბოჭორნას ცეცხლი ქნიანო.

სახლები დაწვნეს, დარბაზზნიმც, თან ალი აუშვიანო.

შეიტყო თუშთა ბატონმა, მაღლ შემოირტყა ხმალიო.

ჭანეთ ჩავიდა მომრავსთან: „ლევან, მიბოძენ ყმანიო“.

ლევანმა გამოაყოლა ათასი მეომარია,

შემოღის გრძელ ყანაშია, ცხენებს უელავს ნალიო.

ამრღის ნაქერალშია: „ლმერთო, დასწერე ჯვარიო!“

ჩამოდგა გომეწრის უბეს; არ გადასწვდებათ თვალიო.

შემოღის ჯვარბოსლის ძირა, ალმედ დაბრუნდა წყალიო.

გადაღის ნაყაიჩოშო, მიწა გახიეს პყარიო.

ფარსმით გაიქცა მურთაზი, გირევს შეყარა ხმალიო.

გირევს ხყითხევდეს ქალები: „თვალ ვინ შემოგაროვ, მურთაზა,

აქნებოდ თუშთა ბატონი, მგელმა დაკვნიტა ცხვარიო?“  
— „დაირივნეს თუშნი, ქისტები, ხმლისა ამოდის ჩქამიო  
თუშთ-ფშაველთ ქისტებ დაძალეს, დაყარეს მათი  
მკვდარიო.“.

## 11. (ვაჩისნვი)

დიკლოს მოვიდა დიდოი, ალდამშ შეჰყარა ჯარიო.  
ჭუმეთის ღელეს გადმოდის, ცისი არ უწვდება ნამიო,  
წისქველანა ამოდის, როგორც მარილზე ცხვარიო.  
ქუისა პირას ამოდგა, როგორც ნაგუბარ წყალიო.  
ღვინიან ელენაძემ ცახით მოხკიდა თვალიო.  
ესროლა, გამოაგორა ჩემი ცოლის დამ ხარიო,  
ქვე უბან შემოხვივლიან, ზე უბან შეზღვეს ზარიო,  
შუუბან თოფებ გამოდის ქურაზიშვილი ვარიო.  
— ქალბაქი ხაჩივრის ქალო, ღმერთმა გაცხონოს  
მკვდარიო.

ფიჭერგორ გადახვიდოდე, უკან გაბრუნებს ქარიო.  
ქარი თუმც არც კი ქარია, ქალო, შენ ცოდვა ბრალიო,  
ლეკებს არ გააყოლიდი შენი ლერწამი ტანიო;  
გადავარდ, გადაყოლე ლეკის ნარჩევი ყმანიო

## 12. შენაქოს აკლება

შენაქოს მოვიდ დიდოი, დენგამ შეჰყარა ჯარიო.  
არ სჯერათ შენაქოელებს, თეთრად შემოსეს მთანიო.  
შეროი სახელაიძეს ჩეგხვივნენა ცხრანიო,  
ხელაიძისა ციხესა თავზე დახვიდეს ალიო.  
ძველ უბან ამოაწყვიტეს, თოფის ამოდის ჩქამიო.  
ვასწიეს ახალ უბნისკენ: „ელანს მოვაკლოთ თვალიო“,

— „ელანე, გარეთ გამოდი, გარ შემოგრტყმის ჯარიო!“  
უნებურად წევს ელანი, არა აქვს ომის თავიო.

— „შმაიც ხომ იქა მომიკლეს, გულ დამწვარიცა ვარიო!“  
გამოვიდოდა ელანი, გამოიყოლებდ ხმალიო,

იქნია წალმა-უკულმა, ნაფოტ ამოდის ძვალიო.

ლამისი გათენებამდის თორმეტ დაწვინ მკვდარიო.

გაჰკვირდნენ შენაქოელნი, ელანის ნაომარიო:

„ან მკლავმან როგორ შეიძლო, ან სამღარიან ხმალმანა?“

ბრალნი ხართ, შენაქოელნო, მტერმანაც გიყოთ ძალიო,

შინ არა გყვანანთ ჯეილებ, გეცოტავებათ თავიო.

ე მაგის მომლექსობელი ქალ შენაქოელ ვარიო,  
გულ ლალი არ ვის გეგონოთ, ტყვედ მომდინარიც ვარიო;  
მთა მაღალ გადამავლიეს, დალისტანს ვავლივ თვალიო,  
სამი დღე ლამე ვიყავი ბუსურბან დალისტანშიო.

მძიმედ დაწვებოდ ლეკები; მტრისიდ არ ხქონდის ყამიო.

ავდექ, სამს გამოვჭერ ყელი, ქალშია დავცადე თავიო,

გამოველ, გამოვეპარე, შენაქოს ვავლივ თვალიო.

ნუ მტირით, სწორნო ქალებო, მელირსა მიწა წყალიო,

ემავის მომლექსობელი თითონ ელანიც არიო.

### 13. ბულხადია

დაიძრა, გამოიმართა დიდი ბუსურბნის ჯარია,

გულხადარი წყავს ბელადი, წინ არის ჩამომდგარია.

ჩეთმაში მზვერავ გაგზავნეს: „ჩეთმას დაგვივლე თვალიო!“

გახარებული მოვიდა: „ცხვარი არს საშოვარიო!“.

ჩეთმაში ჩამომდგარიყო თორმეტი ფარა ცხვარიო,

ორშაბათ გასამოენებლოთ, ჩეთმას დაგხუროთ ცანია.

ორშაბათ დილა გათენდა, სისხლის დადგ ნიაღვარია,

დასჭრეს, დაკუშეს მწყემსები, სისხლის დადგ ნაგუბარია..

კიგასა თოფი დაგვიკრეს, გიორგს მოსტეხეს მხარია.

წამოიწია გიორგიმ, წამოიყოლა ხმალია.

ჩაექანა და ჩაეგიდა, ჩალათ ჩაყარა მკვდარია,  
ერთი შესწირა მწყემსებსა: „სულეთს გიზიდოსთ წყალია.“  
მეორე ძალებს შესწირა: „საფლავსა გისხანთ წყალია“.  
ძალლებ ყმუვიან ტივლები: „სად არის ჩვენი ცხვარია?“  
— „ზევითად შეხვენთ, ტივლებო, სად მოდის სისხლის

ქვალია.

გზაზედვე შემოგეყრებათ თქვენი გიგაი მკვდარია.“

ზაზარალევზედ გადადის, როგორც ნაგუბარ წყალია.

მოლალოს ხილზედ გაქეჩეს, გაუთეთრებავს გზანია,

ბელექნის ბოლოს გაჩინდა გიგაი ვაცის რქანია.

წინდაწინ გააქეჩინის, შააწვრიალის ზარია.

აქამდ მისდია გიორგიმ, იქ გაგვინება თავია,

ეხლა გარეკეთ, რჯულ ძალონო, ეს უპატრონო ცხვარია!“

— მაგის მომლექსებელი ალვანში თუშის ქალია.

#### 14. (ვარიანტი)

შირაქის ბილოს ჩავიდა პირველად თუშის ცხვარიო,

გაღმა შაიტყო ოლქამა: „ბლომად არს თუშის ცხვარიო“.

დალალებულან თათრები ღიღი შეყრილა ჭარია,

გულხადარა ყავთ ბელადი, ალაზანს ჩამომდგარია.

შისაში კაცებ გაგზავნეს: „სად რა არს საშოგარია!“

მოვიდეს გალალებული რა ადვილ საშოგარია,

ტარი მთაში ჩამოსულა, თორმეტი ფარა ცხვარია.

შავიდეს თათრის ლაშქარი, დაიძრა როგორც ლვარია.

საგათენებლად დაეცნენ, დიდი დგა ცოდო-ბრალია.

ქმასა ეძახოდ გიორგის: „ადექ, გარეუ ცხვარია!

დაქეჩეს ჩვენი ვაცები, მოდის ეჯვნების ჩქამია,  
 დახოცეს მეცხვარები, სისხლის გვიბრუნავს ტბანია.  
 წამოდგებოდა გიორგი, წამოყოლა ხმალია,  
 თითო შეწირა მეცხვარეს იმის მსახური მხარია.  
 „უტრენე გუდა-ნაბადი, ცივი უზიდე წყალია,  
 ძალლებს უკეთე სალაფა, ცივი უზიდე წყალია“.  
 გიორგის ცხენი გომში ებ. თელ ზამთარს ნაქერალია,  
 დილით შეჯდება ცხენზედა, საღამოს ალომს არია.  
 — „არიქათ, მოგვეშველებით; ლეკებთ გარეკეს ცხვარია—  
 თელი დახოცეს მწყემსები, არც ერთი აღარ არია“.  
 ბარაქალ, თუშის შვილებო, მალე შეყრილა ჯარია.  
 ჩავიდეს ბელქანის ბოლოს, რაც იმათ გასავალია.  
 ბელაქნის ბოლოს გამოჩნდა გიგაურაის ვაცია.  
 წინდაწინ ჩამოუძლვების, ჩამოაჩქამა ზარია.  
 წინ თუშებ გადმოუფრინდენ, შემოაბრუნეს ცხვარია,  
 „ბარაქალ, თუშის შვილებო, მაინც ყოფილხართ ყმანია!“

ე მაგის მალეჭიშებელი ალვანში თუშის ქალია.  
 სალექსოდ გამომიგზავნეთ ფარაში ნარჩევ ცხვარია.  
 თუ არ მალ გამომიგზავნით, ალარ შეგაქებთ მერმია,  
 თუ გინდა მთლადა გასწყვიტოთ ბრძოლაში მტრისა ჯარია.

დაიძრა, გამოემართა დიდი ბუსურბნის ჯარიო,  
 გულხადარი პყავთ ბელადი, ალაზნამდ ჩამომდგარიო,  
 ჩეთმას გაგზავნეს მზვერავებ: „ჩეთმას დაავლეთ თვალიო“.  
 მოვიდნენ დალალებული: „საშოგარ არის ცხვარიო“.  
 ორმაბათს გასათენებლათ ჩეთმას დახურეს ცანიო,  
 დასჭრეს, დაკუწეს მწყემსები, სისხლის აღინეს ღვარიო.

გიორგისა და გიგაურს, ლმერთო, დასწერე ჯვარიო.  
 გიორგის თოფი დაგვიკრეს, გიგას მოსტეხეს მხარიო.  
 გიორგი ეტყოდ გიგაურს: „მტერშ გაგვირეკა ცხვარიო“.  
 ოორს გაუყრი ვაცები, ექვნებს გაქონდა ჩქამიო.  
 წამიოწია გიგაურმ, თან წამოიყოლ ხმალიო,  
 ჩეეტანება გიგაურ, ჩალად დაყარა მკვდარიო.  
 სამი გიორგის შესწირა: „სულეთს გიბრუნონ ცხვარიო“.  
 ორი შესწირა მწყემსებსა: ეგენი თქვენი ყმანიო.  
 ერთი შესწირა ძალებსა: „საალაფას გისხანთ წყალიო“.  
 ყბუიან ოხერ ძაღლები: „სად წაგვიყიდა ცხვარიო?“  
 — „ზევით შეხვენით, ოხრებო, იქ მიღის სისხლის კვალიო,  
 იქნებ წინ შემოგეყაროსთ, გზათ გიორგი წევს მკვდარიო“.  
 იქამდინ მიზდი გიგაურმ, იქ დაანება თავიო.  
 ჯარი ბელექან შეჩინდა, ვიგაურთ ვაცის რქანიო,  
 „ეხლ გინდ გარეკეთ, რჯულ ძალნონ, ეგ უპატრონონ  
 ცხვარიო“.

ე ამის მომლექსობელი, ალვანში, თუშის ქალიო,  
 გულ ლალი არ ვის გეგონოთ, მეც იქ მომიჯლეს ქმარიო:  
 საჩუქრათ გამომიგზავნეს თეორი შიშაგი ცხვარიო.

## 16. იმამ შამილი

ერთხელ თურმე იმამ შამილს მუქარა სოხოვეს პირათა:  
 „შე, მგონია, დაიკვეხნე თუშეთს წავალ საომრათა,  
 თუ მოხვალ, კი გიმასპინძლებთ თუშები ვაჟკაცურადა,  
 თუ გახსომს ფარსმის თაობა, ან თუ იცნობდი მურთაჭასა?  
 შენცა ეგრე გიმასპინძლებთ, ისე გაგზავნით მტირალსა.  
 ლადას რომ დავეჯახენით მაღლა ხისოსა მთაზედა,

სამოცი ლექი მოგიყალთ, ხმალნი გილეწნეთ თავზედა,  
ჩვენის თოფების ნაბეჭდით სისხლი აწვიმეთ გზაზედა.  
ჩვენმა მთავრობამ შეიტყო, წიგნი დასწერა წამზედა,  
ფოშტის ფული გვაპატია სამ წელიწადი კვამლზედა“.

## 17. ჩავით გაღარი

შამილსა დაუბარებავ თუშების მუქარაზეო,  
გაიგო ბელად დავითმა, მიდგ-მოდგებოდა ბანზეო.  
სალაშქროდ ყმანი შეყარა, გაუდგებოდა გზასაო,  
ავიდოდ იალალზედა, ცივსა ჩამოვლენ მთაზეო.  
საყორნის ღელეს ბუდობენ ნარჩევ დალესტნის ყმანიო,  
დავით ეწვია ლეკებსა სადილობისა ხანიო.  
— „აბა თქვენ, თუშთა შვილებო, ახლა იშიშვლეთ ხმალიო,  
თოფთა, ხმლითა ვიომნეთ, გულს ერჭოს ხანჯლის  
ტარიო,  
ხმლის ფხაზე სისხლი დაგუბდეს, ალარა სჭრიდეს ხმალიო“.  
თუშნი და ლექნი შეიბნენ, სისხლისა დადგა ტბანიო.  
დამარცხდა შამილის ჯარი, ასამდის წაწვა მკვდარიო,  
მიდ მოდიოდნენ ყორნები: „საით ჩავშალოთ მხარიო?“  
— „ე მანდ, ამბობენ, დაეითსა სისხლისა უდგა ტბანიო“.  
ეგ რომ გაიგო შამილმა, მლვრიე დაედო ფერიო.  
— „მე თუშებმა როგორ დამცეს? მე კაცი, ალარ ვარიო,  
ქალი გარ ჩიქილიანი, თმა გრუზა კოწოლიანი!“  
ვეზირებმ წყალი მიართვეს, ამით იგრილე გულიო!

## 18. თამარ დედუკალი

სუეკებსა ჰქონდა ყრილობა, საც დიდი მოედანია.  
 ეუბნებიან ერთმანეთს: „ერთურთს უჭიროთ მხარია,  
 ღვთის შვილთ მოუკლათ კოპალე, თავზე დაუცნეთ ქვანია“:  
 გაუგო დამბადებელმა, ჩამოგზავნ იასსარია,  
 გამოერია ლეკებში, ცხვრებულად დასჭრა ყელია.  
 შუამვლად ჩამოვიდოდა თამარ დედუფალ ქალია,  
 ზღვას გადაკრა ქიჩილა, ზღვა იქით გადაბრუნა.  
 შუა ზღვას დაკრა სამიანი, არ გადმოვიდეს ნამია.  
 პირდაპირ ჩამოუჯდებოდ ლალი ლაშარის ჯვარია.  
 შადაუხედავს ტერელოს, გამრავლებულა ცხვარია,  
 შეყარა თავის საყმონი, გრძელ გორჩე მიღის ჯარია.  
 ქვახიდის ჭალას გროვდება საქართველოსა, ჯარია,  
 წინ გარა გაუძლვებოდა, ღმერთმა დაგწეროს ჯვარია.  
 იქიდან გაიძერებოდა, როგორც ნაგუბარ წყალია.  
 საბაკეზედა წინ წავა წუწის პაპა ბერია.  
 — ვინა სთქვა, ვის გამბ ენაი რო წუწის პაპა ბერია?  
 ცხენზე შაფრინდეს ქარია, მაუქვეითოს მგელია.  
 შამოაბრუნეს ტერელოს ცხვარ-ცხენი ხაროვანია:  
 უკან გამოყვენ დევრათა ნარჩევნი მეომარნია.  
 გვესროდენ სეტყვასაყითა, ტყვიას არ ქონდა ძალია,  
 ნუ გიკვირთ, თუშნო, ფშაველნო, არ არის ჩვენი ბრალია.  
 თან გტანავ ლაშარის ჯვარი, იმისი გიქრისთ ქარია,  
 ხელში უჭირავს ლურჯაი, ფეხს უკრავს ოქროს ნალია,  
 ხარ-ილლივ ჰკიდავ მათრახი, გაშალოს შეიღი მხარია,  
 შემოდგებოდა აწუნტას, შემოაბნელა მთანია.  
 ქვახიდის ჭალას გადმოდგენ, ცისი არ წვდება თვალია,  
 კაცს კაცის თავზე გახვდებოდ ასასცებარ. ათათ ხარია.  
 სალაშარის ჯვარად გაუშვეს თეთრი ქორენა ხარია.

სამლოო ქნეს ფშაველ-ხევსურთა, დაკლეს წარი და  
ცხვარია...

ადიდეს ლაშარის ჯვარი, თამარის ნაჩუქარია.

იმის ქებით და დიდებით გული ვერ მოუფხანია.

ლაშარის გორჩე დაჭკიდონ ჩემი პატარა ზარია.

დახქრას, ხმა ახადს გავიდეს, პირჯვარი დაიწერონო.

### 19. ბ ი ბ ე

საღამო ხანი მოვიდა ცამ დაიხურა ბურია,

სულ ერთ ადგილას დაჭუჩდა თორმეტი ბინა მცხვარია.

ლექსო გარბოდა გიგასთან: გიგავ წაასხეს მცხვარია!“

— „შენ აქ რაღაზე მორბოდი, იქ არ მოიკალ თავია?

მომგვარეთ ჩემი ქურანი, ის ოხერი და ტიალი!“

ქურანს დაადგა საქანზი, ქურან დაიწყო გრიალი.

ექვსი გარსაკრი ამოსდო, მეშვიდე სამკერულოი.

გადის და გადის ქურანი, თან გასდის ცეცხლის ალიო.

გვერდზე ძალლები მისდევენ ნაჩეუბარ, ნაომარიო.

ექვსი მთა გაარბენინა, მეშვიდეს მოსქრა კვალიო,

გაიხედა და მიდინ, მცხვარია გალა-გალაო.

— „გაე შირაქში გაზრდილო, საით მიგიდის ფარაო?“

დაუჩოქა და ესროლა, ვაცსა მოსტება რქანია.

შემოტრიალდნენ ვაცები, სულ შეაგუბენ მცხვარია,

კაფა და კაფა ლექები, როგორც ბოლოკა მხალია.

ერთი რჯულ-ძალლი თათარი მაჯაში იყო ჭრილია,

იგრე აკუწა გიგაი, როგორც ყაყოშა მცხვარია,

თავს ქურანი დაჭვითინებს, როგორც ქალწული ქალია.

გვერდზე ძალლები ყმუიან: „გიგაა ჩვენი მკვდარია!“.

გაითამაშეს ვაცებმა: „შირაქ შავლალოთ მცხვარია.“

— „რა გათამაშებთ, ვაცებო, გიგაა ჩვენი მკვდარია!“

ექვსი დღე ღამე იმგლოვეს, არ შეატოვეს რქანია.  
არცა მოძოვეს ბალახი, არცა დალივეს წყალია.

ამ შიარის გამლექსავი ალვანში თუშის ქალია,  
სალექსოც გამომიგზავნეთ სამასი სული მცხვარია;  
წინ ყოჩი გამოუმგზავრეთ, ყელზე დაპკიდეთ ზარია,  
უკან მწყემსი მაყოლეოთ, მხარზე გაუდეთ კავია.

## 20. აქვასაზე გეღაშეგება

დიჭლოში ვაჟნი გაზდილან ერთკვადის მეშურნენია.  
ამზობენ: „კეთნა რად გვინდა? ბრძოლისა მოგვდის  
დღენია..

გაზაფხული მოახლოვდა, მთისა აგვიჩნდეს ცერია,  
აქვარის მაღალ მთაზედა ჩვენ ვათარეშოთ ცხენია,  
თოფებიც იქა ვამღეროთ, ბანსა გვეტყვან ტყენია,  
ტყები ლეურ მთისანი, დაკიდებული ხევნია“.

— „ივანევ ბექურისძევო, დედის ძუძუც შევრგებია.  
ვაჟნი ჯარად აპირებენ, წინ გაძლოლა შენ გრგებია“.

ეგ რო შეიტყო ივანემ; თვალიდან ცეცხლი აფრქვია:

— „გვალეთ, ბიჭებო, წავიდეთ!“ წინ გაუძლვება თავადა-  
თიჩქს თავ გადაიარეს, ყიდულ თვალთ აუჩნდებაო,  
აქვარის მთაზე გადადგნეს, ცხვრისა, მწყემსებიც დახვდება.  
ქურაძემ სთქვა: „მწყემსი ეხოცოთ, გზა ბაგანზე არ იქნება-  
აქვარიდან მთიბავები შზის მოსვლაზე აგვიჩნდება,  
სამთავ ერთავ დაუტიოთ, ერთიც ვეღარ გადაგვრჩება.  
მზის მოსვლაზე მთიბავები აქვარიდან გამოჩნდება,  
ივანევ, ნება მომეცი, გული გულზე აღარ დგება!“  
ივანემ ჯვარი დასწერა, წინ თითონაც ჩაუძლვება,  
ივანეს ბექურაიძეს ფეხქვეშ მკვდარი გმევება.

ხმლითაც სცემს. ქურაზიშვილი, ლამაზალაც მოუხდება.  
 ერთ წყეულ ლეკი ხანჯალით შუაზე დაადგებისა —  
 „ახლოს მოდექით, თუმებო, ბიჭობა აქ გამოჩნდება!“  
 ბაგანაძემ დაუტია, ხმალი შორიდამ მიწვდება,  
 ლექსა რო ხმალი შემოკრა, მალე თავქვე გაგორდესა.  
 ჩაირბინა ბაგანაძემ, მარჯვენა თან გამოყვესა,  
 „მტრისა მოჭრილი მარჯვენა ციხის კედელს მომიხდება  
 გამობრუნდეს, ე მანიდან ნაბრძოლი წითლად დარჩება.“

## 21. მხენო, ღაღი გყავს პაზარი

ცხენო, ლალი გყავს პატრონი, ამოგიცვარავს ლაგამსა.  
 ხმა რო დაგარდეს ლაშქრისა, ფეხს ოთხსავ დაგიმალავსა.  
 ცხენ ეუბნება პატრონსა: „ნუ გამაქცუნებ წინაო,  
 ცხენთ უან დამაყენებდი, გითომც დაგოვარდ გზაზედა,  
 ცხვარს ნურავ მიმადევნიდი, უანგს ნუ მომკიდი ნალშედა.  
 სველია ცხვრისა ბილიკი, ფეხ მომიცურდის ნამზედა,  
 თუშთ რო თარეში გაუშვინ, ლაგამ დამადვით თავზედა.  
 გრძელ შარას დამაყენებდი, მაშინ დავგოგდებ გზაზედა.  
 წინა წაგიყვან ბაკის კარ, თვალ ჰქონდეს მოჯერეზედა.  
 მოჯერე, ღმერთმა არ მოგვცეს, მწყემსებს გაუგლი განზედა.  
 სახელსაც მოგატანინებ, თუ მლერა გინდა ჯარზედა,  
 ქალები აგახსენებენ, თუშეთს მბრუნავი ბანზედა.“

## 22. ბაგვაზელებთან ბრძოლა

ამში ნამყოფთა თუშებსა ამბავსა ჰკითხვენ დედანი:  
 — „აბა, შვილნო, გვისაუბრეთ საით ივალეთ ცოდვანი?“  
 დასხდეს თუშებმა, უამბექს ამბავი ბაგვაზისანი:  
 „ბაგვაზის მთები ყოფილა შუაზულ დაღესტნისანი;

შურთხი სტევნდეს მშეენიერად, სულლუმნი მაღლა  
მთისანი;

გალმა-გამოლმა ყორნები დაყეფდენ ავის ხმისანი.  
მშეენიერ მთისა კალტებზე უივილი გვესმა ცხვრისანი.  
აქებდეს ბაგვაზელებსა, ჩვენ იმათ ჩაუტიეთა,  
დავხოცეთ მეცხვარები, ერთიც არ დაუტიეთა.  
ერთი გაგვეტა დაჭრილი, ცოტა გზა გაუტიეთა,  
მობრუნდა და დაგვიძახა: „თოფს რეტი დაგვიხვიეთა,  
პირველადა, რო მოკალით, მებრძოლნო, ევა თქვენია  
თუ გინ დაბრუნდით, ნახევით, იცანით ქრისტიანია“.  
მივბრუნდით, მალ ვნახეთ, ვიცანით ქრისტიანათა,  
თვალთა ცრემლნი მოგვედინეს, და ვიტირეთ როგორც  
ძმათა.

ეს სირცხვილი გავაკეთეთ, არც კი ვარგა სათქმელადა.  
დედანი მოსთქმით ატირდენ: „ვინა იყო დალესტნადა,  
უმოწყალოდ ტყვედ წასული, რო მოკალით თავის ძმათა?  
თავის ღმერთს რას უჟღნებით, ან იმისა დედმამასა,  
რომ მოკალით იგი მუყე, მისი სისხლი ასვით ხმალთა?“

### 23. უმან ხაჩიშვილი

შურმუხტი არის, უფასო, ლალებიც იაგუნდია.  
ყირმიში თველებით მოჰვედილ, ზღუდი ფირუზით ბუდეა,  
მარგალიტი და ჯავარი, ალმასი ჯვეული გუნდია.  
შიგ ზღვასა ქვიშა ნარევი, ქვეშ კლდეს მიწაზე უნდია.  
რკინასა ვასჭრის რკინავე, ფოლადი მასვე სჯობია.  
მჯობნისა მჯობსა ვაჟკაცსა სახელიც დიდი ხმობია,  
მტერსთანა გულის გაწყობა ძნელად ხო გასაბეღი.  
ეგრე უმან ხაჩიშვილი ამხანაგად იყო ჩემთან,  
ერთხელ ძალზე მოიქანცე, მიმებინა ერთ დიდ ხესთან.

მე ლეკებმან დამიჭირეს, თასმით შემკრეს მაგრა ხელთა,  
წამიყვანეს ტყვეთა მტანჯეს, ფიცით ვჩიტი მაღალს  
ლმერთსთან!

გადმიყვანეს ანწუხშიგა, რაჯაბელაც ჩამაბარეს.

შიგ ჩამაგდეს ხაროშიგა, ზედ დიდი ქვა დამაფარეს,  
არცა ხქონდა ცას ნათელი, არც შუქები მზეს და მთვარეს.  
დავყავ ხანი იმ ხაროში, საცოდავად ვიტანჯოდი,  
წვერი, თმანიც შემებარდა, ქურქი მწვავდა, ვიღაგოდი.  
ომანისა იმედებსა ჩემსა გულში ვიძახოდი:

„გამომიხსნეს ტყვეობიდან“, სულ ხო იმას ვიკვეხოდი.  
მადლი ლმერთს, იმ ჩემ გამჩენსა, ომანის გულს ეს გაეგო,  
ხმალსა დუმა გაპერა, თურმე, ქარქაში ისე ჩაეგო.  
მოპეარითა მოსრულიყო, ცურვით მიწას გული ეგო,  
ყარაულსაც სძინებოდა, იმის ხელით სიკვდილ ერგო.  
ამომიყვანა ომანშა, შემიხსნა ხელ-ფეხ ხუნდები,  
რა გავაგრძელო, რა გითხრა, სიტყვასაც გვიან უნდები,  
სახლში შევიდა გულდა გულ, მათი დღე მოდის ცუდები,  
ყველას დააჭრა მკლავები, იმით აავსო გუდები.

## 24. ნარია მგეროიძე

ლექეთში ქალი ატირდა: „ნეტა ვისი ჭარ, ვინაო?  
მოსტქვამდა ცრემლთა ფრქევითა: დამსვამენ წყლისა  
პირსაო,

ანამც წყალსა გამაყოლა, დანიც მკვდება ძმისაო,  
ფეხსა მიყრია ბორკილი, ცრემლითა ვიბან პირსაო.  
პურსა ვჭამ მწარე შხამითა, ცრემლებს სატანად ვატანო,  
რო ვიყო თავისიუფალი, გადმოვირბენდე მთებსაო.  
ძმებო, თქვენ შესატყობრადა, ღამეც ვივლიდე ბნელსაო,  
ა, ვაჭმე, დიკლოელებო, სულ მასპინძლებო მტრისაო!“

— ალიბეგმა ჯარ შეყარა, ურჯულო დაღესტნისაო,  
ამბობენ: „დიკლოს დავეცნეთ, ნუ დავაძინებთ ხალხსაო.  
შწყემსები ზმლითა დავხოცოთ, ფარებ მოვრევოთ  
ცხვრისაო“.

ჩეეთარეშნეს დიკლოში დილა თენების პირსაო.

გაუქეჩიან ვაცებსა მგელობის ნადირისაო.

ზეზე ადგება ნადირო, რისხვალე წარბთა ხრისაო,

— „თუ ცხვარი ლეკთა წამისხეს, სიცოცხლე რაღად

მინდაო,

შენაქოს შემატყობინეთ, მედგრად მებრძოლთა გმირთაო;

მიშველეთ, ცხვარი წამისხეს დაღესტნის ლეკთა შვილთაო“

ნადიროს დედა ატირდა, საშინელს ამბობს ფიცსაო:

„წავა და ველარ მომივა,“ სოჭვა, და დაეცა ძირსაო,

ნადირომა სთქვა: „გულწასულს წყალი უჩვენეთ პირსაო“.

თითონ გზასა•გაულგება, ძეი ახსენა ღოთისაო:

„ლმერთო, შენ ზარ ღონე ჩემი, ნუ ჩამყვება ჯავრი

მტრისა!“

მთისა ძირას დეეწევა, კივილი მოდის ყმისა.

ორი მოუკლა თოფითა, მესამეს ხანჯლითა სჭრისა.

მობრუნდეს, ნადიროს დაკრეს, მუხლი მოკვეთეს მგლისაო,

ნადიროი ბობოქრობდა, სისხლში სულ გათხვეფილიო:

— „გულო, ნუ შეგეშინდების, ფიქრი ნუ გაქვის მტრისაო,

სისხლი ბევრსა დაულვრია ამ ჩემს საზღვარზე გმირსაო,

რა იქნება ჩემნც რო მოვკვდეთ, არ დავკარგოთ ფარა

ცხვრისა?“

აშოთხრა, მოესმა ცხენების შორით გრიალი,

სთქვა: „საღმე ჩემდა საშველად გმირნი მოდიან

გმირთანი!“

ჰახეს, ნადირო მოუკლავთ, საბრალო სისხლში მცურავი,

ატირდეს ლაშქართ ბელადნი, ბოქჩნი უხმობენ ტყისანი:

„ველარ გიშველეთ, ნადირო, ცხვარიც მთას გადავიდაო“.

ახვას მგელოზის თამარშა ნაწნავი დაიგლიჯაო.  
 ცრემლსა სისხლი შეერია, ვაცები იცნო ძმისაო.  
 მუხლის დრეკით მიეგება; „ხელი მიჩვენეთ ძმისაო.  
 თუ მომიკალით ნადირო, პირი გაგიშურო ღოთისაო“.  
 დანანდა ლეკის ბელადსა, ცრემლები გადმოცვივდაო.  
 უთხრა: „ხელი ვერ მოვიღეთ, ხანი არ გვექნა ცდისაო,  
 კაცი მოგვიკლა მოზაქემ, შიში ქონდა ნანოზასა.  
 მთისა ძირას დაგვეშია ნადირი მგელოზისა.  
 ორი მოგვიკლა თოფითა, მესამე კი ხანჯლით კუწა,  
 ჩვენც კი მალე გავაბრუნეთ, მუხლი მოვწყვიტეთ გმირსა“.  
 კახეთს შაიტყო გიორგიმ, გულხელდაკრული ზისაო,  
 შვიდ წელიწადი ვიმწყესეთ, ვერ მოვიმხარეთ თავსაო,  
 ვერც დავიხსენით ტყვეები, ვერც ხარჯი უქენთ.  
 მკვდარსაო.

## 25. ნანო თორალვაის ძელი

ტუტარიჯ წისქვილს ატირდა ნანო, თორალვაის ქალია:  
 — „გარეთ გამოსვლა მამიხდა, ვაჲმე, დამეცნეს ცანია,  
 გვერდით მამიკლეს ძმა ელან, სისხლის დაბრუნდა ტბანია,  
 ხელ შასჭრეს, ჯიბეს ჩამიწყვეს, ძირს ჩამოვყარე თბანია,  
 გამგზავნეს სახვაოდა, ცამ ჩამოყარა ცვარია.  
 ჩაეთრისა მთაზე მავალსა უკან მაბრუნებს ქარია  
 ახვას სოცელში ჩაველი, ირგვლივ ლეკისა ჯარია;  
 თეთრი ამხადეს თავშალი, შავი დამხურეს შალია.  
 პური მშიან და ვერ გჭამე, რჯული ვერ გამიტებიდ,  
 წინ მიდგას ოქროს ლამბაქი, ზედა კვიცისა ხორცია,  
 ზედ აძევს დანა ფოლდი, ტარი. გიშრისა აგია.  
 მითქვიდით ჩილოელებსა: კიცვას უჭირონ მხარია,

უთხარით ჩემსა საქმარეს: „წელზე შეირტყას ხმალია,  
თუ სოფლად ვერას ჩამოვლენ, მთას უდგა ხაროვანია.“

ამ ლექსის გამომთქმელი ახვას-სოფელში ვარია,  
ფეხზე მიყრია ბორკილი, თვალზე მიბრწყინავს ცრემლია.

## 26. გუვერ გაჩაცება

გასწი, გაფრინდი, მერცხალო, გადაიარე მთანია,  
შენი ჭიკჭიკით ახარე კახეთის წინა მხარეა,  
ალერსით შემოიარე თელავის მიწა-წყალია,  
მიბრუნდი ჩემსა სატრფოსთან, და ჩამოართვი ხელია.  
თან სიტყვა შემოუთვალე, მშვიდობა უთხარ ჩემია:  
— „მიყვარხარ, ბიჭო, მიყვარხარ, მიყვარხარ გენაცვალეა;  
არცა ხარ ისქ ლამაზი, არც ფერად მოსაწონია,  
მე კი მიყვარხარ, გენაცვლე, რად მინდა შენი ფერია?  
სიზმრივ ხარ ძნელად „სანახავ, ცხარე და სანატრელია,  
მოდი, შევირთოთ ერთ-ურთი, ვართ ერთ-ურთ შესაფერია,  
ტანით ალი ვარ, სახით მზე, თუშეთ თემისა ქალია,  
კარზე მიღვანან მთხოვარნი, ვირჩიე ლერწამ ტანია“.  
ორშაბათ დილა გათენდა, უნდა დაგვწერონ ჯვარია,  
შეა ლამისას ლეკებმა გაგვიღეს ციხის კარია,  
მოვიდნენ, გამომიყვანეს თვალ-ცრემლიანი ქალია.  
მთის წვერებ გადამატარეს, ცრემლით ვასველე. გზანია.  
ჩამიყვანიან დალისტან, ლეკის მეხვევა ქალია:  
— „ნეტავი სხვაც არ იქნება ლამაზი თუშის ქალია?“  
მომნათლეს, როგორც უნდოდა, დამაკარგვინეს რჯულია,  
საჭმროდაც იქვე მირჩიეს ნადალისტნელი ვაჟია.  
მითქვიდით ჩემსა სატრფოსა: „თუშო, რად ვინდა ხმალია?

გადმოდი დალესტანშია, მტრისა იყარე ჯავრია.  
თუ სოფლად ვერსად ჩამოხვალ, მთახე დასტაცე ცხვარია“.  
ტირილით ვერა ვუშველე, ქალმან მოვიყალ თავია.

## 27. გიორგი გელანაშვილი

— საზანდარო, საზანდარო, ცოდო ახსენე ღვთისაო,  
ცოდო მადლი გაარიგე ცოცხლებისა და მკვდრისაო.  
არაგვით ლორი იყრება, სართა შვრება პირსაო.  
გიორგი გელანაშვილი, სარდალი მწყემსებისაო,  
ისე არიგებს მწყემსებსა, როგორც რომ მამა შვილსაო.  
მოჯამაგირემ შეჭფიცა, ფიცი ჰენა მამა ღვთისაო:  
— „გუშინ რომ ლორებში ვიყავ, ნავალი ვნახე მტრისაო;  
ურჯულოს თოფი ვესროლე, მოვარტყი გულის პირსაო“.  
— „შე წუწყო, ვერ გისროლია, პირი გიქნია ძირსაო,  
თორემ მაგ თოფის ამბავ ვიც, ფიცხლავ დასცემდა  
ძირსაო.“.

გიორგიმ ლორებ აყარა, სხვა მთას ჩაუჩენ ძირსაო;  
მანგლისსა პირი შეუკრა, ქოხები ჩადგა ხისაო.  
შუა ლამე რომ შაიქმნა, ელვაიც იქნა ცისაო.  
ლეკები წამაირივნენ, ლეკები დალისტინსაო,  
ორი ურჯულო ბელადი გიორგის დააწვებაო.  
წამაიწია გიორგიმ ორივ დააწყო ქვეშაო.  
დასცა და დასცა ხანჯალი, შაშვიგით აღებს პირსაო,  
ორშაურაშვილს შევხედე, ყველივით სთლიდა ლექსაო.  
ხანჯალი ჩემი მეგონა, შენიც რა ლამაზ სჭრისაო.  
რკინა ნარჩევი ფოლადი, ტარი კამეჩის რქისაო,  
ეგ ჩვენი პატარ გოგალე ლექმა მოიგდო ქვეშაო,  
— „მიშველე, ძმაო გიორგი, თქვენი ვარ, განა სხვისაო?“  
— „გიშველი, ძმაო გოგალევ, ჩვენი ხარ, განა სხვისაო!“

შე ასე დავტრიალდები, როგორც ბორბალი წყლისაო,  
ბელადებიც მე გავკაფე, როგორც ტოტები ხისაო!“  
ახლ არაგვისკენ გადამდგარ იმახდა დიდის ხმითაო,  
ეგები გადავარჩინო, ვინც არი ჩვენი მხრისაო.  
დიღმელებისა ბინაში ორი ბელადი ზისაო.  
შელთ უქერიათ მაჟრები, კონდახებ ლექურ ხისაო.  
ორთავ ესროლეს გიორგის, მხარ ცეროს წამოწვესაო.  
რა ლამაზ მოკვდა გიორგი, არც ჯავრი ჩაჰყა მტრისაო.

## 28. იობ ჩილოები

ლეკო, ვინამ ხარ ლეკეთში, პკეხულობ ჯამაათზეა?  
— „ავდებებ და წავალ საველით, ვივლი თუშეთის მთაზეა,  
თუშურს მოვრეკავ მე ცხვრებსა, ბერდენკასც ვიგდებ  
ხელშია,  
წავართმევ თუშის მეცხვარეს, თავსაც მოვაჭრი ძირშია“.  
ერთი ეტყოდა მოხუცი: „ტყუილად ჰეკება ბევრსაო,  
ვერ იცნობ თუში შვილებსა, შენ თუში შვილებს  
მგლებსაო,  
წახვალ და ვეღარც გადმოხვალ, შენი გადმოსვლა ძნელსაო“!  
არ დაიშალა აბაქარმ, დადგა ქიონის გზაზედა,  
სამი დღის პური წაიღო, ვებუს გადალგა მთაზედა.  
ვებუში უში-ძის შვილი ჩილოელია ცხვარზედა,  
ხელში უჭირავ ბერდენკა, მუდამ აძლევებს ხამზედა.  
მოლოდინი აქვს ლეკების, თვალის უჭირავს გზაზედა.  
ამხანაგებსაც ეტყოდა: „აის, ვინ გაჩნდა მთაზედა?  
აბა წავალ და გავიგებ!“ აბჯარ აისხა ტანზედა.  
შორიდან დაუძახებდა: „ლეკო, მომეცა გზაზედა!  
მომიცა, ვილაპარაკოთ, რისთვის მოსულხარ მთაზედა?“  
ლეკმა გაქცევა გაბედა, იობ გახყვება კეალზედა.

იობი შემოეწევა, ლეკი მობრუნდებ წამზედა.  
ორთვე მიმართეს თოფებსა, გაუხდებ დასწრობაზედა.  
რჩოთვე ერთმანეთს დაპქრიან, სისხლი გადმოუც ტანზედა.  
მეორე ასწრო იობიმ, კეფხა აღგლიჯა თავზედა,  
— „დაიცა, ლეკო, ნუ სწვალობ, ვეღარ წახ ჯამაათზედა,  
სამი დღის პურით მოსულო, აგვი შეეჭიმოთ მთაზედა!  
ვერც კი მე წავალ, ძმობილო, მძიმედ ნატარ ვარ  
ტანზედა“.

„ნეტავ ვინ შეატყობინებს ჩილოელიძის შვილსაო:  
„მწყემსი მოგიყლეს დავითო, ჩობანი შენი ცხვრისაო.“  
შენაქოს მაცნე წავიდა, დავითს ეტყვიან პირსაო.  
ეგ რომ დავითმა გაიგო, თვალიდან ცრემლსა ღვრისაო,  
შეკმაზა თავის რაშვერი, ზედ თავად შეჯდებისაო.  
მალე მიუვა იობი, სტიროდის, როგორც შვილსაო:  
— „ა ვაპმე, ჩემო იობი, მოკლულო ჩემის ცხვრისაო“. [1]  
შინათკენ წამოყვანა, წინ თითონ გაუძღვისაო.  
შენაქოს ჩამოყვანა, ქალი და რძალი სტირსაო,  
ქალი ძმობითა ასტირდენ, დედაი, როგორც შვილსაო.  
ყვავლოში კაცი წავიდა, დედას ეტყვიან პირსაო,  
დართლოდან ტირილ ძმისმის იობის მამის დისაო:  
— „ავაპმე, ჩემო იობი, ობლათ გაზდილო ველთაო!“  
ასტირდუ იობის დედა, იტყოდის ცრემლის ღვრითაო.

—  
მე ამის მომლექსობელი ქალაქს მივდივარ თვითაო,  
მივდივარ სადოხტუროდა, ეგებ ვიშველო ჩითაო.  
ბევრმა ექიმმა გამშინჯა, ყველამ უარი მითხრაო.  
ლექსი ვთქვი შეწუხებულმა, იობ ვახსენე თქმითაო,  
შენდობა მისი დალიეთ, მტრის მებრძოლ ვაჟქაცისაო.

## 29. ბ ე ჩ ი ძ ვ

გვიანდა ჩამოდიოდა მათურელების ცხვარია.  
 ქიზიყის ბოლოს ჩამოდტა, როგორც ნაგუბარ წყალია,  
 შირაქის ქედზე გადადის, გადაათეთრა მთანია.  
 აშბობენ ქიზიყელები: „ნეტარ ვისია ცხვარია?“  
 მათუხელთ ბინას მიადგნენ, ბაკებს გაულეს კარია,  
 გარს შემოარტყეს სანგალი, სამ ღამეს ედგა ცხვარია,  
 ალვადარაში ჩავიდეს, აღარ დაუხვდა ხამია.  
 ბერიძე ეტყვის მამასა: „ცხვარს მოგვიწყურდა წყალია.  
 მამავ, ჩამიდე საგზალი, ორნი გამომყვნენ ცხვანია.“  
 წამლით გაამსო მასრანი, თოფს დაუპირა ტალია.  
 ჩავიდა ლეკის წყალზედა, დაალევინა წყალია.  
 იხივლა, შემააბრუნა: „ცხვარო, მოძოვე ხამი!“  
 თათრების მოლოდინი აქვს, გზისკენ უჭირავს თვალია,  
 ცოტარა ხანი გავიდა, შემოჩნდა თათრის ჯარია.  
 ცხვარ დააბრუნა თათარმა, არ დაანება თავია,  
 თოფი დაღრიჯა თათარმა, გულმა არა ქნა შიშია.  
 წინ წინ ბერიძეშ დასწრო, მანძილავ დასხენ რქანია,  
 მეორეც მალე მიასწრო; „სვი სისხლი, კვნიტე ძვალია!“  
 მინდორს გორევდა ბერიძე, ცხელის ტყვიაით მთვრალია.  
 ზემოთით ბალლი დახყურებს, ყმაშვილი უმეცარია.  
 ჩამოშველება სწადიან, ცდისი არ ხქონდა ხანია,  
 ცოტარა ხანი გავიდა, იქ დადგა ხანჯრის ჩქამია.  
 — „მაგას რაღათ ჰქლავთ, რჯულძალლო, გან ეჩეც  
 მეომარია?“  
 — „ამას მიტო ვკლავთ, ბერიძე, შური გვაქვს საძებარია,  
 ორ ხელით მიგყვავს დაჭრილი, სამ ცხენს გვიკიდავს  
 მკვდარია“.  
 — „ბალლო, შენ სახელ არ ვიცი, თითონაც ავად გარია.  
 დვად ვარ შაწუხებითა, აღარც კი მნებდა თვია.

რაგ მამა შენსა, მეგელასა, რისთვის დახურენ ტანია?  
გასწირე შუა გზაშია, ცხვარს დაუნებე თავია.

სასუფეველსაც დაგადგამს ლალი ლაშარის ჯვარია“.

(კას მოსწყდა წითელ ვარსკვლავი, შამოირბინა მთანია  
მივიღა მათურაშია, დაბრუნდა ცოდვა ბრალია.

შენის ბრალითა, ბერიძევ, ქალი ატირდა რძალია.

შავეთის კარზე შემოჩნდის შახყვირე, როგორც ხარია,  
წინ უკლონ შემოგეგებნეს, ყველამ დაგიკრას თავია,  
ჩინი ჩაგიდვეს ყელზედა, იქნები აფიცარია,  
გვერდით დაგიდეს ხელადა, გინათებს კელაპტარია.

### 30. ლაშარს მოვიდა თიღიძე

ლაშარს მოვიდა თიღიძე, დიდგულად ჭაჯდა თუშია:

შამეტევინენ ფშავლები, როგორც რო ბატონს ყმანია:

— „შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ქენ ცოდო ბრალია,  
გასწყვიტე დიაც ყმაწვილნი, კალოდ გალეწნენ მკვდარია,  
ნაკვეთაურის ჭერხოსა შენ შესხენ რკინის კარია“.

— „მაღროვეთ, ფშავლის შეილებო, მალოცეთ თქვენი  
ჯვარია:

მოვსულვარ სახვეწნელადა, მომიყვანია ხარია,

ეგ მაშინ გავარიოგდეთ, როცა გამოვლენ მთანია.

მთა გაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს, ლურჯამ მოხკიდოს ნალია.

ტყემა გაუშვას ფოთოლი, ბალას გაფინოს ნამია.

მთებშიაც გაჩნდეს ჯანყები, მხედარ დაღმალოს თავია,

უბისთავ დანათლებიან თილისძის ცხენის ნალია.

ან ვისი სჭექდეს მაფარი, ან ვისიც სჭრიდეს ხმალია,

ან ვისა მიუდიოდეს ნათარეშალი ცხვარია.

ღელის ძირს გადმოიღიოდეს თქვენი ცხვარ-ხაროვანია,

უკან მომდევდეთ, ფშავლებო, სტიროდეთ, როგორც  
ქალია:

ღელის გორს შემოხკიდოდეთ ერთი პატარა ზარია: ლაშარეულა თან გვიტან, დავლათის გვიქრის ქარია, დახკრა, ხმა ახალს გავიდეს, პირ დაიწერონ ჯვარია. დედამა მისცა ჩემს ცხენში შვიდ ფური, შვიდი ხარია. მე იმან: გადამარჩინა, მის თვალებს ვენაცვალია“.

### 31. ბაგეაზედეპთან ბრძოლა

ალვანში თუშის შვილები ხმალს ულესავენ პირსაო, თოფებსა ძალზე ლმართავენ, ჯავრი გულს მოდის მტრისაო.

დაუბარებენ ივანეს, ელიზბარიძის შვილსაო, შენაქოშიგა ბაკურას, გულადსა, ჭერიტიშვილსაო. წამოვიდოდა ბაკურა, ჯოგი თან მოსდევს მგლისაო, შაგროვდებიან ყვარელში, შეუ ბაზრისა პირსაო. საომრად დროშა რჩეულნი ეკითხებიან გმირსაო: — „დილაზე საით წავიდეთ, საით ლა გვიზამ პირსაო?“ ბაკურა ეტყვის; „გმირთ-გმირნო, ნუ ჩქარობთ, არა სჭირსაო,

მოულოდნილოთ ივანეს, ელიზბარიძის შვილსაო, ეს ვაჟიც გულოვანია, მედგრიად მებრძოლი მტრისაო“. ხალხის ნაპირს გიორგ სდგას, მრისხანედ წარბთა ხრისაო, თოვ გაბუღული მხართ ხყიდავ, ვაღა უნათებს ხმლისაო. გაორგი ეტყვის ბაკურას: „კაცო, რას ამბობ, რასაო? რათ ულოდინებთ ივანეს, გზაც თითონ ვიცით მთისაო, რო აქებთ ბაგდაზელებსა, მათი გაცნობა გვინდაო“. წინ გაუძლვება ბაკურა, გზა გრძელიც შამოკლდებაო. ბაგვაზის მთებსა გადადგნეს, შუგულას დალესტნისაო, ჩეეთარეშნენ თუშები, მწყემსებ დახოცეს ცხვრისაო. მოისა მშვენიერ კალთებზე უივილი მოდის ცხვრისაო.

ერთი გეექცა მეცხვარე, ქორივით სოფულად გაფრინდა.  
შაიტყვეს ბაგვაზელებმა, მოდიან ცხენებ ხეოჭვითა.  
თუშნი გორებში გამაგრდნენ, შიში არა აქვთ მტრისაო.  
დილ სალამომდე იომეს. სულ გააწითლეს ქვიშაო.  
— „გვალეთ, ბიჭებო, გვეყოფა მარჯვენა ჩვიდმეტისაკო!“  
გამობრუნდება ბაკური, ღიმილი მოდის პირსაო,  
წამოვლენ კახეგისაკენ შაირებისა თქმითაო.  
ყვარელში რო ჩამოვიდეს, სუ ხალხი გაკვირდებაო:  
„რა ხალხი ამოუქმეტავ, ხელები მოაქვთ მტრისაო!“  
წინ მოუძლვება ბაკურა, ვადა უნათებს ხმლისაო.  
— „შენი ჭირამე, ბაკურა, სულამ შენ ხმალი სჭრისაო.  
დედამან შეილი გაზარდოს მტრისა დამცემი ძირსაო,  
ბაკურავ, შენისთანანი, თავის მომკვეთნი ხმლითაო“.

### 32. ივანე ერიზბარიძე

ივანეს ელიზბარიძეს ქადინ მოსდიოდ მტრისაო,  
ევალებოდეს თუშები: „ივან, გაგვიძეხ წინაო“.  
წინ გაუძლვების ივანე, ჯოგ უკან მისლევს მგლისაო.  
გაბედეს ქვემოთისაკე, თვალი თან გახყვა ღვთისაო.  
ჩავიდეს ბელაქანშია, სამზირი ლეკებისაო,  
სადილობას დროს ჩამოჩინდ ყუყაი<sup>1</sup> ლეკებისაო.  
ივანეს ელიზბარიძეს სიცილ მოუვიდ პირსაო.  
— „ივან, გადუშვენ ახლები, ლმერომა დაგწეროს  
ჯვარიო!“  
ქება რად უნდოდ თუშებსა, მგლებთ ცხვარი დაკრიფიანა,  
მობრუნდეს ნასახელარნი, ჭექა დგას თოფებისაო.

<sup>1</sup> ყუყაი — მეკოპარი.

ე მაგის მომლექსობელი ქალი ვარ ხმალ შუბიანი,  
შეიტყვ, ივანე, გამოხვავნ საყურებ გუგუმიანი,  
თუ ვერ გაიმეტ საყური, ტყავკაბა ნაჭრელიანი.

### 33. ქოქია და ბეჭუაბებე

სააქვაროებ ლაშქრები კიდუს თავ იყრებიანავ,  
დასხდეს, დარიგდეს თუშები, ბელადათ დაღონზღიანავ.  
— „გაუძელვ, ბეჭურიძეო, ბელადათ გაქებდაანავ!“.  
გაუძლვებ ბეჭურიძეი, გზა ჭირვან ხანდებიანავ.  
ქოქრია და ბეჭურიძეი ერთმანეთს ხბირდებიანავ;  
„ერთმანეთს ნუ ულალატებთ“, დროშას ქვეშ ფიცევდიანა.  
ჩადიან აქვარისთავა, ხმალს სწუნობს, გაუცვლიანა.  
გაბრუნდეს სისხლის ტბაშია, სხვან შორიდ ხედევდიანა,  
ემანდით გამოქცეულნი, შინ ჯალაბს რას ეტყვიანა,  
ჯალაბს თუ მოატყუებენ, სწორებში რას იტყვიანა?

### 34. ბ ი ჭ უ რ ი

— ვარამ გაიგეთ, ფშავლებო, ცახე დაგექცათ ქვისია?  
ომში ამბობენ წასვლასა უცოლოს ბიჭუნისია.  
წასულა თავის ბიჭობით, ნაწილს არ მისდევს ცხვრისია,  
ცხენის სიმარდეს უქებენ, გაჭრასა ფრანგულისია.  
ერთ კვირას გავლილს ამბობენ, სავლელსა ერთის თვისია,  
თრიალეთს გაცილებულა, საჭიარს ფშავლის ცხვრისია.  
ჩახედავს ყარსის ქალაქსა, ნაპირსა შავი ზღვისია,  
შამბულს ამბობენ ხელმწიფეთ თათრისი რუსებისია.  
ეხვეწებ ლაშარის ჯვარსა, ძალსა იმ იახსრისია:  
სამხდროსაც დიღსა უქადებს ხარისისა და ცხვრისია.  
ომებს ამბობენ ძლიერებს, სროლისა ზარბაზნისია.

არ დეერიდებ ბიჭური, გულს ვენაცვალები ყმისია,  
შევიღოდ თათრის ჯარშია, პირს დაიბრუნებს მგლისია,  
განკვირდეს ოსმალელები, ელვასა ღგავა ცისია.  
ცხენზედა შამოიგდებდა თათარსა ოსმალისია.  
თავის უფროსებს მიართვამს, მარჯვენას თათრებისია.  
საჩუქარს ბევრსა უქებენ, მენდლისი; მაგის ჯვრისია,  
კიდევ გამოსვლას ამბობენ ტემლაკს ბიჭურის ხმლისია.  
ავად გამხდარა ბიჭური, წამოსულ ქალაქისია.  
ამბობენ ქალაქელებზ: „რა საქმე ქნილა ღვთის მადლა.  
ცას მოსწყდა, წითელ ვარსკვლავი, დაბლ დაცემულა  
მიწასა!“

კუბოს კარგს გაგიკეთებენ, თეთრის ტირიფის ხისასა.  
ოქროს ღუდუქებს გიშვებენ, შუქს გიყენებენ მზისასა,  
ცოლი არ გყუანდა, ბიჭურო, ცხენს ვინ მოგირთევდ ყინჩადა,  
საგძალს ვინ ჩუყრიდ ბიჭურსა, საკმაო შეიღის თვალისასა?  
შაგიტყვეს მოშავეთეთა, კარებს გიღებენ ხისასა.  
ჩინი ჩაგიდვეს ყყლზედა, შუქს აბნევს სანთლებისასა.  
შამოგეხვიერებს უკლონი, ამბავს გყითხავენ ყინჩადა.  
თან ამას გეობნებოდენ: „ნულარ წაგვიხვალ ღვთის  
მაღლსა,  
აქაც კი იყიცით ომები, უფრო ვიყრებით ღვთის კარსა.  
ხმალს ნუ გაიღებთ სხვაგანა, ნარტყამსა კაის ყმისასა,  
ხმალ დადვან სატირელზედა, შუქს დაიყენებს მზისასა.  
მოტირალ ხელში აიღებს, დამლევს გაქებენ მტრისასა.  
ცხენი უბოძეთ ბიჭურსა, დაღალულ შორი გზისასა,  
ისე ადვილად ვინ გახსნის გულს კაი ვაჟკაცისასა!“

### 35. გერმანიის ომი

ამბობენ ხელმწიფები: „ბრძანება არის ღვთისაო“, კახეთში ტელეგრამები დღეში სამ-სამი დისაო, — „გვიშველეთ, კავკასიონ, ძალი დაგვადგა მტრისაო“. გარეკეს გრანიცაზედა სალდათი ოცის წლისაო. მემრე მოქრიფეს ზაპასი, გზა გაატარეს ზღვისაო. ჰაერში აერობლანები დადგა, და ტყვია სწვიმსაო. შავად იგლება მინდვრები, ალი წევს ზარბაზნისაო. იაკობ ცისკარაული აფიცრებს უყრის პირსაო. — „ჩვენ ან რად გვინდა პრიეზი, ბრძანება ხელმწიფისაო, ან აპელატებ რად გვინდა? ჩვენც მოვკედეთ, არა გვიშაო. წინ წამოსულსაც ამბობენ გერმანელ მეფის შვილსაო. ეგ ან ტყვეთ გამოვიყვანოთ, ან მეხი დავცეთ ციდანო. იძახდა ცისკარაული: „შვილი ვარ ხევსურისაო, მომყევით, რუსთა შვილებო, შიგ გადავიდეთ ხმლითაო“. თან მიჰყვა თავის ჯარები, ფეხში დაძრა მიწაო. მოგვირტყეს გერმანელებმა.. ნამტვრევ წაიღო ძვლისაო, ალეის ხესავით წამოწვა, არ ამაგდებს გმინსაო, უჭირავს სისხლში გასვრილი, ხელში ნამტვრევი ხმლისაო. ცალკე მოლობეს საფულავი თორმეტის აფიცრისაო. ზედაც სპილენძი დახურეს, ნამ არ ჩაგიდეს წყლისაო. გაგზავნეს ტელეგრამები გვარ სახელქობაძესაო, გულმგრად შენდობა უთხარ, დედაო აფიცრისაო. მაგრ იცის მტერმა, დავითო, მომქლავო ბათირისაო.

თუ რა მელექეს იჭითხამთ, ნათქვამი გრანჯაისაო:

### 36. ქისტებს უკარავს ცხენები შხენები

ქისტებს უკარავს ცხენები, მითხუში გადასდენია,  
ნაჩალიკ ეტყოდ გიგაურს: „იმედი მაქვა შენია,  
ადექ და ცხენი შახემაზე, გზა იცი რამოდენია“.  
ჭინ ჭურდნი, უკან მდევარნი, თავს ლამე ედგა ბნელია.  
მიანათებდის ლამფასა, ამბობდა: „ვერა ვქენაა“.  
შუა ლაშისას მტერს მისდევს კლდის შევარდენი ჩქარია.  
დადგომას ბედავს, ლურჯაი თორმეტ თუმნიან ცხენია,  
„არ დასდგე“, ეტყოდ გიგაურ, „ბევრი გაჭამე ქერია“!  
საგათენებლოთ ჭიუხზე შურთხებმა დაჰკრეს ზარია,  
ძალუბს ეძინათ თეოზე, ჯერ არ გაშლილა ცხვარია,  
მუკლედავ გადაეწია, ნავალს დაატყო თვალია.  
ბელოელ აფშინაშვილო, დედა აცხონოს შენია,  
მაშინვე ქისტებს გასძახე: „ძალუბ, სად მიგყავთ ცხენია?  
შინ ვეღარ წახვალთ ცოცხლები, დაგრუკლებიათ დლენია!“  
შათ სწორ-სწორეთ იომეს, ნაყოტრთი აჩნდეს კდენია:  
დაბრუნდ, მოპერების გიგაურ: გილძი მაქვს  
დასათვლელია.  
არწიო, შემოიკვართე ფრთები, წელში გაიგდი ხელია—

### 37. ჩიხარაულის გყავ თეთრო

ჩიხარაულის ტყავ თეთრო, ძუა ნუ გიშვი გქელია,  
ნუმც გასულხარი სასტუმროდ, ნუმც გიჭამავა ქერია.  
მხედარიმც ჩამოგიგდია ჭურაძიშვილი მგელია.  
ბრალი ხარ, ჭურაძიშვილო, ჩამოგთელევდეს ცხენია.  
ფეხ არ გედგ უზანგაშიგა, ლამაზად თითის წვერია.  
ჩიხარაულის ტყავ თეთრი სააყრეს ჩამოხვიოდა,  
ტახტას ეკიდა მათრახი, ცრემლები ჩამოსდიოდა.

### 38. ԷՆԵՋ, ԷՆՉՅԵՍԵՐ, ՅԱԽԱԺՈՅ

— Ըալքյ, Ըագվեեսեն, Յաֆամյազ, տոյ՛թե նյ ցցռնոց ֆօնի,  
ցագօճօ Եցըսւրետ՛նիցա, ხմալ օյա ևելան դժօնան.  
Ըցնալոցնու ըցլես համռեցալ ըոլածյ Ծցորտոլունան,  
Մշմոցըպրեծա տռռլցաօ, ըցտուցան արս նաֆոլունան.  
տռցու Մյեն մոցցա տռռլցամա, ხանջալ Ըցոմալ դժօնան.  
Մարչանուցա համռցունա, մարցենունան ցոյո հուլու,  
Ցուլուս Ֆուրս Ըցցա ռիքունո, մովա ցաքմոցա մէցրունան.  
Ըցնալոցնու ըցլես ցաց՛նորս, հածաճ Ըցեսրա մցրունոն,  
տայստան Ըցուսես պորսան, ցալու ցամռեար Ծցնան.  
տոտռն առողութիւն ցացուուրա տռռլցար սանցլունան.  
առողութիւն յալլեծ ամծունեն, տռռլցա արս մարչանուն.  
— „Մյ մարչանուն արս ցար, մյ մոցալ սորցեցունուն.“  
տռցուճ ხմալ Քամարտ ցաֆամյիմ, այ Ըցալ սորցեցունուն.“  
— „Մյեն տռց ხմալս ցերցոն Քացարմյեցս, Մյեն ხար  
ցաֆամյս մոմկլացուն.“

Ֆանիս մոժառեյ յալ ցոմյթրել ցար, տման.  
Տալլեյսուտ ցամռմուցնազնետ Ծյազ յածա նգոյսուն,  
Տահյուրուալ ցամռապոլցտ Տապուր ծեփու ցոցմունան.  
տռռլցա, Կոլսաճ մոցուուրուճ, զուճ հու ոյո կըտունան,  
Տակոլցտ արս մոյաճրեծ, ածնայրու ხար պման.  
մացուտ, տռռլցաօ, տավս նյ օյեծ, մամա մյուց մյացս ხման.

### 39. პირამი შავაჩერაშვილი

ქალაქ მეტეხის ციხეო, ნაგებო ლურჯის ქვისაო,  
გარს გალავანი გავლია, სიმაგრე დაღესტნისაო,

რკინის გაბია კარები, ოსმალოს ფოლადისარ;  
გარს მორე შამოგიდგება აღელვებული წყლისაო,  
გამოგითხრიდა ლიბოსა, გამოგირდვევდა ძირსაო,  
გაიქცევიან ტუსალნი, ნამყოფი დიდის ხნისაო.

გიორგი შავარდაშვილო, არწივო მაღალ მთისაო,  
ერწოს მოგივა უწყება, ბრძანება ქალაქისაო:

„რად არ ჩამოხვალ, გიორგი, ხანი ქონდ ჩამოსკლისაო?“  
ჩამოიყვანეს გიორგი, სახე ჩამოყა მზისაო.

ბორკილებ გამოიტანეს, დამლონებ ტუსალისაო.

ხელი კრეს, შიგნით შეაგდეს, დაუდგნენ შტიკებითამ.

გარს ტუსაღ მოეხვივნიან, ნამყოფი დიდის ხნისაო.

— „დაჯექ, გიორგი, გვიამბე ამბავი ქვეყნებისაო,  
ჩვენა აქა ვართ ტუსალად, დღე გვაჭვის უბედურიო“,

დაჯლა გიორგიმ, უამბო ამბავებ ქვეყნებისაო:

— „მე ქალაქსა ვარ ტუსალად, დამყრელი აბლებისაო“.

გარეთაც გამოიყვანეს, შუქ დაანახვეს მზისაო.

შექეჩეს სათრიალეთოდ, ხმა კივილ გამოიდისაო.

მუხლებზე ხელი დაიკრა, ვა, დედა გიორგისაო.

ვინა დაგაბრალ, გივარგი, დახოცვა თათრებისაო?

ე მაგის მალექსებელი შირაქის გულში ზისაო.

ჩარგალელ ყაყოჩაია, მათრახის ტარებს სთლისაო.

## 40. ԷՅՅՈՒ ԲՈՂՈՅԵՐՈՒՇ

- Կայուն դաշտեց, ծովեծո, Տոմուրաս յարցու պահստառ,  
Տակսոքրեծլաձա վայրուսա, Տակսենցծլաձա մշտակառ.  
Մայրուլան տուժու Շվոլլեծո յալուցեծսա Մորայուսառ,  
Ըստածարեցեն դաշտուս, Իօլուրունիու Շվոլլսառ.  
— „Աթարս առ մրայլու ծալաես, Հայր առ Մամունու  
մբուրուսառ!“

Տոտոն Մատյանա, լոյրջառ, լուց մոմոնո մտուստառ,  
Քեզ տոտոն Մայլեց դաշտու, Իսպու առ Մայթեցուսառ.  
Գամոհնճա յասրու Ռպալնչեցա, Իոցորու նուց մտուստառ.  
Գարս Հարու Մամոյեցու, Ցովեծո տուշեցուսառ.  
Խողո յ Երեց Տանջրուտա, Խող տողու Սպայրուտ Խուստառ,  
Ըստուս օմ Ցոր ցալու Ցայրեցուս Ցովեծոս Իսրմեցուսառ.  
Ժորիոյու տալուց Օպետեցուս, Ցոյրու Ոյրաց Երի մըլուսառ.  
„Այմու ցոն Մամոմիհնճա Շվոլլեցու Իսմուս մմուսառ?“  
Երլանցու մուսպա Երալցնեց, Տագրունա Իուսցուսառ,  
Եմա մաշոն ցամունդուց Եմելլետշ դաշտուսառ.  
Ծացուլա Երալցնիմշան; Հայրու առ Մայպամլու մբուրուսառ.  
Ցրուստացու յ Երացուս դաշտուս: „Ես դասդուսար Ցրուցուս,  
Վոն Սպայրու Ցրուրու ցիմալուց, Իոցորու Ցրուրու Ցրուսառ.“  
Առ Ըստածարեց Ծացուտու, Ցոյրու առ արու մբուրուսառ,  
Դաշտու, Շենց Ցոյրուս Շվոլլու, Եմալու Եմելլետուսառ,  
Ըստա ցոն Ցոյրու Ծացուտու, Ցոյրու առ արու մբուրուսառ.  
Երլու Ըստար Տանջարսս, Յարաս Մոնցիշցա Եմլուսառ,  
Եյծա առ մոյեպա Ցոյրուսամա, Տան առ Ըստալուց Ցուսառ,  
Տածառ Կոյսալանօյզ, Ցորումու ցացոյիշրու Ըստուսառ,  
Մամ-Ցապու ցուգուանցնու, Մեռցեն տուշեցուսառ.  
Եյցու մեյլմալու Տալլեցու, Իոցոր ցոյցերուցտ մովառ,  
Իսպու առ Մայթեցել Ցորութու դաշտուս, Ցոյրուս Շվոլլսառ?“

ხმა მაშინ გამოიდოდა ხმელეთზე დავითისაო.  
მაგის ცოლების ცოდვითა არ ჩაგიშვებდა მიწაო.  
ვინამ ეტყოდა ბუჩასა სიკვდილსა დავითისაო.

ეგ რო შეიტყო გიომა, ცოდვით დაიწო შინაო:  
— „ავ ვაპტე, ჩემო დავითო, ციხევ, სიმაგრევ ქვისაო,  
ანამ ჯავრ როგორ შევჭამო, დავითო, შენი მტრისაო?  
გაგვიშავდება, დავითო, ბინები შენის ცხვრისაო,  
ველარ გაიშლებ ვებუში, გამთეთრებელი მოისაო.  
ველარც კი კარზე მოდგება ჯოგიც იმ დავითისაო.  
ველარც შეუძლვებ სტუმრებსა სწორებსა დავითისაო“.

ემაგის მოლექსობელი კაცი ვარ, შუცხო მხრისაო,  
სალექსოდ გამომიგზავნეთ ჩექმები თქვენის ძმისაო,  
თხოვნაში არა ჩამიგდოთ, საღათ არს მოლექსისაო.

#### 41. ბრძანებელ ღაშაგის ჯვარი

ბრძანებდა ლაშარის ჯვარი, ცას ლბივარ ოქროს შიბითა,  
ხმელ გორში ბერი მუხა მიღგ, ზედ ლბივარ ოქროს  
შიბითა,

ბევრი უცადა მოყმეა, ვერვინ დამბედა შიშითა.  
სულძალლმა ერისთვიანმა გამომაბრუნა ძირითა.  
ძირში გამიგდო კელები; ჭალისკენ გამიჯირითა,  
სახელ შეუთქვამს ციცითა, იმ შავის ძალლის სისხლითა.

## 42. შავილ მოიღე ხოხობი

შატილ მოიღდა ხოხობი, გულ დიდი დაჯდა კარზედა,  
შვიდი კარზედა ვაუკაცი, ახადელთ მუქარაზედა,  
შვიდსავ უყიდა თოფები, შვიდსავ დახეიდა მხარზედა,  
შვიდსავ უყიდა ფრანგული, შვიდსავ შეარტყა წელზედა.  
შატილით გამოისტუმრა, ხელ დახეა მუქარაზედა.

„თუ ის ქალ აქ არ მომგვარეო, არ მომიხვიდეთ კარზედა“.  
ახადს, გოდერძის ციხეო, შიშით გაქანებს ქარია.

მოდიან შატილელები, ციხევ, შენ მუქარაზედა,  
მოვედნეს შატილელები, ციხევ, გაგილეს კარია,  
შიგიდან გამოიყანეს გოდერძის თამარ ქალია.

ქალი მოსტაცეს ახადელთ, მაატირებენ გზაზეა,  
შემოეყარეთ მოყმეი, თხის ტყავი ეცვა ტანზედა.

დაჯდა, დაპჰითხა ქეკიანად: „სიტყვა მითხარიო წამზედა,  
საიდან მოგყავთ ეს ქალი. რო მოატირებთ გზაზედა?“

— „ქალი მოსტაცეს ახადელთ, შატილს უნდ დაესვათ  
ჯარზედა“. —

— „თქვენ ამ ქალს ველარ წაიყვანო, მოყმე სხვა  
დაგხვდათ გზაზედა!“

თხის ტყავი დაიყრევინა, ხელი-გაიკრა ხმალზედა,  
შვიდთ იმათ, მარტო იმანა ხმლები გაიძრეს წამზედა,

შვიდსავე დასჭრა თავები, შვიდივ დააწყო გზაზედა..

შვიდსავ ახურა იარალ, თითონ აისხა ტანზედა.

თითონ შამაიხსნ ფრანგული, ქალსა შეარტყა წელზედა.

— „ქალო, შენ დაი, მე ძმაი, ნულარ გეშინის გზაზედა,  
მამაშენს უთხარ, გოდერძის, მტრები დავხოცე გზაზედა,  
მე კი არ გამომაცხადო, მტერი ბევრ მიღგა გზაზედა“. —

## 43. ვ ი ს უ ზ ე ნ

ჩემს მტერსა ისეთ ამბავი, რაც რო თუშ ფშაველთ  
მოსვლია,

შირაქსა ტარიმანასა ციხე შუაზე დაშლია,  
გალავან შემოვლებული ივრის პირამდე ჩაშლია.  
ამბობენ მეცხვარეები: „უნდა ჩავსცვივდეთ წყალშია,  
აღარ გაუშვათ მწყემსები იორში, ალაზანშია.“  
დაგზავნეს ყარაულები ნუხშია, ყარაბახშია.  
გახარებია თათრებსა ფირუზან დარჩა ფშავშია.

— „ნუ გიხარიანთ, თათრებო, ნუ იტყვით ჯამაათშია,  
ისევ ჩამოვა ფირუზან სადოლეთ თავის ცხვარშია,  
ისევ შემოვა ფირუზან ხმლიანი სამართალშია“.

გვერდს უდგა მარხვაან თადო, ჩართული ჯვარ მენდალშია.  
უბის პირ მასრან გაყრილი, ჩამშვენებული ტანშია.  
ასეთებ სიტყვებს იტყვიან, ყველას შოუებ ჭკვაშია.  
გაჭირდეს, თუშებს მორეკვენ, გაუტეხელთა ძალშია.  
თუ აღარ იქნებ ფირუზან, მზე აღარ დადგებ ცაშია,  
შოთვარე შეიქნეს შავადა, ჩავარდებ შუა ზღვაშია,  
ჩამოიხოშნეს ვარსკლავნი, ჩაცვივდნენ მღვრივე წყალშია.

ემაგის მოლექსობელი, უკლო ვარ მათურაშია.  
ნეტარ ველარამ გნახავდე სახატოდ მოსულ ფშავშია,  
შევიპატიურ ხწორები, ზემოთ შენ იჯდე თავშია.  
უბის პირ მასრან გაყრილო, ჩამშვენებულო ტანშია,  
ლხინს იტყვი ნელა ნელადა, ხალხს დაუჯდება ჭკვაშია,  
შეამც მომკლ, შენამც გაგამთელ, ჩემიმ სატირლად გავლია;  
თქვენათ მაგივრად, ბიჭებო, ჩამსა შვილების ჯარშია.

## 44. გ ი გ ე ბ

- ვინა ხარ გულ ჯავრიანად, დიკლოს ვინ ბრუნავს  
ბანზეო,
- ჭირიმ ჩამოღვლებს ზამთარსა, ზაფხულს მოელის ძალზეო,  
კითხოდეთ საბუელებსა: „ლექებ ხომ არ სდის გზაზეო?“.
- შოროდე, გურჯო, თუ მკითხან, ჩაუჯეტ ყვარლის  
გზაზეო.
- ტყვებ მოუდისთ ფშავლისი, ტირილით ქალი, რძალიო“.
- „ნუ სტირით, დებო, ნუ სტირით, გიგაი გიზისთ  
გზაზეო,  
თუ თქვენ ლეკებ გაგატანოთ, წვერი ნუ მესხას ყბაზეო,  
ნურცა მიტიროს დედამა, სწორში ნუ დამსეან ჯარზეო“.
- ხმალ და ხმალ გადაერია, ხუთნი დაკაფა წამზეო.  
ხუთსავ აჰყარ იარალი, ქალებს აასხა ტანზეო,  
ქალებ გზაზე დააყენა, მშვიდობით, დებო, გზაზეო,  
ჩემს სახელს ფშავლად ნუ იტყვით, თუშ ვარ, გან ფშაველ  
ვარიო.

## 45. \*

- სოლიშვილმცე ვინ მოქლა, გმირი არწივი მთისაო,  
მტრის დედის მატირებელი, დაზველი საზღვრებისაო?  
მოუკლავს გომეწრელებსა, ვაუკაცი ღალატითაო.
- „რათ მოხვალთ, გომეწრელებო, ჯავრი რა გჭირდათ  
მისაო,  
არ იყო თქვენი საკადრი, ხელ-შექრულ მოკვლა მმისაო.  
საყვედურისა დამდებნო, მთელისა თუშეთისაო“.

II Ա Յ Թ Յ Ա Յ Ե Թ Յ Յ Հ Ե Թ

## 46. ჩაუკარ, ჩემო ჩონგურო

დაუკარ, ჩემო ჩონგურო, შენზე გავაყოლ გულია,  
საყვარლისგანა ავად ვარ, სასიკვდლეთ გამართულია.  
შენგნივ ვკვდები, საყვარელო, შენგანა ვარ ფიქრს  
გართული -  
მუღამა ვდგევარ საჩიხზე, საყვარელო, გულ დახშული.  
ავდექ და შენთან წამოველ, რო ვერ დავიძინე ძილი,  
შენ კარები ჩაგეკეტა, ალარ მომიბრუნე პირი..  
დარტიანი გამოვბრუნდი, მწარედ ამიტირდა გული,  
მეორე ღილით რო შემხვდი, სიტყვა მითხარ მეტად

ცვლილი-

— „ბიჭო, შენ ჭკვიანად იყავ, ორერე გადაგურე ჭირი.“  
მე ხმა ვეღარ ამოვილე, ბაგეს დავიბჯინე კბილი,  
ხოლოთ ერთი ესე გითხარ: „ჩემზედაც ხარ ჭკვით  
„შემწლილი,“  
ჩემიმ სიყვარული დაგწვავს, ვეღარ დაიძინო ძილი.“

## 47. ქარ, გუმინ

— ქალ, გუმინ, გუშინ წინათა დედა რას გიჯავრდებოდა?  
„მომდიოდ შენი ტირილი, ვახშამი მიმწარდებოდა!“  
— „შენი გულისად, მოყმეო, მომეკალ მემართლებოდა,  
დამეკარგ ვერცხლის ბეჭედი, იმაზე მიჯავრდებოდა.“  
ქალს სიკიომ უბედ ჩაუდეა, ქალო, კვესისი ჩემისი,  
გმენაიმც, მაყურებია, ლამაზო, შენის დედისი.

## 48. თვალშეუწენა ღამებს ეპრი

სარკმელით შევხედ, ტარსა ხსნიდა თვალშეუწენა ლამაზ  
ქალი,  
— „შინ წამოდი,“ ხელი მიქნა, „შინ არ არის ჩემი ქმარი,  
ჭალას გავგზან ცაცის თიბად, ხელთ უჭირავს ნამგლის  
ტარი,

სასადილოთ გაუგზავნოთ უმარილო შავი მხალი;  
თუ არ ჭამოს, ჭირი სჭამოს, იმას დალლევს შავი წყალი.“

49. \* \*

ალმასის ფანჯარაშია, ქალო გიჩანდა პირია  
რა უცხოთ გათეთრებულხარ, როგორც საყდარზე კირია.

50. \* \*

გაზაფხულისა ხანზედა ბუკაკას ასხი ბუმბული.  
არამ გინდოდე, ქალაო, არ მოგდიოდე სულ გული.

## 51. გაღმომავალო მეტხალო

გადმომავალო, მერცხალო, გადაიარე მთებია,  
იარე, შემოიარე კახეთის მინდორ; წყლებია.  
მიბრუნდი ჩემსა სატრფოსთან; და ჩამოართვი ხელია,  
თან სიტყვა შემოუთვალე: „მშვიდობა უთხარ ჩემია.  
მიყვარხარ, ბიჭო, ქალასა ბოლომდის მეყვარებია,  
არცა ფერათ ხარ ლომაზი, მაქვს ღიღი სიყვარულია  
აღარ მოსდიხარ, ვერ გნახე შენი ჭირიმე, შენია.“

## 52. ქარ მიღიოდა შეაღხადა

ქალ მიღიოდა წყალზედა ველისას, განა ტყისასა! გზის თავიდან მე გადავსძახ: „თავილ მომიბრუნ ღვთის მაღლსა.“

ქალმან თავ არა მაიბრუნ, მიღიოდ, მიხესოვდ წინდასა. წინდაზედ ცრემლებს მიაყრის, წვიმას მიუგავს, ცისასა. — „ნუ სტირი, ქალო, რათ სტირი, გულში რათ მიყრი ვარაშსა?“

ერთ ცხენ-მეცა მყავს, ქალიო, მიმინოს მიხვავს ცისასა. დავკარგავ, დავიკარგები, ელვას დავხვანებ ცისასა, ქისტეთში გადავვარდები, სახელს დავირქმევ წიქასა. ქისტეთ ციხეზედ დავალობობ მარჯვენას შენის ქმრისასა, ღნებოდეს, ჩამოდიოდეს, ლიბოს არღვევდეს ქვისასა:“

— „მაგას ნუ მეტყვი, მოყმეო, არას მემეტებ ღვთის მაღლსა.

შენამ ცოლს როგორ წართვამ, ღარიბ კაცი ხარ, მდიდარსა? ეგ რო ჩემ ქმარმა შეგიტყოს, ხანჯალს გიჩვენებს იმ წამისა.

სიზმარში სადამ ვართავდე შენ საჩოხესა წმინდასა, ერთ წინდებს ეგრეც დაგიქსოვ, ოქროს დავადებ შიბასა.“

## 53. \*

ვინამ ჩამოხვალ გორიგორ, ცხენიშ ვის მოგყავს რეტალა, ცხენ გყოლი ფეხში გამომბალ, აღარ გევალებ მეტალა, ამ ჩეენის ქალის სიყვარულ მხართ მოგადგება ლეჭალა.

54.

წუხელის ქალმა ლამაზმა კარს ჩაუყარა კლიტენი.  
წიბრუნდა, შუბლი წანასკეთ; „ბიჭო რას მეჯუფთავები? ქალი ვარ დიდის გვარისა, შენგან არ წავიყვანები, ვაშლი ვარ თეთრი წითელი, შენგან არ დავიკრიფები!“

55. ქაღო, ქმარს არ არ შეიტავ

— „ქალო, ქმარს რად არ შეიტავ, არ გასაზრდელო, რას ელი, ზა — „მე ქმარსა არას შევირთავ, დედა მისაკვდავ ვაჟს ველი! არც არა დედა მისაკვდავ, ცოლ გასაყრელი ყმას ველი, ეპალსა ჭია დაგხეიდე, ჩიტმან არ ჭამის, ჭირ ჭამის. მე ქმარსა სხვასა შევირთავ, ნაქმარევმ ჭირი მომჭამოს, ლურჯსა ჩავიცვამ ჩოხასა, ჩავიქნევინებ სახელსა, შახედეთ, აზნაურებო, თქვენ უარესიმც არსაა!“

56. ვაი, რომ მაღა მოგვინდე

ვაი, რომ მაღა მოგვინდე, მაღა გამცვალო სხვაზედა, ლვთის ფიცი გამატეხინო, ჭირი მომიგდო კარზედა, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენ შემოგწირავ თავსაო, შენთვის ჩავიცვამ შავსაო, შენ შემოგწირავ თავსაო.

## 57. მითხარ, ვინ გშობა ხევდეთად

— „მითხარ, ვინ გშობა ხმელეთად, ანუ ვისი ხარ ასული? რად შეშინდი ჩემის ნახვით? მე კაცი ვარ ხორცად სრული. მეფე ვარ და მეფის შეილი, ცხოვრება მაქვს ქვეყნად სრული, რად გეცვალა ფეროვნება, ათას ფერად დასახული? ლერთსა ჩემთვის შეუქმნიხარ, შენა გმონობს ჩემი გული, შენ თავს ვერავინ წამართმევს, მანამდ მიღვას პირში სული?“ ახლა ეთერმა აღმოსთვევა სირინოზის მსგავსად ტკბილადა: — „შენ მე ცოლად რად მიკადრებ, ნეფე გაზრდილი ტკბილათა?“

ადათია ვაჟეკაცისა დედათანა საობრობა.

ტკბილად ჭრიკ-ჭრიკი სამოდ, საცდონებლათ მოუმრობა, ნუ იკადრებ ჩემს დაჩაგრძას, თავად მჩაგრავს ლარიბობა?“

## 58. ვაკე, ჩა ბერი ჩავასაჩვ

ვაკე, რა ბედი დავკარგე შავმა და ბნელმა ქალმაო, სარჩის აწი დავენიაზე, პატრონს მომკვდარსა ცხვარსაო, ჟარჩიომც ქმარად რას მარგებდ, მე უბედურსა ქალსაო? მე ჩემი გადამხდ, ქალებო, თქვენ გაუფრთხილდით თავსაო, ერიდეთ უცნაურსა, უცხო ერისა ყმასაო.

## 59. ბიჭო, ვინ ნეხვარ ეაღეში

— ბიჭო, ვინ წახვალ ქალაქში, ძმაი ვის ყავა ავადა? თუ წახვალ, თან გამიყოლე ქალაქის სანახავადა, თუ თან არ გამიყოლება, საქმეს გაგიხდი ბალადა, გატარებ თიანეთშია, გრას გაქნეინებ შარადა, მიმაქვის ბარგის ურემი, ზედ მიღვას ბამბის კალათა, მინდა გავგზავნო რუსეთში, მოსკოვში დასართავადა,

## 60. ქაღლ, გიქებენ საქმისა

— ქალო, გიქებენ საქმისა, თორმეტს გავითლი ხისასა,  
შენ რო მისდიოდ წყალზედა, ველისა, განა ტყისასა,  
გზის თავზე გადმოგიძრახე: პირი მომიბრუნ ლთის მადლია!  
შენ მე პირ აღარ მომიბრუნ, წყარომასა გავდა ლტისასა,  
წინდასა ცრემლებს აყრიდი, ნაწვიმსა გავდა ცისასა.  
ერთი ცხენი მყავს, ქალაო, მიმინოს გიფსა მთისაო,  
დავიკარგები, დავკარგავ, ელვას გამსგავსებ ცისასა.  
გზაზე ნუ შემიწუხდები, გზისა ნუ მითხრი შორია,  
გზა უგზოდ გაგავლებინებ, ვაჟის ბუნება ხელია.  
გადავვარდები ქისტებში, სახელს დავირქმებ წიჭასა,  
სხვარიგ ტანსამოსს ჩავიცმევ, ლეგლუგა ხევსურ ცხვრისასა.  
ქისტეთს დავკიდებ ციხესა მარჯვენის შენი ქმრისასა,  
დნებოდეს, ჩამოდიოდეს, ლიბოს არღვევდეს ქვისასა“.

— „მაგას ნუ იტყვი, მოყმეო, არც მემეტების ლთის მადლია,  
ეგ რომ ჩემ ქმაოევთ გაგიგონ, ჩაგდგმენა თოფის ნიშნადა,  
წუხელ ვაზდევდე სიზმარში შენსა საჩოხეს წმინდასა,  
ჭრელებსაც გიქსოვ წინდებსა, ზედ ვადებ ოქროს შიბასა,  
არ მემეტები, მოყმეო, მიღბარდე შავსა მიწასა“.

## 61. ქაღლ, ნუ მგანჯავ ლამაზო

— „ქალო, ნუ მტანჯავ ლამაზო, ნუ მკლავ, ნუ დამალონეო,  
თვალებში ჩინი წამერთვა, მქლავში ძალა და ლონეო,  
ჩემი სიობლეც მეყოფა, ღმერთი შენ მოიგონეო,  
კოხტაობას ნუ დაიწყებ, თავი ნუ მაიწონეო;  
არა ვარ შენი მომშვები, რაც გითხარ, გამიგონეო,  
უშენოთ ვერას გავძლებ მე, მოდი, თან წამიყვანეო“.

— „ბიჭო, რას გადამეციდე, რა ჰქვიდან შეიშალეო?

არ ვიცი, რისთინ მოსულხარ, მეზი კო დაგაყარეო.

არა ვარ შენი წერისა, წადი, სხვა შეიყვარეო“.

— „ას, ქალო, ბარევ მომქალი, ეგ რა შემომითვალეო,  
აღარ ვიქნები ცოცხალი, რაკი შენ გამამწარეო,  
დამმარხე შენის ხელითა, გულს მიწა მომაყარეო“.

## 62. ჩვენ არმ ეპთმანეთ გვიყვარებელ

ჩვენ რო ერთმანეთ გვიყვარდა, სხვათამ რად ეჯავრებაო;  
ვერც გაგიცინებ, ლამაზო, სხვანიც გამიხდნენ მტრადაო.  
არა ვარ შენი მომშვები, მტრენიც ამიღნენ გზათაო.  
ერთხელ ვიჯექი წყლისა პირს, არხსა იმ წისქვილისათ.  
მოხვედ და თუნგი დააგსე, დასდევი წყლისა პირსათ.  
დასდექ და მელაპარაკე სიყვარულ ერთ — ურთისაო,  
თუ ამ ლამ ჩვენსას წამოხვალ, კარიშ დაგიხვდებ ლიაო,  
გვერდით გაწვენან ყმაწვილნი, შვილები ჩემი ძმისაო.  
ქალსამ რა დამაძინებდა, მოლოდინ საყვარლისაო,  
ძმა კაცო, შენ ლექს გამოვთქვი, ეხლ ხო იჯერებ ჩემსათ.

## 63. \*

იმერეთის თავგადადიო აქლემის ნატოტარია.

წვიმა უწვიმავ ლრუბელსა, დამდგარა ნაგუბარია,

შიგ ამოსულა იაი, ვარდი ფოთოლი ბრტყელია.

მაგის საკრეფად ქალ მოდის, ირემს მიუგავს ყელია.

თათარი შემოჩენია, გულხადარაი ხდალია.

თორმეტ წელს კეთილში ჩაგესვამ, თუ ვაქს მასხანან  
წვერია,

თორმეტათ მე გაშოგრყვან, გინდ ვისაც იყავ ბერია.

## 64. ქართ. შენ პივიშებულ

— „ქალო, შენ კიციუელაო, თმა გრუზო, კოშოლ წითელო,  
ქისტეთს შენ გაგათხოვებენ, ქალმან შენ გინდა რკინისა.  
მიგცემენ ჯარჯოს ლუხუმსა, ქალს არ მიგაჩდეს ქმარადა.  
ცირბევში მკიდი ყანასა, ძნას აწყობ სამად ჯარადა.  
იქიდან წამოვიდოდი, გზას გამოვლებ ჩქარადა.  
დართლოს ვაკეზე გამოველ, ბუმბულ ამიტყდა ქარადა.  
დართლოს წინ წყალსა მოვადექ, ადვდებულსა ღვარადა,  
დავჯექ და ბევრი ვიტირე, ცურემლი ჩამომდის ცხარადა.“  
— „ბიჭო, შენ ქინიჩაურო, შენამ დაურჩე დედასა,  
წყალსა შენ გამომიყვანე, ლურჯას შემისვი გავასა.  
ლელის ძირ ამომავლიე, ცხენის ნალს მოვყევ ელვასა.  
დაგვიდე, არ მილალატე, ქალმან თავ მოგეც ნებასა.  
მე შენ თავს მაბრალებენა, ვეიცავდა არა სჯერავსა.  
ერთი შენც დათფიცოდი, შენის ყმის გამარჯვებასა.  
მიღ მოდიოდენ ისარნი, შუბებს სწლაპევდენ ენასა,  
დალალებული ცხენები „რომ გადიოდენ გაგანსა,  
გორის გორ მეთოვეები ტყვიას აძლევდენ საგანსა.“

## 65. ქარ. ვინ ხარ

— „ქალ, ვინ ხარ, საით მოდიხარ, გზაი ხო არ აღრევია?“  
— „თითონ არ ვიცი სით მივალ, ტყვე: ვარ შორით  
წამოსული,  
ამა ღამე შამინახე, თუ ხარ ქრისტიანი სული,  
მითამ შენი დაი ვყოფილვარ, დელმამისა თქვენი შვილი.“  
— „მეც თავის დას დაგამსგავსე, მზე თურ გნახე ამოსული,  
თუ დასავით არ გიწამო, გამეწიროს ხმალ ლესული.“

## 66. გარე ჩუკცების სიკვდილი

ცის ჭუხილივით გაისმა პირიქით დაჭრა გმირისა,  
 სუყველა ამას ჩიოდა: „გვეხსნება კარი რკინისა,  
 შძიშე დაჭრილსა ამბობენ გარასა დარცაილისა,  
 ველარ შველიან ექიმებ, სხედან, ჩუმათა სტირისა.  
 ველარც მკითხავებ შველიან, ვედრება იმათ პირისა“. —  
 მიზეზთ რას ეძებთ სხვა და სხვას, დღეს წერა იყო იმისა,  
 სუყველა იმას სჩიოდა: „ვაიმე, რა გმირი გვიკვდება!“  
 კუბოს ფიცრებად მზადდება ქვის ანათალი სიპისა.  
 კარგ საფლავ უნდა გარასა, წყიმა არ ჩაუვიდესა,  
 მტრის ჯავრის არ სჭამდა ვაჟეკაცი, არ გააგონებს კვნესასა.  
 გარაის დისა ტირილი სანთლად დაენთო ზეცასა.  
 აელო მთელი მთაბარი თამარის მოთქმა-კვნესასა.  
 თმები დაიჭრის გიშრისა, ათეულს ხგვანდა კრებასა.  
 ცოლის გულსა ხელა ლახვარი, თუნდ ტირილს ვერას ბე-  
     დავდა.

ჩუმად იტირებს მეჩავი, როცა არავინ ხელავდა.  
 სიკვდილსა აღარ ლნებდებოდ, კერპობა ქონდა წესადა,  
 უნდა ხმალი სცას მტარვალსა, თუ სად მოუვა ხელადა.  
 სული ამოდის გარაის, დევსა გვანდ რკინის მკვეტავსა.  
 დედმამას ანდერს უწირავს: „შანშეს მიეცით ხმალია,  
 სხვის ხელში ნუამც მეგულებს, სხვა ღირსი არვინ არია.  
 ხანჯარი — უუჩხაის შვილსა, ის კარგი მეომარია,  
 ჩემ ცხენი ძმობილს მიეცით, ხელ იმან უსვას გავასა,  
 ალალიც არის იმაზე, ნურც თქვენ დაუწყებთ დავასა“.  
 ესა თქვა, გაქრა, როგორაც შანდალში სანთლის ნაწვია,  
 სახლში დალევა სულისა წეს არარს ძველთაგანია.  
 დერეფანში წექს გარაი, თვალ დახუჭული მკვდარია.  
 თავით დაუდეს იმასა თოფი, ფარი და ხმალია,  
 გულზე დაადვეს ხანჯარი, ხმალ შეუალი რვალია,

ფეხით უდგრა ლურჯაი, ორთ უპყრავთ ლაგმის ტარია. ტოტს უცემს, ელის პატრონსა, დაუგვიანდა მგზავრია. სოფელში გაიძახიან: „ვამე, რა გვეშველებაო, კარგები გვეხოცებიან, ბეჩავი ხელად გვრჩებაო. დედა ვაცხონე იმისა, ჭირიმე იმის გამზღვისა, რამ არ წაილო საფლავში ლაფით მოსვრილი პირია, პირნათლად წავა შავეთსა, საც იმის წინაპარია.“

### 87. მიხაი უშაგაული

ცამან შეყარა ღრუბელი, ნამი ჩამოდის ძირსაო; ვაი, რა ცოდვა ვიხილე ახალგაზდაი ყმისაო. მიხაი, უშარაულსა დღე პქნონდა სიკვდილისაო. მიხაი წყალმან წაგვართო, მოშორდა საჭეოსაო. ატირდა მამა მშობელი, წყალივით ცრემლსა ღვრისაო:

- „ნეტავ სათავე გაგიშრეს, შენ, წყალო, მაღლის მთისაო.
- მიხაი, მე უშენოდა ბინა რად მინდა ცხვრისაომი“
- „ნულარა სტირი, მამაო, არ აწყეინო ღმერთსაო, თუ შვილი გენანებოდა, რათ მანებებლი თავსაო,

მე ხომ ყმაწვილი ვიყავი, გამოუცდელი მტრისაო, თან თვალი გამომაყოლე, დავშორდით ერთმანეთსაო. შენ ისევ გულს მოიმქავრებ, ბინას რომ ნახამ ცხვრისაო, მე აღარ მოგიაგონდები, ვაჲ, ბრალი მიხაისაო!

ვითომ არა გყავს მიხაი, მე აქ მანანებ თავსაო. მე ისევ კახეთში ჩავალ, იქ ვნახაბ დედა ჩემსაო. მაგრამ, იქ ჩასვლა ძნელია, გზა შორით ჩამოდისაო, დავრჩები შუა ვზაშია, გამორიყული წყლისაო.

ვინც მიწა წყალსა მაღირსებს, მაღლი ეწევა ხეთისაო, ჩემს სამაგივრად მაღლობას უფალი გადუხდისაო.

დღეგრძელობა ჩემს ბიძებსა, არ მანებებენ თავსაო, მშობლისა ცრემლი მაღირსეს, მიმაბარ მიწა-წყალსაო.

დედას უთხარით მშობელსა: მალვა არ უნდა სიკვდილსა.

შაიტყო მაგის დედამა, სამზეოს ბნელში ზისაო,

ჩავარდა საგონებელში, შე არ ამოდის დილისა.

— „დედა მოგიკვდეს, მიხეილ, სადამ რას სწევხარ ქვის  
ძირსა.

წყალო, სათავე გაგიშრეს, ცოდვა გაქვს მიხაისაო,

წამართვი, ჩამომიჩანე, რისთვის მიმალავ შვილსაო?“

დილით გამოვა, დადგება თვალ ცრემლიანი წყლის პირსა,  
გინდა ჰსწუუროდეს, ვერ დაჰლევს, ვითომ ღვარია სისხ-  
ლისა.

— „მანდა სწუხდები, დედაო, მე აქა ვწევარ მთის ძირსა,  
ვინც მშობლის ხელში მოკვდება, რალათ ჩივიან სიკვდილსა?

სულ ასო ტანში გამყარა, ცვარი არ დამრჩა სისხლისა.

ჩემს მაგივრათა უთხარით მიტროსა, მამა ჩემსაო:

— „თელავში რისთვის გამზარდე, თუ მწყემს გინდოდი  
ცხვრისაო?

შეყრილან ჩემი სწორები, წიგნს კითხულობენ ჭრელსაო,  
მე წასვლა ველარ მელირსა, საბრალოს მიწის ტყვესაო.

ნუ დამიზოგავთ საწესოს, რაც საკუთნოა მკვდრისაო,  
ვითომ სამზეოს ვყოფილვარ, განა წილსა გთხოვთ ცხვრი-  
საო!

იქ უნდ ვთხოვოთ დუეგრძელობა ჩემის ძმის აბრამისაო,  
იქნება ერთხელაც იყოს სული ახსენოს ძმისაო.“

ერისტო ბარამოშვილი სწორია მიხაისაო,

სამძიმარს შამოუთვლიდა თავიანთ ტირილისაო:

„თავი გენანოს, მიხეილ, მეცა ვარ შენი. სწორიო,

სულეთსა ერთად წავიდეთ, მონატურ სწორებისაო,

ვერ გავახარეთ მშობელი, გული იცინის მტრისაო.“

მე ამის მომლექსებელი საბა ვარ, პაჩოშვილიო.

## 68. სიკვდილო, უსამართლოო

სიკვდილო, უსამართლოო, რად არ აიღე ქრთამია,  
რად ამიტირენ დედ-მამან, შავად შამიმოს გვარია?  
მზეს რად მომაშორ უდროვოდ, მასწავლ სულეთის გზა-  
ნია,

მომაშორ ჩემებრ ტოლებსა, სამარე მიჩვენ ბნელია?

ეგენიც დაისვენებენ, კეპნის ჭირკვანი გზანია,

აბანოს თავის ცერები ქვიშებზე გასავალია.

ხახაბუს თავით ყანები ხაგირზე ჩასავალია,

შალაქ ნაფუძრის ბინებსა ქოხს გამოეჯარ კარია.

ველარც მიდგება ბინაზე თეთრის ვაცების რქანია,

ველარც მთებს გაათეთრებენ თიბელაშვილის ცხვარია,

ნუ შემიწუხდებ, დავითო, ობლების მზარდელ ხარია.

არ გამიკიდო ცხვარ-ცხენი, არ გამილაღო მტერია.

ბიჭ ვიყავ დედის ერთაი, სიკვდილმ დამიბნელ დღენია.

ვერც გავიცანი სწორები, ვერც მოიარე ხანია;

ვერც ვიწმარ ადგილ სახლ-კარი, გალაღდა ჩემი მტერია.

სატირლის კარზე დააბით ეგ ოხერ ჩემი ცხენია.

შაგიმოსავისთ შავადა, თვალებზე მოსდის ცრემლია.

შენდობა დავითიშვილსა, სადაც გარიგდეს ჯარია.

შეყრილნო, ჩემებრ ტოლებო, ლხინობდეს ქალიდ რძალია,

შენდობით მომიხსენიეთ, ვარ ყველას დასანანია.

ძნელ ყოფილ საფლავში წოლა, ენატრებოდეს მზენია,

ქალ-რძლით შემკობილ უბანი, გახელებული ჯარია.

ემაგის მოლექსობელი შენი მეზობელ ვარია.

## 69. სპარალო, ხუშის ჩერაო

თუშურ მთებს ჯანლი ჩამოდგა, შუქი დაბნელდა მზისა,  
აგრილებულა მთა ბარი, აყრას ამბობენ ცხვრისა.

ამბობენ ბარად ჩამოსკლას, დრო აღარ არი მთისა,  
ხეობა პირი ქითისა ბანს აძლევს ერთმანეთსა.

შეურილან ჭინთიელები, ელიან კეთილ დღესა,  
შაბათს დღეს ჰეონდა ქორწილი ხუტის დემეტრეს შვილსა.  
მე ამ რა ვიცოდ ბეჩავმა, ნათელ რა მედგა თავსა,  
წერამც რა მქონდა მწერილსა, გულშიგ რა ედვა ღმერთსა?  
თურსიეს ჯანლებ ჩამომდგარ, საუბედუროდ წვიმსა,  
ქერიგის ცამა იჭების, მიწაც ულებდა პირსა.

თურსიეს ძირის შემცხვარეს ფიქრიც არ ჰეონდა მტრისა,  
ველოდებ გათენებასა, ქორწილს ვაპირობ ჩემსა.  
ხვალე მომივლენ მაყრები, ცხენ ძუა გამონასკვული,  
ამ ფიქრით ვწევარ ცხვრის თეოს, ძილიც არ მომდის  
თვალზედა,

არ იქნა შუა-ღამისა ნაპირ შემომთხვა ცხვრისა,  
გულ-დინჯად წამოვიწიე, თვალი მოვხკილე მტერსა.

თოფის გავხედე ლიშანში, იმედ მქონდ სიმართლისა,  
დავსხლტე, არა გამივარდ, მჭედელიმც მოგიკვდისა;  
თოფო, მოგიკვდეს მჭედელი, ოსტატი ჩახმახისა,

რა უარეს ღროს მიღალატ, ხან დამიკარგე ცდისა.

ქისტებმა თოფი მომარტყეს, სისხლი ბეჭს ჩამომდისა.  
წავიქცი, პირქვე დავეცი, გულ გამილალდა მტრისა.

სოფლად ჩავიდა ამბავი: „ნაპირ სტყდებ მაღლა ცისა.“  
შეიტყვეს ხუტის დედ მამამ, მთა ბარიც შეინძვრისა.

ეგ რომ მარიამ შეიტყო, შუქ დაუბნელდა მზისა,  
ჩამოჯდებ კარის პირზედა, თვალით არ იშრობს ცრემლსა,  
ღუღუნებს ქედანივითა, ვაის იყრიდა თავსა.

რა ცული დრონი დეეცნეს საბრალოს მამა ჩემსა.

სამი დღე ჰქონდა სავლელი, ერთი დღე გადივლიდა.  
მთებს გადავიდოდ მაღალსა, ლამეს გასტეხდა ბნელსა,  
გადავიდოდა ხევსურეთს, ექიმებს კითხულობსა.  
ექიმიც მომიყვანიან, ნატყვიარს მისინჯავდა,  
გულ მხურელად ხელი მომჭიდ, დღე ღამეს მედგა გვერდსა,  
წამლებსაც ბევრსა მაყრიდა, ნაირ-ნაირებს სხვებსა.  
იმედი დიდი დამიღვა მე იმან მორჩენისა,  
მაგრამ მე ვერას ვიტყობდი, პირ არ მქონდ მორჩენისა.  
ვეობნებ ჩემსა დედ მამს: „ტყუილ ნუ ჰყარგავთ ხარჯსა“  
არ იჯერებენ საბრალონ, იფიცვენ იმის მზესა,  
მაყრებიც იმათ გაგზავნეს, ნეფეც არ ეტან თანა.  
იგეთიმ ქორწილ ჭა არის, ნეფეც არ ეჯდეს გვერდსა,  
თავზე არ ედგას გვირგვინი, არ ამშვენებდეს სახლსა,  
ან გვირგვინ როგორ დეედგმის, მტრის ხელით დაჭრილ  
წევსა,  
დღე-ღამე გმინებით ათენებს, გული საკვირვლად კვნესსა-  
ქორწილში მოსულ ნათესავ სატირლად ესხდა გვერდსა.  
დედასა წყალი მოსთხოვა, საგძალი სულეთისა:  
„ნუ სტირი, დედავ, რათ სტირი, ნუღარ მაღონებ  
მევდარსა!“

მეუღლეც შემომივიდა, ცნობაც არ მქონდა მისია  
შემოსვლაზევე შევხედე, თვალიდან იწმენდს ცრემლსაო.  
საბრალომ სული დავლიე მე იმის ყურებასაო,  
დავლიე წუთი სოფელი, მივბარდი მეუფესაო.  
შენდობა დემეტრეს შვილსა, საც რო გარიგდეს ჯარია,  
კაი ბიჭ იყო საწყალი, ლმერთმა აცხონოს მკვდარია.

## 70. ჩՈՂՈՇ-ՑՑՈՒՑԱՅԻ

Կուսկարմա ամռանցյալ, զյուղի Շանճճրա մտասառ,  
արագար Շենո յրտցյուլո, Տօլութելլե մոշկլլ ենսառ.  
Ցցերդուտա մցցանան յՇմայնո, Ծա՛րեծնիսառ.  
Ջուրուտուտ նաջուր այսրյես, Քոլուս մտաս ցաթմունսառ,  
Շնձա ալելոն ցայցացո Տաթուրաց նաջուրուսառ,  
Շնձ մուշտեռն նաթառալո մարալ մտուս Վայրէջնիսառ.  
Քոլումո յմուրյեծ Շայուրպու: „նաջուրո ցցունցու մտասառ.“  
Շուալամուսաս Վայուցն, Շայուրյեն մտա լա ծարսառ.  
Մտաս ցաթաեցըս յլունունսա, Տացցոմահու նաջուրուսառ,  
Լածարո յրտպունս յրուցսա, մաց մցցոմոննուսա Շցոլսառ:  
„նաջուրո ծեցրո յուղունու, յելու քրու արուս ցունսառ.“  
մաց Տուրպուս Հատացընաչիք, Վեյբու Համեցացքու յուսառ.  
Ցցերդուտ մուրուեցու նաթառալո, յՇմայեծ ացցունսառ,  
Վի հու Հանսս յրումա, մշելու Շանիս Մցլուսառ.  
Լածարյես Տացուումեսա Են ար Հասպալլ ցունսառ,  
Տան ցայուռուն լածարո, Շոյք Հայնելու մնուսառ.  
Տան Շյան Հասպունս յրույու մի նախարուսա პոհսառ,  
Տապա ունունու նացլըջեծ լածարյես Տամուսուսառ.  
Նախցոյահու տերասսա Հայութպուն, Տան Կրյոմլլ իսունսառ.  
Ամեանց Շամին ունունուս, Տոյ ցայս ծուլու პոհսառ,  
Հասեցացս միուս Տաթուսա, Ծոյն Հանտեյուլսա տայսառ,  
Ամեանցունսաց Հայունս: „լածարո ալար արսառ:“  
Մալ մոցլուն Ամեանցուն, Կցուլ Հայունցուն տայսառ.  
Տուուլուն Կացու ցաթացնուս, մոցցա Մցուլլ Են Եալսառ,  
Իուրա Շեցուդա Քոլումո, Տուրպու մուսունս პոհսառ.  
Ժլուց ցայնելու Տուուլլ Ելլ Տոյ կաս պմուսառ.  
Վահուս Եմաց ունսա Տուուլլ Վայուցն Օլունուս Եուսառ  
Վայուցն Հա մուրունց Քոլուս Տուուլլ Տայսառ:  
Ցցամուտ մոմունց, մոժմենո, Քյունս ոչչասու յարսառ.

მაგრამ სულ იქვე დაესტოვე, სალი კლდეების პირსაო,  
ჩემი გვარისა ჭალ-რძალი ცრემლით იბანენ პირსაო.

ე მაგის მომლექსებელი დართლოს შუა-უბან ზისაო,  
გული მიკვდება ბრალითა, სხეულ რო ვნახე მისაო.  
დავჯექი, ლექსი დავწერე მოსაგონრადა მისაო,  
სახელ გაგებად გინდოდეს, კოლა ვარ ჭაბუკაიძე.

## 71. მოუკლავთ გეაროს იობი

ნეტავ რა ამბავ იქნება მაგ სატიალო მთაშია,  
მოუკლავს ბეროს იობი, არ იყვ სიკვდილის ხანშია.  
პარასკევს შუა დღის ხანსა ჩამოათეთრია მთანია,  
ამბობენ ბოჭორნელები: „ნეტარ ვის ცოდო ბრალია?“  
— ავამშე, ბოჭორნელებო, იობ აღარ არს ყმაია.“  
შეიტყვეს ბოჭორნელებმა, ყველამ დაყარა ჩქამია.  
შუაღამებდის ეძებეს, ვერსად გადახერეს თვალია.  
დაი დადიოდ ძახილით: „ძმაო, საღა ხარ მკვდარია?“  
ანდრო დადიოდ ძახილით: „გამაგონებსა ძმაია!“  
— „თქვენ კი რა იცით, საწყლებო, მე კი საღა ვარ  
მკვდარია?  
ვის მოაგონდებ სიკვდილი, არ იყო მტრისა ხანია.  
მომკლეს რჯულ ძალლმა ქისტებმა, მარჯვენა მომჭრეს.  
მკლავია,  
შეძებენ აქეთ-იშითა, მე კი სად ვწევარ მკვდარია!  
მიპოვნეს შუა დღის ხანსა, ცის ჩამოტეხის ჟმია.  
ამტირდებიან ჭალ-რძალნი, ცრემლი ჩამოსდის ცხარეა.  
ქმარა ამდენი, ნუ სტირით, წამიღეთ თავის კარზეა.  
ნინო მებრალის საწყალო, მარტო დამრჩალი სახლშია..  
ნუ დამივიწყიდ, ნინოვო, მოსაგონებლად ხალხშია,

ნუც გამინებებ სახლს თავსა, მალე ნუ გამცვლი სხვაშია.  
შანდობა მაინც მითხარით იმ გარიგებულ ხალხშია.  
მაღლია ჩემთვის შენდობა, ნათოფარი მაქვს თავშია!“

მე მაგის მოლექსობელი მარტო დავდივარ ცხვარშია,  
მომწყინდა მემცხვარეობა, ამ ოხერ ტიალ მთაშია,  
დავჯექ და ლექსი გამოვთქვი სახსოვრად იობისია.

## 72. სიჩან სამოირ ლუაბელი

ციდან წამოიდ ლურბელი, დაბლ დაცემულა ბანზედა,  
ვყოფილვარ ცოტაის ხნისა, წერა დამბუის თავზედა.  
მოვიდა შემოღომის ღრო, შირაქის წავალ ცხვარზედა,  
ახალი ადგილებისკენ დავალ ოლქისა გზაზედა.  
იმ დამეს ვნახე სიზმარი, წერა დამბუის თავზედა.  
დავბრუნდი დაღონებული, შირაქის მივალ გზაზედა.  
ბინაზე ამხანაგები მელოდებიან ძალზედა.  
ძლიერდა მივაწი ბინაში, ბინაში თავის ცხვარზედა.  
იქ ვწევარ შეწუხებული, სული მხდებოდა ტანზედა.  
ახლ გამიყვანეს ყანდახში, ვწევარი თათრის კარზედა.  
ეს დალუპილი სიკვდილი რასა დამბუის თავზედა?  
სწაფლად ამიბა თვალები, სისხლი შემაშრო ტანზედა.  
უდროოდ სულ ამომაცალ, გამწირა თათრის კარზედა,  
ალარვინ მყვანდა პატრონი, რომ დამღვომიდა თავზედა.  
ბევრი გინატრე, დედაო, სულ რომ მხდებოდა ტანზედა.  
ვეღარც კი მნახავ, დედაო, კოხტად შემჯდარსა ცხენზედა,  
ზედ მერტყას ქამარ-ხანჯალი, დამშვენებული ტანზედა,  
მამას ვინ შემიტყობინებს, რომ შემეშველოს ხანზედა?  
ცხვარ დამრჩა უპატრონო, მეც დაფრჩი თათრის კარზედა.  
ახლ წამოიღეს თემურაზ, მოჰქონდ ქიზიყის გზაზედა,

იქ მოიტანეს ალვანში, ქალებ ტიროდენ ძალზედა.  
ციდან მოსწყდ წითელ ვარსკვლავი, დაბლ დაცემულა  
ბანზედა.

ჩილოში აქიმიანებს ცა დაზურვიათ თავზედა:  
„აღარ არს თქვენი თემურაზ, ლერწამ დაწოლილ კარზედა.  
დამრჩალა უპატრონოი ურჯულო თათრის კარზედა.  
გებრალებოდეთ, სწორებო, რაც რომ გარიგდეთ ჯარზედა.  
დალიეთ შესანდობარი, რო ისხდეთ ღვინის სმაზედა.“

შე მაგის მომლექსობელი შეწუხებულ ვარ ცხვარზედა,  
მე მამაგონდა თემურაზ, ცრემლებ ჩამომდის თვალზედა,  
უდროოდ ექნა სიკვდილი, ურჯულო თათრის კარზედა.

### 73. ხახაპუერ თიბელასოთი

ცუდ მოიდ შემოდგომაი, დაბრუნდა ცოდვა ბრალია.  
ხახაბურს თიბელაანთა დღე გაუთენდა ავია.  
მომკვდარა დავითიშვილი, მიწამ გაულო კარია,  
— შენის ბრალითა, არსენავ, მიწა იწვება პყარია.  
მზე ამოჩინდა, დაგვეხდა, ატირდა, როგორც ქალია.  
მთვარემ შაიტყო, იწყინა, პირს დაიფარა შავია.  
ჩამოხოშილან ვარსკვლავნი, ბნელი დამრჩალან ცანია.  
შენ ხო შეხველი უფალთან, ვაი დამრჩების ბრალია.  
ბარში წაგივიდ დედ-მამა, შენ მთაში დარჩი მკვდარია.  
აქ დარჩი უპატრონო, სახლის დაგულეს კარია.  
დაი მოგივა დაროი, ცრემლით მორეცხა გზანია,  
ტირილით, ცრემლით ჩარეცხა შენი სამარის კარნია.  
ატირდეს ნათესავები, ტანზე ჩაიცვეს შავია,  
დედა აგტირდა ბეჩავი, ცრემლი სდის, როგორც წყალია.  
ცოლი და რძალი აგტირდეს, უმამოსახლო ქალნია:  
„ვინ დაგვიზარდის ობლებსა, რად დაჟვანებე თავია?“

მამა შენს უთხრან დავითსა, მხარზე დაუშვნენ თმანია,  
 გასწირე ატირებული, ცხვარს გაუნებე თავია.  
 თითონაც არის ავალმყოფ, მუხლებს არ ხქონდა ჯანია,  
 მწყემსებიც ობლად გასწირე, ვერ გაულია გზანია.  
 ვეღარც ცხვარს უყიდ ალაგი, საზამთროდ საძოარია,  
 „სად არის ჩვენი პატრონი?“ კითხულობს შენი ცხვარია,  
 „რად ალარ გვიყრის ბატქნებსა, რად დაგვანება თავია?“  
 ხო გამგზავნიან მეჯოგედ, ღამეებ ვტეხე ბნელია.  
 მომაგონდები, არსენო, თვალებზე მომდის ცრემლია.  
 ნეტა მეც მომკლა, არსენა, ვიარო შენი გზანია.  
 ალარც კი მწადის სიცოცხლე, შენთან მეთმობა თავია.  
 ხელ-მარტოობამ შემაწუხ, სულ სხვათ შვილობა ძნელია.  
 ამ ოხერ სიღარიბემა არ აიღ ჩემზე ხელია.

#### 74. თისოს გევაზის სიკვერდი

შირაქის სწორედ ამბობენ უწვიმრად ჭუხილს ცისაო,  
 ნეტავ რა ამბავ იქნება სვეტ რო ჩამოდგებ ცისაო?  
 შიგად შიგ ჭორად ამბობენ დაკარგვას კარგი ყმისაო.  
 ვერც იმეტებენ სათქმელად, ანგელოზს ხგვანდა ცისაო.  
 ეგერც გამოჩნდეს ტყუილი, მადლ შეეწიოს ღვთისაო,  
 ტყუილი, რაღა ტყუილი, დაკარგულ დიდი ხნისაო.  
 შირაქში ამბავ მოუვა გაბიდათ ნიკოს შვილსაო.  
 ეს რო შაიტყო გიომა, ძალიან დალონდისაო,  
 ლამიან წამო გიოი, დარღი აქვს მეზობლისაო.  
 გავიდა ალიაბათში, ალაგსა ბუსურბნისაო.  
 ამბავს კითხულობს გიოი ოლქესა თათრებისაო.  
 ვერც არა გიომ გაიგო ამბავი რევაზისაო.  
 დაბრუნდა დალონებული, თვალს ცრემლებ ჩამოსდისაო.  
 ახლ დამტკიცებით ამბობენ: „შუქი დაბნელდა მზისაო.“

— აქედან ადექ, არწიო, შახვ ალაზანის პირსაო.  
თან გაიყოლე მოტირალ ჯარ შავი ყორნებისაო,  
მიდი და მიუსამძიმრე დედასა რევაზისაო:

— „შვილიდ აღარ ყავს რევაზი, მეხი დაგეცა ცისაო.“  
ტირიან რევაზის დები, ხელით იგლეჯენ თმებსაო.

— „ვაიმე, მშაო რევაზო, ვიღა ვიფიცოთ მხესაო,  
დედას რა უყოთ, რევაზო, იმედ აღარ აქვს სხვისაო?  
ჩაჯდება საბნელეთოში, გარეთ არ გამოდისაო.

სახლის დალგულავს კარებსა, შუქუაც არ უშვებს მზისაო.  
ალვანში ტირილს ამბობენ ქალისასა და რძლისაო,  
აქედან ადექ, არწიო, ქედებს გადახყე მთისაო.

გადილე გომეწრისავე ამბავი რევაზისაო,  
ვეძისხევითა სწორეთა ნაპირ ჩამოსტყდა ცისაო.  
ვინ ეტყვის რევაზის ცოლ-შვილს, ვინ გაუბედავს პირსაო?  
არც არი ადვილ სათქმელი, ვერც უბედავენ პირსაო.  
სულეთში თისოს რევაზი ჩივილით შამოდისაო.

დედაი, ცოლშვილნ დავწირენ, ცოტვანი კერაისაო.  
არ მომგონდებოდ სიკვდილი, არც ღალატობა მტრისაო,  
თვარ ერთს მეც გავიყოლებდე, სულეთს მომტანსა წყლი-  
საო.

ემაგის მოლექსობელი შუა მთის ცერზე ზისაო,  
ღამებს ესტეხაჟ ბნელებსა, ჰაერს შევყურებ ცისაო.  
მომაგონდება რევაზი, თვალს ცრემლებ ჩამომდისაო.  
ღმერთმა გაცხონის, რევაზო, ნათელ დაგადეს ღვთისაო.  
დედაც კი ვეღარ გაზარდის რევაზისთანა შვილსაო.

## 75. პობეს სიკვდილი

ახალ გეტემოდით სიმღერას, ყური დამიგდეთ თქმაზედა: — სადამ იზარდე, ობოლო, სადამ რა დარჩი ველზედა? საით გალვარდი კუთხეში, გადახველ უცხო თემზედა, უკანა მხარჩე წახველი, ყვავილი დაგხელა გზებზედა. აცალ-დამაცალ, ყვავილო, ობოლ ვიზარდე ველზედა. მაშინ სად იყავ, ოხერო, ქუჩებს ვეფარე მთებზედა, მიბრიყვებდიან სწორები, ძალს ვერ ვბედავდი მტერზედა. აცალ-დამაცალ, კობეო, ახლ მოიცალე შენზედა. ეგ შენი ტანი ლერწამი უნდა დავადონ ველზედა; ეგ შენი პირის სახეი უნდ დავაშაო მზეზედა. დალონებული კობეი, თავს გაიგორებს მკლავზედა, თუმ კაციმც შემომიჩინა, შემჯდარი ჩემსა ცხენზედა. იქნებ რას დავაბარებდე, ამბავს დავაგდებ მზეზედა. ქვეით მიმღინარ, ქედანო, შიარ შირაქის ქედზედა, ბიძას მითქვიდით თევფორეს: „მომეშველისა ხანზედა.“ ან თისოს ქალუნაიძეს: „ქვეით არს ლეკის წყალზედა. დღე ლაშე გამოატანონ გძელსა შირაქის გზაზედა. სოფლის ნაპირზე მომნახონ, ნულარ მექებენ ცხვარზედა. ველარცა წავალ ალვანში, ველარც დამაკვრენ ცხენზედა, ბევრ ცხვა დამრჩალა მოყმეი, დამწვარ დადაგულ ველზედა. ველარც კი მთაში გადავალ, ველარც გადავყვებ ცხვრებზედა.

ჩემს დებსა უთხრან ბეჩავთა, ნულარც მიფიცვენ მზეზედა. როცა ამოვლენ ჟველურთას, რიგით იტირონ ჩემზედა. არ გამიჯავრონ მეუღლე, ვითომ ძმა დამრჩა თემზედა. უთხრან ყოჩალად იყოსა, ცრემლს ნუ მოუშვებს თვალზედა. შენის ბრალითა, კობეო, აღარ მეძინებ ლამ ძილი, მტერსაც ნუ დარჩეს ოხრადა სახლი, კარი და ადგილი, ვისაც არ გადახედია სიგვდილი, ხგონავ აღვილი.

## 76. სამუხში ჩევა ყოჩანი

სამუხში ჩავა ყორანი, მხარ დაშვებული ბარზედა.

სტეფანეს თხელიძის შვილსა წერა დაბლუის თავზედა.

— კაცო, გამოხილდი სტეფანე, მტერ გიდგა ქოხის კარზედა.

ხელში აული შენ თოფი, ყათარ გაღუდგი მხარზედა.

შენ ხო თოფ დაგჭრა, სტეფანე, მკვდარი დაგაგდო მზეზედა,

იქ სად არ გყავდეს შვილები, ჯავრს კი იყრიდეს მტერზედა?

თათარას რაინაულსა კაც ვერ სჯობდ ბიჭობაზედა,

რად არ იქ გყანდა მმობილი, შენი სიკვდილის ხანზედა?

მალ დეეწეოდ შენს მტერსა, ღამით მიზდინარს გზაზედა, ჩამოუჯდებოდ თავის: ტყვიავ, მოსჭვრითე ტანზედა.

წადი იარე, ქართველო, გახტევ სტეფანეს კვალზედა,

ანამ იქ დახლპებ, ქართველო, მეტეხის ციხის კარზედა.

იქამც იქნები მსახურად, მუდამ გაგზავნოს წყალზედა,

რახამ დამყეფდე, ყორანო, რას მეოლები თავზედა?

ჩამოდი, წიგნი დავწერო, მინდა შეგაბა მხარზედა.

ალვანის ბოლო შაიარ, დაჯედ ჩემ სახლის თავზედა,

მეუღლეს მითქვიდ, ტასოსა, შავებ ჩაიცვას ტანზედა;

— „ქმარი მოგიკლეს სტეფანე, ველარ მოგივა კარზედა.

სუდარა შამიმზადოსა, წინ მომაგებონ გზაზედა!“

აგვტირდეს ნათესავები, შავი ჩაიცვეს ტანზედა.

აგტირდა მთელი ქვეყანა, ცრუმლები მოსღის თვალზედა,

რა ბევრს კი გაუხარდება, მეტი რათ იყო ჩვენზედა.

ცოდვა იყვ შენი სიკვდილი, ბადალ არ გყვანდა თემზედა,

ობლად გასწირენ ცოლშვილი, ატირებულნი შენზედა.

შვიდ წელს გიგლუა ტასომა, ცრუმლ არ შეიშრო თვალზედა.

ემაგის მოლექსობელი ვარი არსენა ცხვარზედა,  
 მომაგონდება ხაზეინ, ტირილი მომდის თვალზედა.  
 დაუჯელი, ლექსი გამოვთქვი თავისივ დედის ძმაზედა.  
 შენდობა თხელიძის შვილსა, ხალხ ისხდეს ღვინის სმაზედა.  
 შენდობით მომიხსენიეთ, სწორებ, დამსხდარნო ჯარზედა.  
 ნუ შაწუხდები, სტეფანე, შვილ კარგი დაგრჩა მზეზედა.  
 ვაჟკაციაა რეზო, ბადალი არ ჰყავ თემზედა,  
 ვერვინ ვერ ეტყვის იმასა: „მე ხო მეტი ვარ შენზედა,”  
 კოხტად გაღმართა სახლ-კარი, ცხვრებიც უჟრვის მთაზედა.

## 77. ზეპას ჩაგევას ზაგები

ზეცას დარეკეს ზარები ხმელეთის შეღონებული,  
 თან მოსწყდა წითელ ვარსკვლავი, დარჩება დაბნელებული:  
 თან გამოხყვება ანგელოზ, მხრით მოსდევს განათლებული—  
 — ავ ვაპე, ჩვენო ბუჟათი, წაგვიხველ აჩქარებული.  
 შენ ხო შეხველი უფალსთან, ჩვენ დავრჩით დაწბილებული,  
 ნეტარ შართალიმ არისა, ჩვენც ვიყვნეთ დაჯერებული.  
 გიო შემოგვეყრება, გუნება გაჯავრებული:  
 — „შენ აქ რა გინდოდ, ბუჟათი, შინა დაგრჩ გამჭარე-  
     ბული?  
 რა უყავ შენი დედ-მამა, სიკვდილის დავიწყებულნი?“  
 — ცოდვამ დამწერა და დამდაგა, იქ დარჩნეს ატირე-  
     ბულნი,  
 უფრო დამწნან დავითი, ბოროტის გაგიუებული,  
 თავ დამიწება ფარასა, ჯოგს მისდევს ატირებული.“  
 სიკვდილ ეგეთი, ძმისწულო, სულ ჩვენზე გახელებული.  
 ახლ სულეთს. მოგიკითხავენ, არ შეხვედ დაღონებული,  
 გარს ანგელოზებ დაგიდგებ, შუ დადექ დამშვენებული.  
 მამასახლობა შემოგყვა, უფალსთან ხარი გათვლილი.

შხარჩედა ჯაჭვი გიხდება, ხელმწიფის დაკიდებული.  
სწორ ამხანაგებ მოგივლენ, ვაუკაცობიდან მოშლილი,  
ბეჟანის შეილი შეგხვდება, იმედი, შენი ძმობილი.  
ძმასა გკითხევდა ალექსის, თავზე დავტვიე ცოლშვილი,  
ხატოიც ამას გიჩიოდ, ვაუკაცი მძიმედ დაჭრილი.  
ლუოიც შემოგეყრება, უდროვოდ სწორის მოკლული,  
არ მეგონ მიღალატებდა, არ იყო ჭევიდან შეშლილი,  
თორე, იარაღ რათ გინდოდ, ხანჯარი წელზე შარტყმული?

## 78. იორების ხარავების მოკვეთი

იოსებ ხარანაულსა საწყინოდ ეტყოდ მხარია,  
თავის ძმა გიორგს უთხრისა, იორს დავავლოთ თვალია,  
თან გაიყოლეს ტინქოვი, წავიდენ სამნივ ძმანია,  
გადავლენ ივრის საფონოს, დეეცა ნიავლვარია.  
თათარმა თოფი მოლრიჯა, იოსებმ შეასწრო თვალია,  
— „კაც არ მომიკლა, ჯულ-ძალლო, არ შემირცხვინო  
გვარია!“

იოსებმ თოფი დაასწრო, თათარს დახვლიჯა ყბანია.  
მობრუნდეს, დაპკრეს იოსებს, ოთხზე დეეცა ხარია.  
შობოქრობს იოსებაი, ტყვიისაგანა მთვრალია,  
მობრუნდეს, დაპკრეს გიორგის, არწივს მოსტეხეს შხარია.  
— გიორგი, შენსა სიკვდილსა ზეცას დარეკეს ზარია,  
ორშაბათს საგათენებლოდ გილის სამოთხის კარია.  
შიგ შეგაბრძანეს, გიორგი, ოქროს მოგაროვეს სკმია.  
შავეთის მეუფროსემა სამჯერ დაგიკრეს თავია!“  
ხელში მოგქციან კელაპტარ, შაანათოდე გზანია.  
ტინქო, გასძახოდ თათრებსა: „სად მიგაქვთ ჩემი ვალია?“  
ასრია, გამოავრია თათრების წინამდლვარია:

„წყალი უტანე, ჯულ-ძალლო, ხუნჩის უბანდე ჯღანია“.

მე მაგის მოლექსობელი, წინე მხარშია ვარია,  
ცხვარიც ხო გვიზარალდების, მე თითონ ავალ ვარია.

### 79. ՍՈՒԵՆ ԲԱԹՈՍԵՐ ԸԿԱՑՎԾՈ

Կոდაն წაմոსუլ ღურბელი, ահ հա ազօ դահո ღցեბառ,  
გածրոո გახեლებული սամաყრոռ ემზաდეթառ:

„უნდა წავიდე მაყრաდა“, მაմասաւ յობնეթառ:

— „արաս გაցիშვეթ սամաყրոռ, պუდ սաქმე მოგიხდებառ.“

ահ დաշչշրհեթ გածրոո, սոյզდուռ ահ աշոնდებառ.

Կոდան წაմոსუլ ღრუბეլი, დაծլ დաცեմუլա ծանչեდա.

Ծերեն გաდმოუგდი გაծրոո, დაծլ დაცեմუլա ქვաზեდա,

ահ ხყვանი ամხանაցეթի, հռ մոյշვეլնեն ხանչեდա.

— „լռենուսա նաცվլագ, ვიშოვე შաვո սոյզդուռ ցზաზեდա.

սամաყրո ტանուսամոնս სუდրագ გაմიცვდა ցზաზեდա,

մահաս ვიն შემიტყობინეթի, հռ մոմեշვելոս ხանչեდա?“

Ծերեն გաდმოუգდი გածրոո, დაմրիխլա შუա ցზաზեდա.

Եց հռ ցացը ծածռմա, ტորուուտ մոճուս ցზաზեდա:

„հագամ ցաუშვიտ սամաყրոռ, հագ ահ დաუდეյ ժալնչեდա?“

წინաց მაშინეթ გածրոո, մարტո սոարუլս ցზաზեდա,

„մմա პէტրես შემიტყոბიնեթ, աել մոմեշվելոս ხանչեდա.

Ծերեն ցաდმոუգდი ցածրոո, ვելար մոցիզատ կարնչեდա,

ոծլեթսալ պუրո մուշգდոս, კարց ցամուուց მზեზեდա.

Մյուլլես შემიტყոბიնեթ, შաց նո հաւցաթ հեմზեდա,

ոծլեթ ահ դամութոյոս, կարցալ դաზարդոս մზեზեდա.“.

յმაგიս მოლექსობეլսա ցրեմლეթ ցաდմոմდուս տვալնչեდա,

უდրոռոდ ექნა սոյզդուռ, մաყրագ մօմდոնար ցზաზեდա.

Ժմեթո, տქვեნց մոտեსեნութ, հռ օսեդյու լվոնս სմաზեდա!

## 80. ჯუღანი ანოს მოკვდა.

ლურბელნიმ რაზე აშფოთდეს, ქარიმ რად ქვითინებსათ,  
თუშეთის მიდამოებზე ვისიმ სტირიან ბეღდსაო?  
მშვენიერ მთისა კალთებზე უივილი მოდის ცხვრისაო,  
ჰკვირობენ მეცხვარეები: „ნეტარ რა მოხდა დღესაო?  
რო ყეფნა შორად გაიძმის, საზარლად ყორნებისაო,  
საღამე სისხლი დენოთხო მიწასა დიაცისაო,  
მოკლეს, თუ ვინმე მომგზავრე, ყორანი თავს დაპყეფსაო?“  
ესურიკისა მიდამო, წყალი-მცა წაგილებსაო,  
ჯუღაანთ ანო მოუკლავთ, სისხლის მოჩევში წევსაო,  
დექცენეს ამხანაგები, აღარავინა შველსაო.  
— უშველეთ, ჩილოელებო, გახსოვსთ ნაზლევსა თქვენსაო!“  
შაიტყვეს ჩილოელებმა, ყველანი გახკვირდესაო:  
— „ვინ გაიგონა, ვინა თქო ტყუილ არ იყოს ესაო?  
ვაჟკაცმან მოკლას დიაცი, ეს რა გავიგეთ დღესაო?  
აბა ყველანი წავიდეთ, მივეშველნეთა ჩვენაო.“  
მოვიდეს, ნახეს ასტირდეს, ცრემლისა წვიმდა წვიმაო,  
გამგზავრიან დიკლოსკენ, მიწამა დაიგმინაო.  
თან ჯგუფი მოსდის ქალ-რძლისა, ცრემლით ურწყავენ  
წინაო.

დიაცინი მოსთქმენ ტირილით: „ანო, მიგვყევხარ შინაო,  
უწყალოდ თოფით მოკლულო, ქალო, ჯუღაანთ ანოო!  
დიკლოს ვინ შეატყობიებს, ნეტა ვინ წავა წინაო?  
შენსა ქმარსა და შვილებსა შავი მჩე მოეფინაო.“  
დიკლოს ატირდა ქალ-ზალი; „ნეტარ ვინ მოკლა, ვინაო?  
ვინ მოკლა ჯუღაანთ ანო, თავი ვინ შეირცხვინაო?  
ჯუღაანთ ანოს მომკლავსა ცოდვაშ უბრუნავს შინაო.“  
დაი ატირდა, ფეფეი, მოეგებდა წინაო:  
— „ავ ვაპმე დაო, ანაო, გზიდან ვინ დაგაბრუნაო?  
შენ რომ მიამბე სიზმარი, რად არამ დამეჯერაო?“

Տոնությունը մոլորդական է, պատմական և ժամանակակից համար առաջատար է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջատար է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջատար է Արքայի պատվավորությունը։

Ոյն օրը առաջարկելու առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջատար է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջատար է Արքայի պատվավորությունը։

— „Ես պատմում եմ առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։

«Ես պատմում եմ առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։

«Ես պատմում եմ առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։ Հայության առաջարկը առաջարկ է Արքայի պատվավորությունը։

გიგოლე, ჩემსა მომკლავსა, არ გაუარო გვერდსაო,  
არ მიაწოდო სალაში, ჩემი ცოდვით სავსესაო,  
ანო ვარ ჯულაანთაი, ცოლი ბელადიძესაო,  
გიგოლე შენი მზარდელი, ვაჲ მე, ჩემს ქალობასაო!“

## 81. მეითის მოკვდა.

ალვანს დაშუის ყორანი, ძირს არა ჯდება ბანზედა.  
შირაქს ემზადებ მეითი, იარაღს ისხავს ტანზედა.  
მეითს დაუშლის მეუღლე: „მარტო ნუ წახვალ ცხვარზედა,  
წუხელა ვნახე სიზმარი: შავი ჩამეცვა ტანზედა.“  
არ დაიშალა მეითმა, კოხტად შეჯდება ცხენზედა,  
შინვე შვილობას ეტყოდა: „ცხენო, იარე გზაზედა,  
დავკვეთ წინამზარის გზებსა, შირაქს დავავლოთ თვალია!“  
შირაქს რომ თვალი დაავლო, ჩავიდ, ალმალოს ხიდზეა.  
ჩავიდ ალმალოს ხიდზედა, ორუჯს ეწვია კარზეა.  
ორუჯმა დიდათ მიიღო, დაისვა თავის სკამზეა:  
— „მარტო რათ დახვალ, მეითო, თავი რათ მოგწონს  
ჯანზეა?“

ძნელია მტრისა ღალატი, წინ ჩასაფრება გზაზეა?“  
ადგა, იარა მეითი ნარინჯის გუმანაზეა,  
ცხრანი იყვნიან ურჯულონ, იმ უზუნდარის მთაზეა.  
მეითმა ზედ მიიწივა, სალამს ეწეოდ ჭკვაზეა.  
ორუჯი უკან აყენებს, ღალატი სწადის ჩვენზეა.  
სალამის გათავებაზე, ბოლ მიახვიეს თავზეა.  
„მეც აქვე მომკალთ. რჯუქალლებ, აუგს იტყვიან ჩემზეა“  
გვერდით მოუკლეს მასპინძელ, მევდრები დაყარეს მზეზეა,  
მიდგებოდენ, მოდგებოდენ, შესხდნენ მეითის ცხენზეა.  
ცხენი უკანვე იწევდა, ვერ აყენებენ გზაზეა:  
„ნეტავ სადა მყავს ჰატრონი, რჯმ არა ჩემიმობს ჩემზეა?“

პატრონი მტერმა მოუკლა, ყორან დალბუის თავზეა,  
„აქამ რას დამბუ, ყორანი? დახყევ წინამხრის გზაზეა.  
წინამხრის გზაზე დახყევი, ალვანს დაჯექი ბანზეა,  
მითქვიდი ჩემსა მეუღლეს: მეით მოგვიკლეს ცხვარზეა,  
ნულარ გაქვს ჩემი მოლოდინ, ჯობ მიაყუდე კარზეა.“

## 82. სიკვდილის ჩამოგახა

„იკვდილმა ჩამოიარა: „არა ვინა ხარ შინაო?“  
ობოლი დახდა წინაო: „სიკვდილო, მენალ წამიყვან?“  
— მე შენად არა წაგიყვან, არავინ დაგრჩეს შინაო.  
არც სანთელ შენა, არც საკმელ, არც ტანზე სუდარ  
შენაო.  
ცხრანი ძმან გამდიდრებულან, იმათ უნდ შეულგ შინაო.  
ცხრანივ თავთავად გავყარო, თავთავად უჩინ ბინაო.“

## 83. ე. ვაკე, მხარი ემზევე

ავ ვაპშე, მხარი ამტკივდა, შუა მარხვისა ხანსაო.  
სოფლის სოფლ კაცებ დაგზავნეს, წამლებს იკვლევენ  
ბევრსაო,  
წამლები რაღას მიშველდა შავის მიწისა ტყვესაო?  
გამაკრეს საკაცეზედა, ნედლი თირიმის ხესაო.  
პირმიყვეს სამარისაკე, წინ ხუცეს გამიძღვესაო.  
წამლებს სამარის კარზედ, ქალალდს მაშლიან ჭრელსაო.  
ჩამდებენ სამარეშია, მიწას მაყრიან ბევრსაო.  
ბევრსაცამ რადაღ მაყრიან, გან გამოიდოდ მზედაო,  
მოდიოდა ჭრელი გველი, მოალერებდა ყელსაო,  
პირველზედ ულვაშს გადაბმოვდ, მერ ქოჩორს მიხყოფდ  
ხელსაო.

მოდიოდა ცხვითა შვილი ყოველ ბედნიერ დღესაო.  
დაჯდებ, დაიწყებ ტირილსა, ლოდს ნაწვდად ჩამომდისაო.  
ლოდს ნაწვდად ჩამონადენი მე გულზე ჩამომდისაო,  
ვინც იმას ტირილს მოაშლევს, ჩემიმც დრო მოუვლისაო —  
მითქვიდით ჩემსა მეუღლეს: „ბევრს ნულარ მიგლუისაო,  
წამლები ბევრი ვიწამლე, ვერა ვიშველე თავსაო“.

84. \*\*

ცა სჭექდა, ქუხდა, ელავდა სეტყვა ისროდა ქვისაო,  
თვალზედ მამტვრევდა სახურსა, დართულსა ყავარისაო.  
ბალში მიქრობდა ხეხილსა, მოსულსა ილვის ხისაო,  
ხელში მიქრობდა სანთელსა, ჩამოსხმულს კელეპტრისაო,  
ძნელ მოვიხელე რა ყოფილ, სიკვდილი თავის ქმრისაო!

85. ორექსი ბახჩეუაიძის სიკვდილი

ვინამ ხარ თათრის ადგილას ალექსი ბახტურიზეო,  
თოფს ეტყოდ კუკალაიძე: „ტყყიავ, გაიწი განზეო.“  
ახლალ დადექი, ალექსი, ჯან თუშო, სულის კარზეო,  
მელნით დასწერე ქალალდი, მტრედსა შეაბი მხარზეო.  
იორი გადაატაროს, ალვანს წაიღოს წყალზეო.  
ალექსიც უკან მოხყავის, ფოშტით მოხყვანდა გზაზეო,  
ალონში შემოიტანეს, თამარ დასტირის თავზეო.  
— „ალექსი, ძმაო ალექსი, დადექი ლერწამ ტანზეო,  
ადექი, ანბავ გვიანბე, სილნალს რომ იყავ ცხვარზეო.“  
ალექსის ცოლმა, ლამაზმა, ჯაჭვი აისხა ტანზეო,  
სამგლოვიარო ჩაიცვა, შეიმოსება შავზეო.

## 86. თუშეთში გაჩნდა ყვავილი

შოგბზედა ნისლი დამლგარა, ბორტეს ნამათ მოსდებიაო  
თუშეთში გაჩნდა ყვავილი, დიდათ არს ცოდვა ბრალია.  
რა ბევრსა ჩამააყრივნა ზმლისა მომქნევნი მხარნია,  
მასთანვე ბევრი ქალ-რძალსა შვიდათ ნაწნავი თმანია.  
წვრილის ყმაწვილის ცოდვა ბრალს ცას ჩამატანა ძალია,  
ასტირდა სამარეშია ჩვენი დეღმამის ძვალია.  
სულეთს ჩივილით შემოვიდ, იარეს მთა და ბარია,  
დედულ მამული წაგვართვეს, ჩვენი სახლი და კარია!

## 87. სასტუმრო ავარ გავხედი

სასტუმროდ აეად გაგხედი გასათხოვარი ქალიო,  
ლოგინიც კარგი დამიგეს, არ დამანატრეს წყალიო.  
მამულთა კაცი გაგზავნეს, შორად აქს მოსავალიო,  
ჰამულნიც მალე მოვიდნენ, არ დამანატრეს თაიო.  
გამაკრეს საკაცეზედა, გაღმომავლიეს მთანიო,  
ჩირდილი ჩამომავლიეს, ერთხელ იქ დავლივ წყალიო.  
დოჭოსა ძირსა ამოველ, იქ მოვიბრუნე თავიო.  
ასე მომდევდა სიკვდილი, როგორც ირემი ხარიო.  
— „სიკვდილო, უსამართლოო, რად არ იღება ქრისტიანო,  
სიკვდილო, ჩემი ცოდვითა კარგი ნუ დაგეყარაო,  
ბევრისა დახვეტ კარები, სარჯმელი ჩაუბნელეო,“

## 88. უშავერ კვდებოდა ვაჟკაცი

ფშაველ კვდებოდა ვაჟკაცი, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,  
ჩამოდიოდა ვარსკვლავი, მთვარე უკანა დგებოდა.  
მაღალი მთისა ნადირი სატირლად ეძაღებოდა,  
ქორ-შევარდენი, არწივი მხრებითა იხოშებოდა.

ლურჯა იმისი ტიალი ხვიოდა, ტრიალცებოდა,  
დედა იმისი უბედურ, შავს სამოს ტანზე იცმევდა,  
ცოლსა იმისსა, საწყალსა, თვალზე ცრემლ არა შრებოდა.

### 89. ნებიღი პატოდის ვეღიდან

ბრძოლის ველიდან დედასა წერილსა სწერამს შვილიო,  
უკანასკნელი წუთებში ის არის დაწერილიო:  
„მშვიდობით, დედავ, მშვიდობით, ველარა ნახამ შვილსაო,  
სანატრელ შენსა პირმშოსა, ვაებით გამოზღილსაო.  
ცეცხლია ჯოჯოხეთური, ირგვლივ ედება, ალიო,  
სისხლი ნოქავს არე მარესა, ინგრევა მთა და ბარიო.  
ისმის დაჭრილთა ღრიალი, ყველგან სდგას სისხლის  
ღვარია.“

მეც კი მძიმეთ ვარ დაჭრილი; ვიცი, ვერ გადავრჩებიო,  
მშვიდობით, დედავ, მშვიდობით, ველარა ნახამ შვილსაო,  
სანატრელ შენსა პირმშოსა, ვაებით გამოზრდილსაო!“  
რა წაიკითხა წერილი, პირქვე დაეცა დედაო,  
ველარ გაუძლო ელდასა, საბრალო ტანჯვით კვდებაო.  
იქ შვილი კვდება, აქ, დედას მწარეთ ამოსდის სულიო,  
სხვაც ბევრი ხვდება ამგვარი, ვისა აქვს სინანულიო.

ამ ლექსის მომლექსებელი, ერთგული სწორებისაო,  
მაგითაც ვერვინ მილიშნებთ, ნიკოს აფშინაშვილსაო.

### 90. ხახაბუს გავხელი მცხელარი

— მე არ გიცნობდი, გიორგი სხვები გაქებდეს მეტადა.  
მინდა რომ მეაც გამეცან, პური გვეჭამა ერთადა,  
ტებილის ენით გვესაუბრა, სიტყვა რამ გვეთქვა ერთხმადა.  
რა მოგივიდა, გიორგი, ელდა რა ეცა შენს თავსა,

ოო ველარ მოულოდინე, ქალაქს წასულსა შენს ძმასა?  
 ხო მალე მოგივიღოდა, იქნებ გიშველდა ცოტასა,  
 ან წიგნი რად არ მისწერე, შენსა მშობელსა დედასა?  
 — „ველარ მოგივალ, დედაო, მშვიდობა მითქვი ყველასა,  
 ველარ გავივლი სოფლებში, ვერ დავესწრობი კრებასა,  
 ველარცა ვილაპარაკებ, ვასიმოვენ ყველასა.  
 ხახაბუს გავხდი მცხედარი, მე ბრალად უხდი ჩემ თავსა,  
 ნუ მტირით, ხახაბუელო, ხოლოთ გახსოვდესთ ცოტასა,  
 ნულარც შენ მტირი, ანაო, დაო, მიშველი ვერასა,  
 ივანე სალირიძეო, გავესალმები შენ სახლსა,  
 გიორგი უბიძიშვილი, თურმე, ვერ ავცდი წერასა.“

## 91. სიკვდილის უთხრა სიცოცხლეს

სიკვდილის უთხრა სიცოცხლეს: „სიცოცხლე ჩემი ყმა ხარო,  
 როცა ჩემი ნება არი, შენი თავი ხელთა მყაო.  
 არც ხელმწიფე გამაჩნია, არც ბატონი, არცა ყმაო,  
 პირველად მიზეზს მოგიღებ, სიცივისგან გაგთანგაო,  
 ბოლოდროს მოყცემ სიცხესა, გონებიდან დაგკარგაო,  
 იაგნი მიწად გაქცევენ, ადგილს ველარ დალახაო.  
 პურის მადას დაგიკარგავ, მხე-ძჟეურად გაგტანჯაო,  
 მნახავებს გარს შემოგისხამ, რაც რო თვისი ტომიალა-  
 მეზობლები გქითხულობენ, ნეტა როგორ შეიქნაო,  
 საწყალი შენი პატრონი, ცხარე ცრემლით ატირდაო,  
 უარდაუარ წავიდა, რაღა ვქნაა, ბატონებო,  
 ყურთა სმენა აღარა აქვს; ეხლ ხო ენა ჩალვარდაო.  
 აკი გითხარ, სიცოცხლეო, ბოლო შენაც დაგმართაო,  
 წუთის სოფელს დაგიბნელებ, შავ მიწაში დაგმარხაო!“  
 სიცოცხლემ შემოუთვალა; „ნეტა, სიკვდილო, რა ხარო?“  
 ანგელოზებს ვერ ერევო, ხორციელობა იცნაო,

შენ რომ გამხადო ავადა, ვახსენებ, ძეო ღმთისაო.

ერთობრივ მომებმარენით, კახეთის მონასტრისაო.

თუ ლმერთსაც არა სწადიან, გაცრუებული წახვალო!“

— „შე საწყალო, სიცოცხლეო, ხო სიკვდილის რთველი  
ხარო

როცა გინდა მომირთმობა, ბოლოს სატირელი ხარო,  
ჩაიცვამ და დაიხურავ, ცოდვის მონასტერი ხარო?  
წუთის სოფლის სტუმარი ხარ, მიწის მეზობელი ხარო,  
ასეთ მიჯნურს მოვაშორებ, ვით შეკრული ვარდის კონა!“  
სიცოცხლემ შემოუთვალა: „შენ ცხვაზე მეტი რა ხარო,  
შინ არ გინდ შეპატიუება, სახლში ქურდულათ შეხვალო,  
რომელსაც სნეულს არ მოხკლავ, იმისი ღვიძლი ძმა ხარო.  
სიკვდილმა შემოუთვალა: „ეგ რა ნიშის გაბა არო?  
წუთის-სოფელს დაგიბნელებ, მიწის მეზობელი ხარო,  
მოუკვდავი ვინ დარჩება; გან თუ გაკვირება არო?“

## 92. დ ა ბ ა ბ

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო, ძნელი არს დალაო-  
ბაო!

ბრალია (სახელი) შენი ფლაშქროდ სიკვდილი, დალაი...  
დედან გტირიან შვილობით, დანი ძმობითა გტირიან..  
ეგ შენი დედა ბეჩავი სანთლებურ ჩამოღნებოდეს, დალაი...  
ეგ შენი ცოლი ბეჩავი, სუროვით ექანებოდეს, დალაი...  
შენის გვარისა ქალ-ზალი შავით რო იმოსებოდეს,  
შენი ცხენი და აბჯარი ლაშქარს არ იხარჯებოდეს,

დალაი...

ლაშქარს გიკითხვენ სწორები, მაგ შენის ლურჯის ცხენითა,  
შენის სიათის თოფითა, ლაშქარს ხარ წითლის ღროშაო.

დალაი...

ხმლიანო, სახელიანო, მომტრეო, მოსამართლეო,  
გამრიგევ თუშეთისაო, ჩვენის მხარისა თვალიო. დალაი...  
კარზე გიღგანან სტუმრები, შინამ არ შეუძლვებია?  
ვაუი ხარ სახელიანი, კარგამ არ დაუხვდებია? დალაი...  
ლომო, შენ (სახელი) სტუმართვის დღე ხარ მზიანი.  
შენი ნაცვამი სამოსი დარბაზს არ იცვითებოდეს, დალაი...  
შენი ნაწოლი ლოგინი ია-ვარდივით ჭინებოდეს,  
შენი წვერი და ულვაში მწვანილად ამოდიოდეს. დალაი...  
კახეთში კახნი გიკითხევენ: „არს ქისტეთს დიჩინსთანაო.“  
დიჩინიანთა გიკითხვენ: „არს ქალაქს, ჯარებს ყრისაო.“  
დალაი...  
ქალაქს კითხულობს ბატონი; „წასულა ფუალთანაო.“  
დალაი...

ნეტა შენ საიქიოსა, შენ შეხვალ მტრედის ფერადა,  
სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა. დალაი...  
კოდნიც გიდგანან საესენი, გალმომდინარი პერითა,  
ზედ გიდგას მელვინები, ხუცესნი დიაკვნითაო. დალაი...  
ამოილებენ, დალევენ ვერცხლისა ვაშრაპებითო,  
შენდობა, ბოსლაიძეო, ლმერთმა გაცხონოს სულითა.  
დალაი...

III 60630

## 93. მეცხვაჩემ ცხვარი შეშაღა

მეცხვარემ ცხვარი შეშალა, შამოეფინა ჩრდილსაო,  
შიგ ურევია ბატკანი, ჟივილი მოდის ცხვრისაო.  
წინ თითონ გამოუძღვება, ხმა მოდის სიმღერისაო.  
გაპხედავს მწვანე მიდორსა, ბალახით შემკობილსაო.  
— რა მშევნიერი რამა ხარ, დილაო ზაფხულისაო,  
ამოშვებულა სხივები, ამომავალი მზისაო.  
ამწვანებულა ველები, იალაღები მთისაო.

შემოფენილა მთებზედა თეთრი ფარები ცხვრისაო,  
მეცხვარე ცხვარში დავდივარ, მთაზე ვაძოებ ცხვარსაო,  
თან დამდევს ჩემი მყეფარი, ვეძახი მურისაო.  
„ჰარიქა, ჩემი მურიავ, ერთგულო პატრონისაო!  
წელზედ მარტყია ფრანგული, პირი აქვს ფოლადისაო.  
მხარზე მკიდია ყირიმი, არ მეშინიან მტრისაო.

საღილად ჩავალ წყაროზე, წყლითი გავზელავ ხალსაო,  
ხალი და კალტი წინ მიღდა, კოჩხოთი გხრეტავ წყალსაო;  
გემრიელათ შევეჭევი, ვატარებ დროებასაო.  
ახლა გამოვალ გორაზე, ჩემს ცხვარს დავავლებ თვალსაო,  
ცხვარი დაყრილა გორაზე ამ შუალამის ხანსაო.

გავიხედ-გამოვიხედამ გაღმა-გამოლმა მთასაო.  
მთას ნისლი შემოპხვევია, შიგა შიგ თოვლიანსაო,  
შიგა ჩეამობენ შუროხები, მაღალის ჩეენი მთისაო.  
გაღმა გამოლმა ხუვები ბანს აძლევს ერთმანეთსაო,  
წიფლოვანა ან ბორბალო, სათავე ალაზნისაო.  
მალლა მთის ცივი წყარონი ჩქეფით ჩამოდის ძირსაო,  
ჩადიან, ემატებიან მდინარე ალაზნისაო.  
იმ წყაროებით შესდგება მდინარე კახეთისაო.

## 94. ძნელია სხვათა შვილობა

ძნელია სხვათა შვილობა, შეხედვა აღებისაო,  
 სუ მუდამ ფეხზე ყუდილი, ძოვება ბატკნებისაო;  
 პერანგში ხვევნა მარილის, უსატნოდ ქუმლის ჭამაო,  
 გადასვლა ციფსა წყაროზე, ცივ წყარო მაღლის მთისაო.  
 გაზელა ქუმელ მარილით, ქოჩოთი ხერეტა წყლისაო,  
 ახლა გამოსვლა გორებზე, ტირილი ქალიფითაო.  
 ისე ჩამოყყრი ცრემლებსა, წვიმასთან შესაღარიო.  
 რო მოვკვდე, არ ვინ დამტირის, ობოლსა, სხვათა  
     შვილსაო.

უცრემლოთ ჩაგალ საფლავში, დავშორდებ სამზეოსაო.  
 სამზეოშიაც ბნელი ვარ, ხორსია წოვა მთისაო;  
 არც არა ტანსა მაცვია, მალ მალ შევხედავ მზესაო —  
 მზეო, შენ მაინც ნუ ჩახვალ, ღრუბლებ იყრება ცაზეო.  
 აირევიან ღრუბლები, სეტყვას მაქცევენ თავზეო.  
 ძველი მხურია ნაბადი, ღამეს ვათენებ ბნელსაო.  
 ღილით გამოვშლი ბატკნებსა, მივდგებ მოვდგები  
     მთებზეო,  
 მალ მალ მივდგები გორზედა, ჩავხედავ წოვა მთასაო;  
 ღინინბენ ჩემ სწორ ბიჭები, ჯირითით ცხენებისაო.  
 ღავჯდები ღალონებული, გვერდზე გადვიგდებ ჟელსაო:  
 „მე თქვენსა ლირსსა ვინ გამხდის, ობოლსა, სხვათა  
     შვილსაო?“

ღავსწვები, პირქვე ვიტირებ, ვიგონებ სიობლესაო.  
 ნეტავი რა ვაწყენინე ღალოცვილ მეუფესაო,  
 სჩლარიბე და სიობლე რად გაუჩენავ ღმერთსაო?

## 95. 308 მაშინებენ ღვევები

ვერ მაშინებენ ლეკები, არა ვარ მშიშარათაო.  
 მე არ ჩამოალ კახეთში, ვინც გინდათ ჩახვიდნეთაო,  
 ჩემ მამა პაპა გმირთ საფლავთ ვერ დავანებებ თავსაო,  
 ვერცა ჩვენ სალოცავებსა, წმიდა გიორგის ჯვარსაო.  
 ვერცა გმირთ ნაცავ საზღვრებსა ვერ ჩავყრი მტრისა  
 ხელსაო,  
 ვერცა მშვენიერ მთის კალთებს, სისხლით ნარწყავსა  
 გზებსაო,  
 ვერცა ყინულის ნაწურებს, ცივებ კამკამა წყლებსაო.  
 მე უნდა მოვკელე დიკლოში, ალარ ვიცოცხლებ ბევრსაო.  
 ჩემ მამა პაპა გმირებსა უნდა ვეახლო გვერდსაო,  
 მე იმათ სახეს ვლოცულობ, იმათ სისხლიან ხმლებსაო.  
 თურმე, ჩვენ მამა პაპანი ხმლებს უჩვენებდეს მტრებსაო,  
 უწყალოდ თავებს აჭრიდეს, და ატირებდეს ბევრსაო.  
 საპშობლოს ხმლითა იცავდეს, არ მოუხრიდეს ქედსაო.  
 ებრძოდეს თავის მებრძოლთა, მტრის გამქცევს ხემობდეს  
 პირსაო.  
 ნეტა ჩვენ რა დაგვემართა რო აგრე ვარცხნით ერსაო?  
 მტრისაგან დაშინებულნი, სოფლებზე ვიღებთ ხელსაო,  
 დიაცნიმც გაუცინებენ მტრის შიშით გამქცეველსაო.  
 ნუმც იტირებენ დედანი, ნუმც მოაგდებენ ცრემლსაო.  
 დღესაცა ვხედამ ყველანი მტრის ნანგრევ ციხეებსაო,  
 შიგიდან გმირთა ნამაგრებს, გარშემო სათოფრებსაო.

## 96. კალი აგიარე კართლია

ქალი ატირდა ქართლშია, შუა ქართლისა მთასაო;  
 წვრილებ დავშირე ობლები, ვერ გამოვახსენ წყალსაო;  
 ჩემივე დღენი აღგანან, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,  
 ლალსა და ამპარტვანსა, იმ უწვერულო ყმასაო!

წუხელ ლაშვრიდან მოვიდა, შუალამისა ხანსაო.  
 ავდექ, ავანთე სანთელი, თვალის ახედვის წამსაო.  
 ოქროსა სკამი მიუდგი, აქ დაჯექ ხვარამზესაო,  
 — „მე ხვარამ ხურამ არ ვიცი, ბოზო, მიღმართე ძმებსაო.“  
 ავდექ, შავკმაზე ლურჯაი, შაფ შავუყენე მთათაო,  
 მოვიხედ, უკან მომდევდა, მოაპრიალებს ხმალსაო,  
 ჩამოველ, ჩოქი მიუგდე: „ნუ მომკლავ ხვარამზესაო.“  
 — „ მე ხვარამ ხურამ არ ვიცი, უწყალოდ მოგჭრი  
     თავსაო!“

გადამავალო ყორანო, გადიხვენ ჩემი ბრალიო,  
 გადაის, გადაუძახე შალვა ივანეს ძმასაო:  
 „დასა გიკლავენ დანითა, საბრალო იყრის ვალსაო.  
 მითქვიდით ჩემსა დედასა, იყიდნეს ჩემი თმანია,  
 გრძელია არცა გრძელია, შეიდი კეც შვიდი მხარია,  
 დაკიდოს ბელლის ქაჩოზე ატრიალებდეს ქარია,  
 შემდინართ გამომდინართა ევალებოდეს თვალია.“

## 97. ვინა სჯობს?

ჯორი სჯობს საქონელშიგა, კარს მოვა აკიდებული.  
 ხარი სჯობს ულელდებული, ბრტყელ მანულს გაკიდებული;  
 შიგ მოსავლადა — ქერ-იფქლი, თავ-თავი დაკიდებული.  
 იმის სამკელად ქალი სჯობს, საქმარედ მოჯარებული,  
 იმის ძნის შესაკრავადა ვაჟი სჯობს, მხარშეკრებული.  
 გარს ნაპირსა ციხე სჯობს, ტყვიაწამლითა მრავალი,  
 იმის სროლადა ვაჟი სჯობს, გუნება გაჯავრებული.“

## 98. პარში ას გვიჩვებ ყანებსა

- ტარში რას გვიჩვებ ყანებსა, მთაში ჩენცც გვიღვას  
სჯილები!
- რაით მოიტან სეილებსა, თუ არ დაკმაზე ვირები?
- ვირს ენაცვალოს პატრონი, დააქვე თეორებ ცხვირები,  
დავკაცებ, დარიხრიხდება, ქვევიდან შავებირები.
- შოუკვდეს პატრონი, ჩხირების დამწვეტებელი,  
დაფრინო გადაბრუნდება, მე მას ვერ შევეხირები,
- თავად ააყენებენ, შავი კამების შეილები,  
ერთჯერად ხომ ვერ ეყოფა ფშავ-ხევსურეთის თივები.
- კაშას გაუქრა გამზრდელი, მე მას ვერ ველუპინები!

## 99. ამბობენ ბეღელაშვილი

- ამბობენ ბეღელაშვილზე ყაზახზედ მეტის მეტსაო:
- დაიარ-შა კახეთში, ვერა შოულობს ტყვესაო,  
ვაშტერც ბევრი დახოცა, მკვდარს ვერ აუქცევს ფეხსაო,  
ქულ-რძებლი ბევრი გარეკა, გადაუყენა მთასაო,  
ამბობდა ბეღელაშვილი; „მე ვიბელადე დღესაო,  
ერთსაც საბეღლადოსა შიგ ამოვარჩევ კარგსაო.“  
შევიდა, გამოიყვანა — ღამეს ანათებს ბნელსაო.
- „შენა ჭირიმე, ლამაზო, ნუ მოიგონებ ძმებსაო,  
ყელაძლი ჩაგსვამ ოქროში, მარგალიტს ნახავ ბევრსაო.“
- „უყურეთ ამ წუწე ალიას, სიტყვა ამოსდის მყრალია,  
ძმებსა ღამიჭრა ყელები, და მამას მისცა ხმალია,  
როგორ არ მომაგონდება ჩემი საწყალი ქმარია?“

## 100. ახალ-უხედი

წამოველ სანადიროთა, ჯიხვებ დაუწყებ ცქერასა.  
 დევების ქორწილს შემოვხვდი, ვაი-ვაგლახსა მღერასა,  
 მეაც იქ დამიპატიქეს, უყურეთ ბედის წერასა!  
 თქვეს ახალ-უხალთ უძახოთ, ნუ ვის დავარჩენთ ყველასა.  
 მოვიდეს ახალ-უხალი, ზოგ მე დამიწყეს ცქერასა,  
 ერთ რაიმ შემააჩინენ, კული ღბავ როგორც მელასა,  
 შუა შუბლშია თვალ უზის, საცრის ოდენა ვერასა,  
 უკანა კუჭულაშია იქიდანაცა ხედავსა,  
 „დიდი ყანწები მაილეთ“, ეძახენ მამა წვერასა.  
 „ჯერ დაულოცოთ მყვდარისა და, მემრ ჩვენ დავიწყებთ  
 მღერასა“.

ჩამორიგებულს შაუნდნას, აერიასა ვერასა,  
 ხანჯლებზე წელებ დაისხეს, ბებერს ვინ გვიკლავთ პელასა.  
 ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს სხვა იხედება კერასა,  
 სხვამ ცეცხლში ჩაღიან სახნისი, ჩამოჯდ, ქაქერშთ ბერავსა,  
 სხვამ ფეხი წაპკრა ზურგშია, თავ ჩაუგალა კერასა.  
 წამოდგა, წამოიყოლა გაშანთებული ვერასა,  
 შუბლსა ჰერა თვალი, გახეთქა ცეცხლი აუჩნდა ენასა,  
 ქალ-მზალმ დაიწყო ტირილი, ვერ ვიჭერთ მაშას წვერასა.  
 მე კი საქმისას გამოვძვერ, დევთ ვეჯენჯვიებ ვერასა,  
 ეგ თქვენი გამარჯვებისა, მართალს კი გეტყვით ყველასა!

## 101. \*

მე ქალსა აგრე მეგონა, არა ვარ ცუდ ჰურიანი.  
 მოყმევ, შენისგნით დამეთქვა, დღემც დაგიბნელდებ მზიანი,  
 თუ მე ქალს მექნა რიალი, ჩემ დედა ჩემხედ მტირალი.

თუ არა, ცუდის მოთქვამსა, სახლიმც უზვ სატიროანი,  
ცხვარ ცხენიმც ოხრად დაგრჩება, მთას ნადგომ  
თვირთვილიანი,  
სახლ-კარიმც ოხრად დაგრჩება, კართანა ბალკონიანი,  
შინითიმც ცოლი წაგივა, მტირალი თვალს ცრემლიანი,  
კარითიმც დაი შინ მოგრვ, უდროვოდ დაჭვრივებული,  
შვილებიმც დაგიობლდება, მტირალე, თვალს ცრემლიანი.

### 102. მთას თოვლი მოკიდების

— მთას თოვლი მოკიდებია, მწყემსო, აყარე ცხტარიო,  
ადექ, და ბარად ჩამოღი, ბიჭო, შაირთე ცოლიო,  
არა მოგწყინდა მთას ყოფნა, არა მოგინდა ბარია?  
ან ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, ან მასთან საუბარია?  
— არცა მომწყინდა მთაშია, არცა მომინდა ბარია,  
არც ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, არც მასთან საუბარია,  
თვალ წითელ შიშაქ მიჩევნავ, იმის ქოჩორის ბერტყაო.

### 103. შენი ჭირიმე, ევემებო...

გაგწმედავ, ჩემო ქვემხო, სუფთათ გატარებ ველზედა.  
თუ შემხვდა მთები, გორები, დაგშლი, აგვიდებ ცხენზედა.  
შოშიზნეს კარგსა აგირჩევ, არ გილალატოს ხელითა,  
შენგან ნასროლსა ყუმბარას მთებს გადავალევ ქშენითა.  
გზებს გაუკაფავ ფეხოსანს, შენის ძლიერის ცეცხლითა,  
დავანგრევ ციხის სიმაგრეს, შენი გრანიტის ძალითა.  
შენი ჭირიმე, ქვემეხო, ჩემო იმედო ძალაო,  
სუფთად გატარებ ველზედა, გაგწმედავ ჩქარა ჩქარაო.

## 104. გადამავარო ღაუგებო

გადამავალო ღრუბელო, გადადი თუშურ მთაზედა,  
არამ მოგწყინდათ წანწალი, რად არ დასდგებით ზღვაზედა?  
ამ თქვენმა ჭექა-ქუხილმა გულ ამიცრუვა ცხვარზედა,  
სკელი მიგდია ნაბადი, ვერ მომიხვია ტანზედა,  
ქვეშ წყალი შემომიდგება, ვერ დავწოლილვარ ბანზედა,  
ან უნდა სიპებ დავიგო, ან უნდა დავჯდე ქვაზედა.  
მთელს ლამეს ასე ვათენებ, ძილი არ მომივ თვალზედა.  
გათენებ შეწუხებული, ვფიქრობდი ცხოვრებაზედა.  
ცხოვრებას ვინდა გვაფიქრებს, უნდა გაგვრეკონ ჯარზედა.  
გაგვრეკონ რუსიშვილებმა, აბჯარ აგვასხან ტანზედა.  
საუკუნოთ გვაზიარონ, სისხლის გაგვრეკონ ლვრაზედა.  
ბევრი წაიქცავ ვაჟქაცი, უღერას გაზყრიდა ბანზედა.  
იქ დარჩებ უპატრონით, არც ვინ დააღვებ თავზედა.

მე მაგის მომლექსობელი შემოვეკიდე მთაზედა,  
სასალდათოთ გავემზადე, დავლექ ახმეტის გზაზედა.  
სალდათობიდან მოსული, ისევ ამოველ ცხვარზედა.  
ჰირიქით საზოგადო მაქვს, გაზდილვარ თუშურ მთაზედა.

## 105. შემორჩომა

ეს შემოღომაც მოიდა, მთებმა იცვალეს ფერია.  
ტყეებს გასცვივდა ფოთოლი, აღარ ჩქამობენ ცხვარნია.  
აღარ მოისმის გორებზე ლილინი მემცხვარისია,  
ჩამოუთოავს გორები, ჩაუკეტავის გზებია.  
ყველა წავ თავის მხარეზე, საზამთროებში ცხვრებია.  
მაშინ ხომ არის კარგი დრო, რომ ჩამოშრება მთებია,

გამაიფოთლებ ტყეები, აღელდებიან წყლებია.  
გზებზე წავ თეო მოკრული, მთისკენ მომდინარ ცხვრების,  
ავიდეს იალალშია, მოძუეს მთისა წვენია,  
ჩობნებმაც შაისვენიან, ეხლ ამოვედით მთაშია.

### 106. სანამდ ეაღი ვაჩ

სანამდ ქალი ვარ, გაჯავრებ, არ დაგილევა ჯავრსაო,  
გზაზე რომ შემომეური, არ დაგიგდები გზასაო.  
გზის თავზე შეგიფრინდები, მაღლ შეგირექებ თავსაო,  
გადავალ გომეწრისაკე, სანთლით შევარჩევ ქმარსაო.  
თუ იქად ვერა ვიშოვნე, ხევსურს გადავყვებ ყმასაო.  
ხევსურსაც ისეთს გადავყვებ, დღეთ შუ ღლესევდეს  
ხმალსაო,  
შინ სტუმარ შეუდიოდეს, აბჯარნ ულეწდეს ქარსაო,  
ლაშქარს წინ ჩაუძლვებოდეს, ჩასწრეხდეს შუბის ტარსაო.

### 107. როსგომ სთავა

როსტომ სთქვა: ერთი ქართული ჩინეთში ქვაზე სწერია.  
ვისიც რო ვიყო ერთგული, მტრადამ რაღ გადამექცია.  
ერთი ვერ ვაჯობე სხეისი ამ ჩემსა მოგონებასა,  
ერთხელ სიკვდილი სჯობია, მუდამ ქამს დაღონებასა.  
როსტომ სთქვა: მიწა გრილია, კაციც არ ვარგა რბილია,  
კაცსა დიაცის მჯერესა, სამარემც დევეკეთება,  
ჯერომ შენია დიაცი, მერე სხვას გეეკეთება.  
როსტომ სთქვა: გმირი მეც ვიყავ, ჯირით მეც  
გამისროლია,  
სოფელში ამაყობასა, ისევ მოთმენა სჯობია.

როსტომ სთქვა: დღეიმც კრულია ჩემისა დაბადებისა,  
რაც რო მე გამოვიზარდე, დღე ვერა ვნახე ლხინისა,  
სიყმე სიბერედ ვაჭციე, ვერცა სინათლე თვალისა,  
ვერცა გული გავალხინე, უღელი მედგა რკინისა.

### 108. პიგნაიგვირი პერი

განჯილან გადმოსახლებულ გოგნაიშვილი ბერი,  
ცხვარ გამოხყვ ათი ათასი, თან მოხქონდ მთა და ველი,  
სამოც იაბო ცხენი ხყავს, თავს ლაგამ ჩასაყრელი,  
სამოც ფაშატი ცხენი ხყავს, სულ ნიკორ კვიციანი.  
სამოც უცოლხ ბიჭი ხყავს, იარაღ ასასხმელი,  
სამოც უქმარი ქალი ხყავს, ქმარებთან მისასვლელი.  
კარზედ უბრუნავს დოლაბი, არის კოდისა მფქველი.  
ბერი მოსდიოდ სტუმარი, მჭადის არს მასპინძელი.  
ეხლა იგრ გამხადა ლმერომა, მჭადის მენატრებ კვერი,  
წყლის შემომლეუც არვინ მყავს, მენატრებ ცეცხლ ამთები.

### 109. ზაღ-ღეღამთირი

სასინეთოდან წამოველ, გამოვხყევ ქარის ქროლებსა.  
მეამც ნუ დავეტანები ზალ დედამთილთა ბრძოლასა,  
ტარ სახრელები ჩალეჭეს ერთმანეთისა სროლასა.  
ზალ მეერია ბერასა, თავი უხალა კერასა,  
— „ზალო, ნუ მოხკლავ ბერასა, მა შენი ძმების ლხენასა!“  
— „როგორ არ მოვხკლავ ბერასა, ქათმებ დამიჭამ ძერასა!“

## 110.

ხულანტის ციხევ მაგარო, გაგტეხეს ვმირთა ვმირებთა,  
ზედ დადგეს ბაირახები უშიშრად თუშის შვილებთა.

## 111.

შავ კილდეს, შავი ყორანი, ჩავა და ჩაექანება,  
ჩავა, და ლეშით გაძლება; ამოსვლა დაეზარება.

## 112.

ტბა ბრუნავს სისხლის ჭალაში, გადასაგდებიშ სად არი?  
შიგა წევს გველი წითელი, თავი სჩანს, ბოლომ სად არი?  
ნდობა სიყვარულ ბევრსა ჰკლიავს, ცოტნა გაგება სად არა?

## 113.

არ მეგონა გორის ციხე საგორავად გახდებოდა,  
ლაშქარშია თეთრი ცხენი საგოგავად გახდებოდა,  
ჩემი თავი, ცათა სწორი, ასე დამიღაბლდებოდა,  
ჩემს უარეს ჩემი სწორი ასე გამილალდებოდა.  
ღმერთიმ არ დამატანსაა მალალვ შენ დადაბლებასა,  
შენ ჩემად კარად წამოსვლას, ჩემ თავის გადიდებას.

## 114. მონაღის ჯარჯი

ჯარჯი ჩახედავს ჯიხვებსა, რა მშვენივრები დგანანო,  
რქები-რქებს გადაუდვია, ანგელოზებსა ხგვანანო.

— „ჯარჯი დეებსენ ჯიხვებსა, ჯიხვებთ იციან ზიანი!“

არ დაიჯერებს ჯარჯია; „ხირიშ მაქვს იმედიანი“.  
თოფ ჯარჯიმ გადაიკიდა, ყირიმი სიმართლიანი.  
ჭინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა, ქვიშათ წაიღეს შრიალი.  
ნუ ეტყვით ჯარჯის დედასა, ჯარჯია პირსისხლიანი.

115. \*

დიქლოს აბულის ქორთობი ყამირობს ყანასავითა,  
კარზე მოსულსა მოძალეს აბრუნებს ნახირსავითა,  
ეჯავრებ თუში შვილებსა, ერხევის ხანჯალხავითა.

116. \*

შორიდან ვტირი ჩაგრული, მთიდან გიმლერი ნანასა,  
ყარიბი ჩანგის ლარები არ მაძლევს შვების ხანასა.  
ისევ ჩემ ფერა ყარიბთა ვეღრებით უმლერ ნანასა,  
ბედშავთა შეყურებაში ვატარებ დრო-უმთ ხანასა.  
ვაი, ამაო სოფელი, შორიდან გიმლერ ნანასა,  
შენ შემოგყურებ მქვნესარე, ვით ობოლ დედა მამასა,  
რომ გნახო უიმედონი, ლოყა დაიშებს ნამვასა,  
სულ იმათ უნდა შევსტირო ჩემი აქ ყოფნის ხანასა.

117. \*

გემო სასმელათ წყალი სჯობს, შაგ არაყს, წითელ  
ღვიწოსა.  
ტანზე საცმელათ ჩოხა სჯობს, სკლატსა მაუდსა, ტილოსა.  
ვაშკაცისა დაი ცოლი სჯობს, თუ მოხყავ თავის კილოსა,  
თუ არა, — სცემოს, გააგდოს, გაცილოს, ათაკილოსა.

## 118. \*

ცქენო, პატრონიმც გენაცვლებ, შავარდენს გიგავს  
თვალები,  
ოთხითავ დაჭედილი ხარ, ფეხს გაქვს მოწყობილ ნალები,  
დოლში წინდაწინ მომიხვალ, ხედვად გამოვლენ ქალები.

## 119. \*

კესელოს ციხევ, აგაგებ, კუთხევ, გაგლესავ კირითა.  
შავრეკავ ჩემებ ობლებსა, ვერამ დავარჩენ ჯირითა,  
მალ მალ გავხედავ ბოჭორნას, დღეს დავალამებ ლზინითა,  
დაბლამ ვინ ჩამოგიყენა, შავო ბოჭორნავ, ჯარითა?  
მერემ არ ასჩინდებოდე, ჩემო ნანდობო თვალითა.

## 120. თამარ ჩემოვარი ვიყავ

თამარ დედოფალი ვიყავ, სახელი დიდი გავიგდე,  
ზღვაში ჩავყარე სამნები, სმელეთი ხელში მოვიგდე.  
ქაჯებსა დავდევ იჯარა, ისპაანს ხარჯიც ავიღე,  
ამტენი საქმის მოქმედმა, ცხრა ადლი ტილო წავიღე.

## 121 სოღომონ ბაძენი

დალოცვილ სოლომონ ბრძენი სიტყვას იტყოდ  
განსაცდელსა.  
სამი კაცი მოდიოდნენ, სამნი იყვნენ ჩვენ საცდელსა.  
წყალში ბადე გადაუშვეს, სამი თევზ გამოიღესა.  
დაჭრეს და ტაფას ჩაყარეს, ალი ცაში აუშვესა.  
წუხელა ჩემსა ლოგინში კაცს ეძინა, მეტად გძელსა,

ხელთ ეჭირა ოქროს ბურთვი, ღამეს ანათებდა ბნელსა.  
თუ ეს სიტყვა მართალ იყოს, ჩემი თევზი გაცოცხლდესა,  
გაცოცხლდეს და შეიმოსოს, გაცურდეს და ზღვაში ეცესა.  
გაცოცხლდა და შეიმოსა, გაცურდა და ზღვაში ეცა.

ტაფას ორი თევზი რჩესა, რიგით მისდევს სამართალი,  
ახლა ვეზირს გადახდესა, თუ ეს სიტყვა მართალ არი.  
დალოცვილო, სოლო ბრძენო, შენ გამაჩინ, ამათ დღესა,  
დღეში სამჯერ გავაპირე, მოდი მოვხელავ სოლო ბრძენსა.  
ეშმაკს სულში შევაფურთხებ, გავაბრუნებ ცარიელსა.

თუ ეგ სიტყვა მართალ იყოს, ჩემი თევზი გაცოცხლდესა,  
გაცოცხლდეს და შეიმოსოს, გაცურდეს და ზღვაში ეცესა.  
გაცურდა და შეიმოსა გაცურდა და ზღვაში ეცა.  
რიგით მოსდევს სამართალი, ახალ დედოფალს გადახდესა.  
ეს სამი ოთხი წელია, ჰყავარობ კუნწულ ხელმწიფესა.

თუ ეგ სიტყვა მართალ იყოს, ჩემი თევზიც  
გაცოცხლდესა.  
გაცოცხლდეს და შეიმოსოს, გაცურდეს და ზღვაში ეცესა,  
ტაფა ცარიელი რჩესა.

დაიბარეს კუნწულელი, კუნწულელ აქ მოვიდესა  
მოდიოდა კუნწულელი, მოიბჯენდა ყავარჯენსა.  
— კუნწულელო, სიტყვას გეტყვი შენის გულის  
განსაკუდელსა,

ენა მაქს, სპილენძის კოქა მიბარია მევაშლესა,  
ვინც იმას საყმორ ამიგსებს, საყვარელ იმას დარჩესა.  
სიხარულით კუნწულელი სამჯერ ცასა გადახტესა,  
დაიბარა ქაჯოეთი, ყველაყაც აქ მოიდესა,  
კოჭლი, ბრმაც არ დარჩესა,

შვილი დღე ღამე იარნეს, კოქას ყელში დააკლდნესა:  
— შიგ ჩაბძანდი, კუნწულელო, საყვარელი თან ჩაგყვესა.  
შიგ ჩაიტყუეს კუნწულელ, თავზე ზარფუშ დახურესა,  
მოჭედეს ოთხსავ კუთხესა, დასწყევლეს და ზღვაში ხერესა.  
მინდორშია მეხრებსა გულში დარდი არ ჩაყვესა.

აკაგანისა ყმაწვილსა ძილი კარგად ეძინოსა.  
ეს სამი ოთხი წელ გავიღ, მაგნე ეშმაკ არ გაჩნდესა,  
წყალში ბალე გადაუშვეს, კოკას პირში წამისდევსა,  
გასწიეს და გამოსწიეს, კოკა ხანირს გამოდგესა,  
ერთმანეთს ეფიცებიან, ვინც უთხრას ჩვენ ხელმწიფესა.  
რაც რომ აქ ქონება არი, შვილ-შვილის შვილს ეყოფ  
ჩვენსა.

რაც რომ იქ ქონება არი, იშის ოჯახს ნუ ასცდესა.  
რო შეიქმნა შუა ლამე; კოკას ცეცხლი მიუგზესა,  
დაუშინის თულუხები, კოკას პირი მოსტეხესა.  
გამოცვივდნენ ეშმაკები, ქაჯებ ქარად გადიქცნესა,  
ზოგი კლდეს და ზოგი ლრესა, ზოგი წყალში ჩაცვივდესა,  
ერთი კოჭლი ეშმაკ დარჩა, ის წისქილში შაგზავნესა,  
„ვინცა ფქვილი მაიპაროს, მისი სული შენ დაგრჩესა.“

## 122. ავთანდილი

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი,  
შეელსა კრა ნახტომიანსა ისარი ორბის ფრთიანი,  
ჩამოჟკი ცხენის ტახტაზე, ტყავ გაუხდები რქიანი.  
ჩამოჟდა მუხისა ძირსა, ცეცხლი დაანთო ძლიარი.  
დაჟდა, დათალა შამტური, წვადი აასხა მცვრიანი.  
სანამ წვადი იწვებოდა, ლურჯას მისცა საძოვარი.  
შეხტა ლურჯა, შესჭიხვინა, იგი კაცი ავი არი.  
ეჯიბ მეფეს დაუძახა: „ლურჯა მომგვარე ჩქარიო!“  
სანამ წამოახტებოდა, გავას გაღუსვა ხელიო,  
ვიწრონი გაავლევინა, მინდორი უფრო გრძელიო,  
მოიხედ, უკან მოსდევდა ასი ურჯულოს ჯარადა.  
ასავე თითო ესროლა, ერთი გადურჩა შავადა.

ერთი იმანაც ქსროლა, სისხლი წავიდა ლვარადა,  
ჩამოჯდა მუხის ძირასა, ტოტი იწვება ფარადა.  
დაჯდა, დაწერა წერილი, მტრედსა შეაბა მხარადა,  
ეს დედახემსა წაულე: „ველარ მოგივალ ჩქარადა,  
გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემთვის შალებე შავადა,  
ეგ ქალი იგეთს მიეცი, მე მჯობდეს თვალად ტანადა,  
ეგ ჩემი ციხე ქალაქი თან გაუყოლე ზითვადა,  
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯარი ლვდელს მიეც საწირავადა!“

### 123. ერუსამერის ჩავთხის ღექსი

ზეცას ოომ ქრისტეს ყანა სდგას, ბრინჯეო გადგა ნათელი,  
ზედ ბრუნავს ქარის წისქვილი, მეპატრონეთ ყავს ეთერი.  
— „ეთერო, მხარზე შეგიყრამ მწვანე ქათიბის სახელი,  
ადექში, ქალო, გამომყევ, დავრლილვარ შენი ძებნითა.“  
— „დამშორდი, ელუსამელო, არა ვარ შენის სამფერი,  
შენ დიდი ხარ, დიდებული, ყველა ჰვეუნიდან ქებული,  
მე: ობოლი, გლეხის შვილი, ობლობიდან დაჩაგრული.  
ვაი, თუ ბოლოს მიღალატო, გამწირო წყალ - წალებული?“,  
— „ეთერო, შენს მოღალატეს, ხიდი წყალში ჩაუტყდესო,  
შოწყურებულს, წყაროს წყალი დაწაფებას გაუშრესო  
მტრისთვინ გაქნეული ხმალი, ვაღაზედა გაუტყდესო,  
თუ ამასაც არა გჯერავს, ღმერთი მაღალ გაუწყრესო.  
ჩევნა გაემართოთ ქორწილი, ხალხ დაეიბაროთ მრავალი:  
მაგათ გამართეს ქორწილი, მოვიდნენ ბიჭის მაყრები.  
შერევლო, ბიჭის პოერსა, ეთერ ჩაუჯდა გულშია,  
მან მისცა სული ეშმაკებს: „მე გამომირთვით ეთერი.“  
შეულოციან წყეულებ, რაკი არ შეუძლიანო.  
ეთერს ჩასხა კმენარი, ათასნაირი ფერიო,

რამდენსაც აცლის სამოსსა, იმდენ უფრ მრავლდებიან. ადგებოდ ელუსამელი, თავთ მოიხადა გვირგვინი:  
— „ვის გინდათ ქალი ეთერი, მზე დილა გორთ მომავალი?“  
— „შერევლოს მიეც, ბატონო, შენი ტყვე ვარ და  
მსახური!“

შერევლო დაქორწილდება ამ უცხო ქვეყანაშია,  
ერთი თვის განმავლობაში შინ მოვიდ ელუსამელი.  
— „შერევლო, შენს მზესა, შენი ცოლი რა ფერია?“  
— „რათა მკითხავ, ცათასწორო, ცოლის ქება აუგია,  
ხომ გინახავს ბროლის ციხე, წვერი ცამდის მაღალია,  
შიგა ზის ქალი ეთერი, ბროწეულის ყვავილია,  
გვერდით უსხედს სამი მული, ცით მავალი ვარსკვლავნია,  
თავთან უზის დედამთილი, აბრეშუმის საცერია,  
გვერდით უდგენან მაზლი, დალესილნი ალმასნია.  
კართან უწევს მამამთილი, გველაშაბის მყლაბავია.  
მათ შუაში ეთერი ზის, ყელი მოუღერებია,  
ყელ-ყური მძივით სავსე აქ, შოგ გიშერიც ურევია,  
ლოყა-ვარდი, კბილი-ბროლი, ბაგე-ხახის ფურცელია.  
წარბი-წვრილი, შუბლი-ბრტყელი, წაფეთქელიც მაღალია.  
რალა დევრი ქება გითხრა, ისივდელი ეთერია;“  
ავად გახდა ელუსამელი, ეთერის სიყვარულითა,  
დუღ-მამა საჭმელს უმზადებს, ათას ნაირი ფერით,  
შავსა შეხედა ღვინოსა; „რა ლამაზი ხარ ღვინოვო,  
დაგლევ და გულსა, დამიწომ ეთერის სიყვარულითა,“  
თეთრსა შეხედამს ქადასა; „რა ლამაზი ხარ, ქადაო,  
შაგჭამ და გულსა დამიწომ ეთერის ტირილივითა,“  
— „ძმაო, მითხარი: რა გტკივა, რიდგან ხარ ავადმყობია?“  
წავალ და იმას აქ მოვგვრი, წყალსა ჩავყები მდინარსა!„  
— „წალი, დავო, ოუ წახვალო, ეთერ მონახე კარია!“  
ადგა, წავიდოდ მარიხი, ეთერის მოსაყვანადა.  
ბალკონსა შემოუარა, დაურაკუნა კარები,

- „დაგძინებია, ეთერო, მთვარეს გიგვინდა სახეო,“
- „დამშორდი, შუქურ მარიხო, რას ფილიფოზობ ენითა,  
გან შენ არ იცი, მარიხო, თქმა რალათ გინდა ჩემითა?
- უფლის ნაკურთხი გვირგვინი თავის ხელ დაუდგა სხვასაო. “
- „რა დაგემართა, ეთერო, გზა გავცეით სიარულითა,  
სამი თვე გზაზე დავლიე: მარტი, აპრილი, მაისი,  
გზაზე დაგიგებ ხალიჩას, ფეხ არ გახალო ქვიშაზე,  
თავზე დაგიდგამ ოქროს მკერს, შუქ არ მოგადგე  
შზისაო.“

ადგა, წავიდა ეთერი, მოყვარუის სანახავადა,  
ბალკონზე ფეხი შემოდგა, დაიძრა სახლის ყავარი.

— „შიგნით შემოდი, ეთერო, მოქლეთ გაქვს შემოსავალი.“

— „მე შიგნით არას შემოვალ, ძმებთ დამავალა  
მრავალი,“

— „ძმაო, მოვიდა ეთერი. თულა თვალზე გაქვს ნათელი,  
— ეთერსა ჩემი ნახვითა ცხენი უბოძეთ იორდა,  
ჭვიციც თანა გაჰყოლოდეს. გავა ბრტყელი და საღარი.“  
ეთერსა ცხენი რათ უნდა, უბოძეთ ქამარ-ხანჯალი.  
ეგ რომ ეთერმა გაიგო, მუხლზედა ხელი დაიკრა,  
— „ავაძ, რა მოყმე დავკარგე, ახლად წვერ შემომავალი.  
მოყვრის სეულო დანაო, ჯიბეს მიძევხარ განაო,  
ამოვილებ და დაგიცემ მარჯვენა ძუძუსთანაო.  
ჩვენ ერთად დახოცილები, ერთადა დაგვმარხანო.  
გზის პირსა იმარხებიან, გზის თავსა დაგმარხვიანო.  
ჩვენ გვერდით წყარო გამოდის, სასმელად სანატრელია,  
შიგნიდ ოქროთ დასევდილა, ზედ ვერცხლის თასი  
დგმიანო,  
გამვლელი და გამომვლელი, შენდობას იტყოდიანო.“

ემაგ ორთავე საფლავზე ზედ ვარდი ამოსულაო,  
გადახვეულან ბურჯლებით, ვით საყვარლისი წესიო,  
ემაგ მურადის საფლავზე ზედ ნარი ამოსულაო,  
დილით მოვიდოდ ვირები, საღამომდინა ხრიანო,  
მობრუნდებ წყალსა დალევენ, ბურთიგით დახდებიანო.

124: ၁၀၁၄၆၀၁၆၀

(ნაწყვეტი თუშური ეთერიანიდან.)

რა უდაბური ჭალაა, როგორი დიდი მთებია!  
მხოლოდ სოფლები არსად სჩანს, არც სად სავალი  
გზანია,  
ჭალაში ერთი ქოხი სდგას, შაშშე მოხვეულ გვერდზედა,  
გვერდს უდგა დიდი ჭანდარი, ქოხ დასცერია თავზედა.  
ქოხის გარშემო ტყე იდგა, ღიყი, შუპრა ან მწვანეა,  
კაცის ხმის არა ხმიანობს, ჭალა ველები მთიანი.  
მთათ და ნადირთა ერიამულს ეს მხარე შეუჭამია,  
სლოფით გულგაცოფებულმა ირემა დაიღრიალა.  
არ მოსკვის მთიდან ზვავები, დაიძრის, დაიხრიალა.  
ჭალას აძრახდის ხრხობი, ზარივით დაიზრიალა,  
ზღაპარს უამბობს ნიავი, ფოთლებმა დაიშრიალა.  
ამ არ მარეს სოელავსა, ზარტო ნაღირი ტყისაო.  
და ქალი მწყემსა ობოლი, ყვავილი ედემისაო.  
ეტყობა მიწას ლამაზსა ნავალი ეთერისაო,  
ქოხს ათხსავ მხარეს არტყია ბუჩქისა დიდი ბარდები,  
ზედაც ყვავინ ყვავილნი, წითელ-ლურჯ ფერადიანი.  
ლამ ლამ აქ მოდის ბულბული, მოსთვამს დაკაზგულ  
დისასა.

თან ატანს გულის ვარამსა, ნიავ მონაბერ მთისასა. რა გულ დიდებით ყურს უგდებს ეთერი იმის სტვენასა მიმჯღარა ქოხის კარებზე, როგორ აფხიზლებს სმენასა, გენაცვალ, ჩიტო, სდუდუკებ, ლამაზად ხმარობ ენასა, ნეტაც ბულბულად მაქცია, შენთან ვიფრინდი ველადა! ტიტველი ალარ ვიქნები, დალონებული ყველადა და მოვრჩებოდი ამ ბებერს, ჩემთვის გაჩენილს გველად დილა არს ისევ, სისხამი, ნამი ზევს ხშირად ნამზედა, ნაშშირის ფერი ბებერი ბობოქრობს ქოხის კარზედა:

— „რა ხანი არი გათენდა, ეთერ, გარეკე საქონი! რა ეშმაკს დაუჭერიხარ, გამაგებინა ნეტარა? გაწყდა ცხვარ-ძროხა შიმშილით, მეხ დაკარგულო ტიალო.“

— „ვაჲ, რა ძნელი ყოფნა მაქვს, ყოფნა ეთერი ობლისა. ნეტავ ან სახე მახსოვდეს, ან ხმა მშენოდეს დედისა, ნეტავ ტირილი შეშეძლოს, შეცვლა. ამ შავი ბედისა. დღე და ღამ ფეხზე ყუდილი, გადაყრა წვიმა შხაპისა. შიმშილით ლალვა საქონის, თმენა ლანძლვა და ტყეპისა. რა ლანძლვა მინდა, რა კრულვა, დალაზვრულს შავი.

დღისასა,

წილ ბედ გაწირულ სოფლადა, თან დაკარგულსა ლთისგნითა.“

წამოდგა ქალი ეთერი, მოფარე წამოყვა პირზედა, თავით ბალიშად ქვა ედო, ლეებად შამბნის ძირია, თვალებში ჩაქსოვებოდა ზღვა ხმელეთ ერთიანადა, მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინვას, თავის ხატ ლმერთიანადა. გვირგვინი ზედ დასდგომია სხივსა ფენს წამწმის ხედვითა, ცას დედამიწას მაღლა ხფენს; უხვად დაკილის კიდადა. ყელი მიუგავს ჯერანსა, გამომავალსა მინდვრადა. ტანთ შავი ჯუბა აცვია, შავი მანდილი თავზედა. ვერ ღნახავ ერთ მძიეს, ან ერთ ღილს ეთერის ლერწამ ტანზედა.

